# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 20 ოქტომბერი 1998 №189 (724) ფასი 50 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი

10 ტური

17 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 3 |
| ტორპედო | 0 |
| სამგურალი | 1 |
| ლოკომოტივი | 2 |
| გორდა | 0 |
| ბათუმი | 0 |
| სიონი | 1 |
| ოდიში | 0 |
| თსუ | 2 |
| კოლხეთი | 4 |

19 ოქტომბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 7 |
| იბერია | 2 |
| არსენალი | 5 |
| გურია | 1 |
| მერანი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: „დინამო" — „იბერია".
გიორგი შენგელიას ჰეთ-თრიქის გატანაში ხელი ლურსმანაშვილმა შეუშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 7 | 1 | 0 | 35:7 | 22 |
| დილა | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | 20 |
| ტორპედო | 9 | 6 | 2 | 1 | 23:10 | 20 |
| ლოკომოტივი | 10 | 5 | 5 | 0 | 15:5 | 20 |
| კოლხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 20:11 | 17 |
| იბერია | 10 | 5 | 0 | 5 | 22:25 | 15 |
| ბათუმი | 10 | 3 | 5 | 2 | 17:10 | 14 |
| ოდიში | 9 | 4 | 0 | 5 | 6:12 | 12 |
| არსენალი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:17 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | 11 |
| მერანი | 10 | 2 | 5 | 3 | 7:11 | 11 |
| თსუ | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| სიონი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:25 | 8 |
| გორდა | 9 | 1 | 5 | 3 | 5:6 | 8 |
| სამგურალი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:23 | 7 |
| გურია | 10 | 2 | 1 | 7 | 9:27 | 7 |

იმ ტურის სიმბოლოდ, რომელშიც 28 ბურთი გავიდა, უგოლო მატჩი, ცხადია, არ გამოდგება. მაგრამ გუშინ დასავლეთ საქართველოში ამტყდარი შინააშლილობა თითქოს ჩვენს ფეხბურთშიც აისახა. „სინათლეზე", ღვთის მადლით, უთოფოდ და უქვემეხოდ შეუტიეს მსაჯს და, ამაში კი ახალი რაა, საცემადაც გაიმეტეს. ოღონდ ეს, როგორც აქამდე ხდებოდა, „მერანის" ფეხბურთელებს ან გულშემატკივრებს არ ჩაუდენიათ: ქუთაისელი თანამსაჯი ნუგზარ რუსიშვილი სტუმარ ვიტელთა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიბერო გიორგი ჭანკოტაძეს შემოელახა.

საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატი

4 ტური

16 ოქტომბერი. პარასკევი

სდასუ 78:86 აზოტი
კოლხა 64:97 თსუ

17 ოქტომბერი. შაბათი

სტუ 94:79 მაკაბი
ვითა 88:80 დინამო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 4 | 4 | 0 | 376:314 | 8 |
| თსუ | 4 | 3 | 1 | 358:316 | 7 |
| აზოტი | 3 | 3 | 0 | 271:224 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 250:238 | 5 |
| შევარდენი | 3 | 2 | 1 | 161:155 | 5 |
| ვითა | 3 | 2 | 1 | 181:181 | 4 |
| მაკაბი | 4 | 0 | 4 | 298:343 | 4 |
| სდასუ | 4 | 0 | 4 | 309:358 | 4 |
| კოლხა | 4 | 0 | 4 | 291:366 | 4 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
800 (ტევადობა 2 000)

## მერანი 0:0 ვიტ ჯორჯია

ქორიძემ ვერ გაიტანა პენალტი (69)

**მერანი:** ლომაია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ჯიშკარიანი 78), გელა ქორიძე, ბაჯელიძე (დევიძე 84), გ. კვეტენაძე, ხუციშვილი, მესხი

*სათადარიგონი:* ნაჭყებია, ხარებავა, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ადეიშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი (კვიციანი 90), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დვალიშვილი, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 81), ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი, გ. გვაზავა (თ. ბოკერია 83)

*სათადარიგონი:* გუგუნავა, ვ. გოჩაშვილი

**გაფრთხილება:** კაპანაძე (9), ზ. გვაზავა (60), დვალიშვილი (69), მესხი (78), ჭურაძე (85)

**გაძევება:** დვალიშვილი (85)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); გ. მგელაძე (თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** უ. ფურცელაძე

პაატა თოთაძე

ალბათ, ისევ იმით უნდა დავიწყო, რის სანახავადაც გახლდით გუშინ „სინათლეზე". იმაზე კი, რამაც საათნახევრიანი სანახაობა ლამის ორსაათიანად აქცია და რასაც ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს, ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ.

სატურნირო ცხრილის მეზობლების შეხვედრაში ფრე უფრო იყო მოსალოდნელი. ახლა ძნელია იმის თქმა, ვინ უფრო იხეირა ასეთი შედეგით, რადგან არავინ უწყის, მატჩის ბოლოს მომხდარი ფაქტს როგორ შეაფასებს ფედერაცია.

მატჩის პირველივე წუთებმა ცხადყო, რომ დიდი ბრძოლის მოწმენი შევიქნებოდით და ასეც მოხდა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. სტუმრები მხოლოდ კონტრშეტევებით ცდილობდნენ სასურველის მიღწევას, მაგრამ საგოლე მომენტები მასპინძლებზე ნაკლები არ შეუქმნიათ.

# ჭანკოტაძემ ფედერაციას წიხლი მიაყოლა?

სერგო გაბელაიას შეგირდებს მატჩის დასაწყისშივე ჰქონდათ დაწინაურების შანსი, მაგრამ შერმადინ დანელიას საჯარიმოს ხაზიდან დარტყმულმა ჯარიმამ ოდენ კედელში მდგომ მენთეშაშვილს აატკივა თავი. ამ მომენტიდან ათიოდ წუთში უკვე მიხეილ ხუციშვილი რჩებოდა სტუმართა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოლო წამს ვასილ მაისურაძემ იმარჯვა.

პირველ ნახევარში ვიტელებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს კარში დარტყმა და გრიგოლ გვაზავას ისიც სუსტი გამოუვიდა. თუმცა, არ გეგონოთ, სულ მასპინძლები ურტყამდნენ, მათაც ერთადერთხელ დაუმიზნეს კარს.

დარჩენილ დროში ბრძოლა მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და ფეხბურთელები ოდენ მეტოქის საჯარიმომდე მიდიოდნენ. იქ კი მცველები ვარგოდნენ.

მეორე ნახევარში სცენარი არ შეცვლილა — მასპინძლები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. მხოლოდ თამაშის ტემპმა და დაძაბულობამ იმატა.

პირველივე წუთზე ჭურაძეს მოუხდა ოსტატობის გამოჩენა — გელა ქორიძის საჯარიმოდან დარტყმული ცხრიანიდან მოხსნა. ორიოდ წუთში მასპინძლებმა ერთხელაც შეუტიეს სახიფათოდ, მაგრამ საბოლოო დარტყმამდე საქმე არ მისულა.

პირველი ტაიმისგან განსხვავებით, სტუმრები სამჯერ დაემუქრნენ მასპინძელთა კარს და აქედან ორჯერ გატანა გრიგოლ გვაზავას შეეძლო. პირველად მისი დარტყმული გარედან მოხვდა ბადეს, მეორედ კი ბურთს ლომაია გადაელობა.

შეხვედრის 69-ე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გახსნის ყველაზე რეალური შესაძლებლობა მიეცათ. დვალიშვილი საკუთარ საჯარიმოში უხეშად ეთამაშა ხუციშვილს და დოგრაშვილმაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა, მაგრამ ქორიძეს ისევ ჭურაძემ აჯობა.

ახლა კი იმაზე, რაც მატჩის ბოლოს მოხდა. შეხვედრის 85-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური ჩააწოდეს. მაისურაძემ ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა, მაგრამ მასპინძელთა ძალისხმევით იგი ჯერ მეტოქის საჯარიმოში მყოფ ქორიძეს მიუვიდა, მერე კი ივანიშვილს, რომლის დარტყმულიც ვიტელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. მანამდე თანამსაჯმა ნუგზარ რუსიშვილმა თამაშგარე დააფიქსირა, თუმცა იმავ წამს ჩამოუშვა ალამი. ამის მნახველი სტუმრები, კერძოდ, კაპიტანი ვასილ მაისურაძე და დათო დოლიძე მსაჯს მივარდნენ. იქვე მასპინძელი დავითნიძეც გაჩნდა და მსაჯს ჰკითხა, გოლი თუ იყოო. რუსიშვილის პასუხი ვერ გავიგეთ, მაგრამ კმაყოფილმა დავითნიძემ თანაგუნდელებს მიაშურა, ლაინსმენს კი თანდათან უკმაყოფილო ვიტელები შემოეჯარნენ.

რა ლანძღვა-გინება დაატყდებოდა თანამსაჯს, თავადაც მიხვდებით, მაგრამ ყველაზე მეტად გასაკიცხი გიორგი ჭანკოტაძის საქციელია — რუსიშვილის გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ მას მუცელში წიხლი უთავაზა. მსაჯი დაეცა. ფეხბურთელების დაშოშმინება სათადარიგოებმა და მწვრთნელებმა ითავეს და როგორღაც ჩააწყნარეს ისინი. მაგრამ ახლა ჯერი დოგრაშვილზე მიდგა. იგიც რუსიშვილს დაეკითხა, თამაშგარე იყო თუ არაო. მსაჯმა ეს რომ დაადასტურა, ახლა მას მასპინძლები მისცვივდნენ, თუმც მუშტი-კრივამდე საქმე აღარ მისულა. საბოლოოდ არბიტრმა ნაკლებად დამნაშავე დვალიშვილი გააძევა მოედნიდან, ჭურაძე კი ყვითლით დაასაჩუქრა.

სიმართლე გითხრათ, ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, იყო თუ არა თამაშგარე. სადაც ვისხედით, იქიდან ამის გარკვევა ძნელი გახლდათ. ამაზე ფედერაციამ უნდა იმსჯელოს და მტყუან-მართალიც დაადგინოს. მაგრამ რომელს მოუწევს ამ საქმის გარჩევა, ამჟამინდელ ფედერაციას თუ ახალს, საკითხავი აი, ეს არის.



მოახლოვდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა. დელეგატთა მანდატები უკვე განაწილებულია და როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ფიფას ერთადერთი ქართველი ლიცენზირებული აგენტი უმანდატოდ დარჩა.

— ჩვენისთანა ქვეყნისთვის ფიფას აგენტის ყოლა თავისთავად პრესტიჟული და სასიკეთო საქმეა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთ ხელმძღვანელს ეს არ ესმის.

ეს გახლავთ არსი იმ წერილისა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაუგზავნა ფედერაციისგანვე საყრილობოდ თამაშგარეთ დატოვებულმა ფიფას. აგენტმა ილია კოკაიამ.

# კვინიკაძე ინტრიგების მეფეა

## ამბობს ფიფას აგენტი ილია კოკაია

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელენი ისე მექცევიან, ვითომც არაფერს წარმოვადგენდე. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრიაძემ რამდენჯერმე გამიმეორა, თქვენთვის ერთი მანდატი უეჭველად იქნებაო. თქვენც არ მომიკვდეთ. როგორც ჩანს, ის არ წყვეტს ასეთ საკითხებს, ლატვიასა და საბერძნეთში ფედერაციის ჩინოსნებისგან სრული იგნორირება ვიგრძენი. ნაკრებს ათენში არც კი გავყოლივარ. არადა, ფედერაციის თანამშრომლებს ადრევე ვუთხარი, რიგა — ათენში ჩემი ხარჯით მოვდივარ-მეთქი, მაგრამ თავი ისე დამცირებულად ვიგრძენი, ლატვიასთან მატჩის მერვე გერმანიას გავემგზავრე.

გერმანიას ფიფას 30 თუ 34 აგენტი ჰყავს და გერმანელი რომ ვყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, იქაური ყრილობის დელეგატი მეც ვიქნებოდი. ამათთვის კი ეს რატომღაც არაფერს ნიშნავს. ლატვიასა და საბერძნეთში ვითომ ნოდარ ანდრიაძე იყო დელეგაციის მეთაური, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ის არაფერს განაგებდა. არ ვიცი, რა ჭკუაზე არიან ფედერაციის ჩინოსნები, მიმდინარე პროცესებსაც ანდრიაძე კი არა, სხვა მართავს.

*— ის სხვა ვინ არის?*

— რიგაში ყველაფერს რევაზ შავდია განაგებდა. და კიდევ — ინტრიგების მეფე დავით კვინიკაძე. ჩემი ნება რომ იყოს, კვინიკაძეს სტადიონზე საერთოდ არ შევუშვებდი. ესენი არიან, რაც არიან. ვაი რომ, ამათ ხელშია მთელი ფედერაცია.

*— კი მაგრამ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ჩივაძე...*

— ჩივაძე სხვანაირი კაცია, მაგრამ ამათი გადამკიდე... ამ ხალხის შემყურემ მანაც აზრი შეიცვალა.

*— ფეხბურთის ფედერაციას რაში ამტყუნებთ? რა ვალდებული იყვნენ, თქვენთვის ხმის უფლება ებოძებინათ ან რიგა — ათენში პატივი ეცათ?*

— პატივის ცემა არაფერ შუაშია. ცხონებული ნოდარ ახალკაცის სიკვდილამდე თითქმის გადაწყვეტილი იყო — მე ნაკრების მენეჯერი უნდა ვყოფილიყავი. სამწუხაროდ, ახალკაცი გარდაიცვალა. იტალიაში ახალგაზრდული გუნდის შეკრებისას კი კარგად მთხოვეს, იქ ჩავსულიყავი და ყურადღება მიმექცია ბიჭებისთვის. დღევანდელი ნაკრებისთვის აუცილებელი ინვენტარის ნახევარზე მეტიც ჩემი ნაყიდია, მათ ვაჩუქე, დღეს კი არად მაგდებენ. როცა ქვეყანას საკუთარი ფიფას აგენტი ჰყავს, სახეირო საქმეა, პრესტიჟია. აგერ, ლატვია მთავაზობდა მათი ნაკრების მენეჯერობას, მაგრამ უარი ვუთხარი — ქართველი ვარ, სხვანაირად არ შემიძლია.

*— მოკლედ, დღემდე უმანდატოდ ხართ.*

— ფედერაციის მუშაკებმა ჩემი ასავალ-დასავალი კარგად იციან. ყრილობას თუ დავესწარი, ჩემს სათქმელს აუცილებლად ვიტყვი, დასამალი არაფერი მაქვს. რასაც ვაკეთებ, პირველ ყოვლისა, საქართველოსთვის, ქართული ფეხბურთის გადარჩენისთვის. თავადაც ხომ ხედავთ, ჩვენი ფეხბურთი ინერციით დალმა მიექანება.

კობა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორი
17 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 8 230)

## დილა 3:0 ტორპედო

1:0 მარეხაშვილი (41), 2:0 თაყაძე (76), 3:0 მარეხაშვილი (88)
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გ. ჩიტაია (დ. მაისურაძე 73), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, თაყაძე, მოსულიშვილი (რ. ახალკაცი 78), შატაკიშვილი (ნ. ახალკაცი 82)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, აკოფიანი
**ტორპედო:** ასლანაძე, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, თურმანიძე, კ. კვეტენაძე (ჩხაიძე 77), ჩხეტიანი, ქებაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 46), იონანიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ჭანტურია
**გაფრთხილება:** შეყრილაძე (19), გაგნიძე (53), ჯანაშია (86)
**გაძევება:** მაისურაძე (85)
**მსაჯები:** თ. მაჭარაძე (ხონი), ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი** ბ. ქარქაშაძე

# ერთად და ცალ-ცალკე


ბადრი კეთილაძის ფოტო

„დილამ“ გორში „ტორპედო“ წააქცია, გიორგი ჩიტაიამ — კახა ჩხეტიანი

**იუზა კაციტაძე** გორიდან

ბოლო დღეებში „დილას“ ზედიზედ მესამედ მოუწია ქუთაისელებთან თამაში. თასის მეთექვსმეტედფინალში გორელები მეორეჯგუფელ „რიონს“ ეპაექრებოდნენ და ორი შეხვედრის ჯამში გადალახეს კიდევაც ეს ბარიერი. შაბათს კი გორს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი ესტუმრა. გათამაშების აღმოჩენა, შეუპოვარი ახალგაზრდული „დილა“ მანამდე უძლეველი „ტორპედოს“ წინააღმდეგ. თამაშს დიდი ინტრიგა ახლდა და რა გასაკვირია, თუ მის საცქერლად ხალხიც ბლომად შეიკრიბა. სამი ათასი. ნაკლები არ იქნებოდა. მატჩის ოქმშიც ასე დაფიქსირდა. ძალიანაც კარგი, თორემ ხშირად მავანნი ორ-სამ ათასს უმაყურებლო თამაშს მიაწერს ხოლმე.

ამ პრინციპულ თამაშზე მეტოქეები შესუსტებულნი გამოვიდნენ. მასპინძლებს მთავარი დამრტყმელი ძალა ფეხნატკენი კაიდარაშვილი აკლდათ, სტუმრებმა კი ერთბაშად რამდენიმე წამყვანი მოისაკლისეს. „ტორპედო“ თბილისურმა ოთხეულმა დაალალატა. ვაშაკიძეს, ჯინჭარაძეს, ყიფიანს და მეტრეველს თანაგუნდელებთან ორი კვირა არ უვარჯიშიათ და მათ არც გორში ჩასვლა იკადრეს, თუმცა აქ რომც გამოცხადებულიყვნენ ქუთაისელთა თავკაცი ჯემალ ხერხაძე მათ მაინც არ დააყენებდა, „ნოევიჩს“ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი — დეზერტირებს არ ვათამაშებო. არავინ დავობს ამ ოთხიდან პირველ სამს, ისევე როგორც გუნდის დანარჩენ წევრებს მართლაც აქვს პრეტენზიები „ტორპედოს“ გაუჩინარებულ მეპატრონესთან, მაგრამ ასე ხელაღებით გუნდის ინტერესების უგულველყოფას მაინც არ უნდა ჰქონდეს გამართლება. მეტრეველი კი წელიწადნახევარში, რაც იგი „ტორპედოში“ ირიცხება, ბესიკ ჯიქიამ სწორედ რომ სხვებზე მეტად ასარგებლა და...

ისე იმერლებს გორში თბილისელების გარეშეც არაფერი ჰქონდათ წასაგები. მათ პირველსავე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. ქებაძემ კარგად გაუჭრა მეგრელაძეს, რომელიც მეურვეს დაუსხლტა, საჯარიმოში წინ გამოსულ მეკარესაც აუარა გვერდი, მაგრამ რად გინდა, ათიოდე მეტრიდან, არცთუ მახვილი კუთხიდან ცარიელ კარს ააცილა. ამის შემდეგ თამაში კარგა ხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრები ცენტრის დაუფლებას და იქედან შეტევების ორგანიზებას ცდილობდნენ. მასპინძელთა ტაქტიკა უფრო მარტივი იყო. ისინი გრძელი პასებით, სწრაფი ფლანგური რეიდებით ლამობდნენ ფონს გასვლას. მე-18 წუთზე გორელებმა საჯარიმოს უფლება მოიპოვეს. გაგნიძემ 30 მეტრიდან გაისროლა. ბურთი ოდნავ აცდა ხარიხას. მერე ტორპედოელებმა ტემპს უმატეს და მასპინძელთა დაცვას დიდი ჯაფა დაადგა. ქუთაისელთაგან განსაკუთრებით მარჯვენა ფრთაზე მოთამაშე ქებაძე აქტიურობდა. 25-ე წუთზე ლევანმა ორი მცველი ჩამოიტოვა და გორელთა შუაგულ საჯარიმოში მყოფ მეგრელაძეს ჩაუწოდა, თუმც მან ვერც ამჯერად დაუფასა გარჯა პარტნიორს — თაური აუცდა.

„ტორპედოს“ უპირატესობა თანდათან აშკარა შეიქნა და ოთხი წუთის განმავლობაში სტუმრებმა გატანის რამდენიმე შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. ჯერ ჯანაშიას არ გაუმართლა, მისი დარტყმული მცირედით აცდა ძელს. შემდეგ ქებაძე გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ შეყოვნდა. ამას თურმანიძის ძალიან სახიფათო დარტყმა მოჰყვა. აქ მდივანმა იმარჯვა, ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქედან ჩაწოდებულზე უკვე იონანიძეს მოეცარა ხელი და თითქმის იქვე კვეტენაძემაც ვერ ისარგებლა ჯანაშიას პასით.

ტყუილად როდი ამბობენ: ვერ გაიტან-გაგიტანენ. ეს ფეხბურთის დაუწერელი კანონია. პირველი ტაიმის დასრულებას ოთხი წუთი აკლდა, როცა გორელებმა მარჯვნიდან შეუტიეს. ჩიტაია სწრაფად გაიჭრა ქუთაისელთა საჯარიმოსკენ. მას ჩხაბერიძე გადაეღობა, მაგრამ უხეიროდ. ჩიტაია თითქოს წაბარბაცდა, მაგრამ მაინც იძალა და საჯარიმოში სვლა გააგრძელა, კარის ხაზს მიუახლოვდა თუ არა მოკლე მაღალი გადაცემა გაუკეთა მარეხაშვილს და მანაც ახლოდან თაურით წინ გაიყვანა „დილა“.

შესვენების შემდეგ ქუთაისელთა უპირატესობა უფრო მოჩვენებითი იყო, მათ საერთოდ ველარ ააწყვეს თამაში, მაგრამ გაყაიმების შანსი „ტორპედოს“ მაინც ჰქონდა და ყველაზე რეალური 52-ე წუთზე, როდესაც შეცვლაზე შესულმა ვაჩიბერაძემ იონანიძის გადაცემის შემდეგ ახლოდან იქეთ დაუმიზნა სადაც მეკარე გოლკიპერი იდგა. ჰოდა, მდივანმაც იოლად აუღო. მასპინძლები რაციონალურად ირჯებოდნენ, თავსაც გააზრებულად იცავდნენ და კონტრშეტევებზეც სწრაფად გადადიოდნენ. 70-ე წუთზე მოსულიშვილმა საჯარიმოს გარედან ხარიხას გაარტყა. მერე იყო და ციცქიშვილი შეეცადა ქუთაისელთა კარის დალაშქვრას. ასლანაძემ ნახტომში მისი დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ იქეთკენ სადაც უმეთვალყუროდ მიტოვებული თაყაძე იდგა. გორელმაც არ დაახანა და ცარიელ კარში ზუსტად დაარტყა. ბოლოსკენ მასპინძლებს კაციც გაუძევეს (მაისურაძემ უკნიდან მოცელა ვაჩიბერაძე), მაგრამ „დილამ“ რიცხობრივ უმცირესობაშიც იხეირა, თაყაძის ზუსტი პასის შემდეგ მარეხაშვილს „დუბლის“ შესრულებაში ხელი ვერავინ შეუშალა, ასლანაძემაც კი, რომელიც ყველას გასაკვირად ქუთაისელთა შემადგენლობაში საუკეთესოდ იქნა მიჩნეული.

მატჩის შემდეგ გახარებულმა „დილას“ ფანებმა გამარჯვებულებს ხომ თავისთავად, დამარცხებულებსაც დაუკრეს ტაში. ჰმ... მანამდე მთელი საათნახევარი ტორპედოელებს (ერთად და ცალ-ცალკე) უმოწყალოდ კი აგინეს...

ბოლნისი
17 ოქტომბერი
16 საათი
თემურ სტეფანია
1000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:0 ოდიში

1:0 მ. სამხარაძე (24)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, გაგუა, ჯაგიდისი, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, დ. სვანიძე, დ. ჯაფარიძე, ე. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე, ქობელაშვილი, ძნელაძე
**ოდიში:** ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, ტაბაღუა, ჩადუნელი (თოლორაია 79), ბარქაია, მარკოზია (კუტალია 46), თოლორდავა, ენდელაძე
*სათადარიგონი:* ივარდავა, აკობია, ანჯაფარიძე
**გაფრთხილება:** ჩადუნელი (55), შაკიაშვილი (90)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), დ. თოდუა (თბილისი), თ. ჩაგელიშვილი (ქარელი); შ. ბერიძე (ასპინძა)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

**ხვიჩა სანიკიძე** ბოლნისიდან

შორი გზიდან სატრფოს არა და „ოდიშს“ კი ელოდნენ შაბათს ბოლნისელი გულშემატკივრები. ფანები ერთი საათით ადრე შეკრებილიყვნენ „თემურ სტეფანიას“ სტადიონის მისადგომთან და მუსაიფობდნენ. ჯერ იყო და ეროვნული ნაკრების ზოგიერთი ლეგიონერი გაატანეს წყალს, მერე „სიონზე“ ილაპარაკეს. შიგადაშიგ საათს კითხულობდნენ და თვალი ცენტრალური ქუჩისკენ გაურბოდათ, ზუგდიდის ავტობუსი ხომ არ გამოჩნდაო.

ერთმა ისიც კი ივარაუდა, „ოდიში“, ალბათ, წუხელ თბილისში გაჩერდა და ამიტომ იგვიანებსო.

თამაშამდე ნახევარი საათი რჩებოდა, როცა ზუგდიდელთა ავტობუსის „ბრწყინვალებამ“ მოგვჭრა თვალი. თუმცა ის მანქანა ისე ჰგავდა ავტობუსს, როგორც „ზაპოროჟეცი“ — „პორშეს“...

ჰოდა, გადმოვიდნენ ფეხბურთელები იმ ჯაბახანიდან და როცა ვკითხეთ, საიდან მოდიხართო, მათმა პასუხმა ბოლნისელი ქომაგის ვარაუდი გაგვახსენა... დედაქალაქში გამოძინება კი არა, დილის ხუთ საათზე წამოშლილან ოდიშარები საწოლებიდან და წამოლოლებულან ქვემო ქართლისკენ. უთენია ამდგართ უფიქრიათ, ქუთაისამდე მანქანაში ავინაზღაურებთო ძილს, მაგრამ ისე გაუტია თურმე ავტობუსის ძრავამ, ბევრს ფეხით წამოსვლის სურვილიც გასჩენია. შემდეგ კი იმერეთში შესულებს ცხრათვალა მზეც წამოსწევიათ და ფეხბურთელებიც შეგუებიან ბედს.

# ვაი, თუ გზაში დაიღალა?...

წარმოიდგინეთ, რვასაათიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ რა ფეხბურთი უნდა ეთამაშათ სტუმრებს? ფეხბურთის თამაში კი არა, ტრიბუნებზე ბოლნისელ ფანებს ერთი კარგი მეგრული „ნანა“ რომ დაემღერებინათ, შეხვედრის პირველ ნახევარში ზუგდიდელები, ალბათ, მინდორზე წამოწვებოდნენ...

მატჩის შემდეგ „ოდიშის“ მეკარე მამუკა ნაყოფიამ გვითხრა, მთელი თამაშის განმავლობაში ძრავის ღუღუნი ჩამესმოდაო ყურებში.

შეხვედრის წინ კი კიდევ ერთი უცნაური ამბავი მოხდა. „სიონის“ ფეხბურთელები ფრანგების მაისურების მსგავს თეთრ სამოსელში გამოწყობილნი მოთელვაზე აპირებდნენ გასვლას. სწორედ ამ დროს ოდიშარებმა თავიანთი შავად დაწინწკლული თეთრი პერანგი წარუდგინეს მსაჯებსა და სფფ-ს დელეგატს. აი, მაშინ უნდა გენახათ ოთარ გუნთაძის სახე.

დაფაცურდნენ მასპინძლები. ფრანგული ფორმები გაიხადეს და „სიონის“ ძველი, შავზოლებიანი გამოხუნებული მაისურები მოიძიეს. ჰოდა, ისმოდა გასახდელიდან — შვიდნომრიანი მაისური ვის აქვს? სად წავიდა თერთმეტნომრიანი? სულ ცამეტი პერანგი აღმოაჩინეს და იმის შიშით, რაიმე საჩოთირო არ დაგვემართოსო, სპარტაკ არჩვაძემაც ამ მატჩში შეცვლებისგან თავი შეიკავა.

ალბათ, მიმიხვდებით, რაც ზემოთ ვთქვით, ამის შემდეგ მიჭირს შეხვედრის სანახაობით მხარეზე საუბარი. მოკლედ გეტყვით, რომ თამაში „სიონმა“ პირწმინდად მოიგო, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, მათ მინიმუმ სამი ბურთი უნდა გაეტანათ.

გოლი კი მირზა სამხარაძემ გაახერხა. საჯარიმოს მისადგომებიდან ცაციათი აუღებელი დაურტყა ნაყოფიას.

სტუმრებმა მხოლოდ მეორე ტაიმში გაუმართეს თანაბარი ბრძოლა მეტოქეს, მაგრამ ერთი ხეირიანი მომენტის შექმნაც ვერ შეძლეს.

ჰო, კიდევ ერთი. „სიონის“ გუნდში კვლავ ითამაშა ვეტერანმა ჯაგიდისმა, რომელმაც ფეხბურთის მიტოვება მეორე წრისთვის გადადო.

რაც შეეხება დავით სოლოღაშვილს, იგი თურმე მინი-ფეხბურთის ტურნირზე წასულა და მისი განაცხადში შეყვანა ბოლნისელებს უგვიანდებათ.

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
ისანი
1 500 (5 000)

## არსენალი 5:1 გურია

1:0 ხოსროშვილი (10), 1:1 მახარაძე (28), 2:1 ტარიელაშვილი (49), 3:1 ზირაქიშვილი (64), 4:1 გველესიანი (71), 5:1 ზირაქიშვილი (85)
**არსენალი:** აბაშიძე, ფირცხალავა (ყუფარაძე 80), კაპანაძე, ვ. გველესიანი, ქიქავა, ყოლბაია (მ. მაისურაძე 83), ზირაქიშვილი, ლომიძე, ხოსროშვილი, კაკაშვილი (კორღალიძე 46), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* ჩლაიძე, გ. სულაძე, ამირიძე, ლაცაბიძე
**გურია:** ვარდანიძე, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, თიბილაშვილი, ინიაშვილი, დ. მახარაძე (ჩიკვილაძე 75), ჩიგოშვილი (ლორია 68), მელაძე, ბულუხია
*სათადარიგო:* პატარაია
**გაფრთხილება:** კვეკვესკირი (11), კაპანაძე (44)
**მსაჯები:** ს. კახიანი, ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე, დ. თოდუა (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

**პაატა ძვანტალიანი**

არმიელმა [illegible] ამჯერად მძლავრად დაიქუხა. „არსენალმა“ ამ სეზონში [illegible] დაამატა. მანამდე კი...

# გაისროლეს, თანაც როგორ!

„გურია“ მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გამოცხადდა „ისანზე“. ლანჩხუთელებს გზაში პრობლემები შექმნიათ, ხან იძულებით შეუფერხებიათ, ხანაც ავტობუსი გაფუჭებიათ, თუმცა, ასე იყო თუ ისე, ჯანელიძემ ამჯერადაც მოასწრო ჩამოსვლა (ამგვარივე სიტუაციაში აღმოჩნდა „გურია“ ბათუმში და ქუთაისში სტუმრობისას, ოღონდ მაშინ ლანჩხუთელებს მიზეზად ფინანსური პრობლემები ჰქონდათ). საცოდავ დღეშია „გურია“, მძიმე ფინანსურ კრიზისშია ჩვენი ქვეყნის ერთ დროს სახელოვანი გუნდი. მოთამაშეებს ერთი სული აქვთ, როდის გასრულდება პირველი წრე, ამ გუნდში გამჩერებლები აღარ ვართო — ამბობენ. მათი განწყობა გუნდის თამაშსაც დასტყობია, აგერ, ბატონო, შედეგიც — ლანჩხუთელები მეტოქეს და ვარდანიძეს უნდა უმადლოდნენ, ხუთის ნაცვლად ათი ბურთი რომ არ გაუშვეს.

შეხვედრა თხუთმეტი წუთის დაგვიანებით დაიწყო. საწყის ოცდაათ წუთში, მიუხედავად გაშვებული ბურთისა, სტუ- [illegible]

და ბურთს აბაშიძის კარში მიუჩინა ადგილი. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მოედანზე ერთი გუნდი დარჩა და „ისანზე“ მისულნი ოდნავადაც არ დავეჭვებულვართ, რომ „არსენალი“ შეხვედრას თავის სასარგებლოდ დაასრულებდა. მეორე ნახევარში შეცვლაზე შესული ლევან კორღალიძე აქტიურად ჩაერთო თამაშში და ზაზა ზირაქიშვილთან ერთად ლომის წილი დაიდო თავისი გუნდის გამარჯვებაში. ზირაქიშვილის გარჯა მართლაც აღნიშვნის ღირსია — ზაზამ თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ აშკარად მოუმატა. იგი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა, არაერთი ლამაზი იერიში განახორციელა და ორი ბურთის შეგდებაც მოახერხა. შეხვედრის ულამაზესი გოლი გველესიანმა გაიტანა — 28-30 მეტრიდან მის ყუმბარისებურ გასროლილს ლანჩხუთელთა მეკარემ მხოლოდ თვალი გააყოლა. მასპინძელთა დანარჩენ გოლებზე არ შევჩერდები, ისინი არმიელთა გამუდმებული შეტევების ლოგიკური დაბოლოება იყო.

[illegible]



დავით ტარიელაშვილმა ალექსანდრე განევის „გურიასაც“ გაუტანა

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1500 (75 000)

## დინამო 7:2 იბერია

1:0 კიკნაძე (2), 2:0 მუჯირი (17), 3:0 აშვეთია (39), 4:0 შენგელია (52), 5:0 ლურსმანაშვილი (56ს.კ.), 6:0 აშვეთია (61), 6:1 ივეჩიანი (67), 6:2 ჭელიძე (69), 7:2 შენგელია (71)
**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე (ქემოკლიძე 60), ზ. ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი, გუჩუა (კვარაცხელია 55), კიკნაძე, ლ. მიქაძე (ა. სახვაძე 65), აშვეთია, ზ. არჩვაძე, გ. შენგელია
*სათადარიგო:* სოლოლაშვილი
**იბერია:** გ. დოლიძე (ჩაჩუა 46), სადილიანი, გ. ლუსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ივეჩიანი 57), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, თოდუა, ბრეგვაძე (გ. ჭელიძე 22)
*სათადარიგონი:* მუმლაძე, მიქელთაძე, გაბრიჭიძე, ბაკურაძე
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

# წააგეს? აი, დარდი!

კონსტანტინე გოგიშვილი

ვინ იცის, რა ანგარიშით არ წაუგიათ სამტრედიელებს მარად ჩემპიონთან... 6:0, 9:1, 8:0. 3:0-ზე და ასეთებზე არას ვამბობთ. და აჰა, 7:2-ც. ვაი ასეთ ფეხბურთს და ასეთ ჩემპიონატსაც ვაი. ისე ხალხი მაინც დადის მეათე ეროვნულის მატჩებზე. აფერუმ, მათ გაძლებას. „გარევოის" რაც შეეხება, ძველებურად ზუსტად ჩემპიონატის მატჩის დაწყებას დაამთხვიეს ვარჯიში და წიდის მოედანიც მოვარჯიშე ბიჭუნებით იყო სავსე.

„დინამო" — „იბერიას" თამაშზე კი მოსაყოლი გვაქვს და არცა გვაქვს. როდესაც შეხვედრაში ცხრა გოლი გადის, იგი თავისთავად იმსახურებს აღწერას, მაგრამ ჩვენს ეროვნულში დიდი ანგარიში არავის უკვირს და ტურში ერთი-ორი ასეთი შეხვედრა უკვე მოთხოვნილებლადაც კი გვექცა. სხვამხრივ რა, „იბერია" მშვენივრად ირჯებოდა თავდასხმაში, დამაკმაყოფილებლად ნახევარდაცვაში და პირდაპირ საზიზღრად გამოიყურებოდა დაცვაში. ყოველ თამაშში რომ ცვალოს ბადრი ქორიძემ მეკარეები, გუნდის კარს მაინც ამოავსებენ მეტოქენი. იმერლებს დაცვა არ გააჩნიათ და მიტომაც. ათ თამაშში ოცდახუთი გოლიც ამის დასტურია არ არის?!

დინამოელთა გოლები ნებისმიერ გემოვნებას დააკმაყოფილებდა: თავით, ფეხით, შეუჩერებლად, მოულოდნელად, სტანდარტულიდან (კუთხურიდან)... ერთი სიტყვით, „დინამოს" გაჰქონდა ისე, როგორც უნდოდა და იმდენი, რამდენიც სურდა. იმერლებმა კი პენალტების შემდეგღა შეძლეს ორი ბურთის გაქვითვა. მათი პირველი გოლი ხუჭუას გაცუდებულ თერთმეტმეტრიანს მოჰყვა, როცა ივეჩიანმა დაამატა და მეორე პენალტი კი ჭელიძემ გაიტანა ყოველგვარი მუხლის კანკალის გარეშე. ისე კი პენალტები ტყუპისცალივით მსგავსი აიკიდეს თბილისელებმა — კვარაცხელიამაც და ქემოკლიძემაც იმგვარი გამოუსვეს ხუჭუას და ივეჩიანს, „პაიჭაძეზე" დამსწრე მაყურებელს ნერწყვი მოადგა (ალბათ გუცაევისეული პენალტები თუ გაახსენდათ).

„იბერიას" სამი-ოთხი აშკარა გოლის გატანა კიდევ შეეძლო. ჩომახიძემ, ხუჭუამ, ისევ ჩომახიძემ, გიგიაძემ საკმაოდ აცუდეს, მეორე მხარეს შენგელია-აშვეთიას ტანდემმა აზანზარა ძელები.

დასკვნის სახით კი იმასაც დავსძენთ, რომ ქართულ გუნდებს აღარც კი სწყინთ ხოლმე წაგება. არავითარი სირცხვილი, რის სინანული, რა სინდისის ქენჯნა. „იბერიაც" იმგვარი იერით შეიმალა გვირაბში, თითქოს ესაა დიდგორის ბრძოლა მოეგოს.

ისე, ფეხბურთელებსაც შეიძლება გავუგოთ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოგებასა და წაგებას ერთი ფასი აქვს — მოიგებ, მეორე ადგილს ვერ ასცდები, წააგებ და აი, დარდი, გასავარდნი და განწირული ხომ ჩემპიონატის სტარტზევეა ცნობილი.

მცხეთა
17 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3 000)

## თსუ 2:4 კოლხეთი

1:0 კაკუბავა (2), 1:1 ქობულაძე (33), 1:2 წივწივაძე (39), 1:3 გაბისონია (42), 1:4 წივწივაძე (58), 2:4 წიტაიშვილი (63პ)
**თსუ:** გაბელია, გ. ილურიძე, ზამთარაძე (ნინუა 46), ვ. ლუდუშაური, ებრალიძე (ბახტაძე 60), ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი, ო. სულაძე, ინწკირველი, კ. სვანიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ტორჩინავა (გოროზია 35), კალანდაძე (დ. ნოზაძე 57), ახვლედიანი, შალამბერიძე, ლალანიძე, სუხიაშვილი (გიორგობიანი 80), გვასალია, გაბისონია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუნთელია ქუტიძე, შავგულიძე
**გაფრთხილება:** კაკუბავა (78)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი) გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. დარჩია (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

# კოლხები ხარობენ და იმუქრებიან

გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან

ჩაიარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევთა ციებ-ცხელებამ, ქართველთა გმირობის ამბავიც ვიხილეთ. ახლა კი ეროვნულმა ჩემპიონატმა შეგვახსენა თავი. აგერ კოლხებმა ლიხს აქეთ გამოსწიეს და ოდინდელი დედაქალაქიდან დამსახურებული სამი ქულაც წაიღეს. წლევანდელ სეზონში ეს მათი პირველი საგარეო მოგებაა. მართალია, ფოთელები დებიუტშივე მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ თავიანთი გამარჯვება საეჭვო არ გაუხდიათ. კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ დანაპირები შეასრულა და თავდასხმაში წივწივაძეს ახალშემატებული გელა გაბისონია შეუწყვილა, მათ უკან კი გვასალია გაამწესა. ჰამლეტმაც შვება იგრძნო და ამათი დუეტი, უეჭველია, დიდ თავსატეხს გაუჩენს მეტოქეებს. ეტყობა, ფილიამ ნაყოფიერად გამოიყენა ორკვირიანი იძულებითი შესვენება და ყოველდღიური ორჯერადი ვარჯიშები. გელა გაბისონიას წინა ხაზში გადაყვანით კი ეს რგოლი საგრძნობლად გააძლიერა. სტუდენტებს ამ შეხვედრისთვის ახალგაზრდულ ნაკრებში მივლინებული ორი კლიმენტი, წიტაიშვილი და ნინუა კი დაუბრუნდათ, მაგრამ ძირითადი მეკარე ზურაბ ბათიაშვილი მოისაკლისეს. ბათი კოპალეიშვილის ნაკრების წევრია და უნგრეთის ტრიუმფატორები სწორედ თამაშის დღეს უნდა ჩამოსულიყვნენ სამშობლოში.

მატჩის დასაწყისი სტუდენტებისა იყო, მათმა ადრეულმა გოლმა კოლხები დააბნია. შეხვედრა დაიწყო თუ არა, მასპინძლებმა მეტოქის კარს შეუტიეს და წიტაიშვილი ქვაჩახიას შეატოვეს, მეკარემ კი უხერხულად დარტყმული კუთხურზე გადააგდო. იქიდან მოწოდებული მცველებმა მოიგერიეს, ზაზა ზამთარაძემ კი ერთი შეხებით უმეთვალყურეოდ მიტოვებული კაკუბავა მონახა. დემურმა, მართალია სუსტად დაარტყა, მაგრამ თსუ-ს დასაწინაურებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. გოლი კი კურიოზული იყო — ბურთი ქვაჩახიას ფეხებში აებლანდა და კარში აღმოჩნდა. ქვაჩახიაზე აუგს ვერ ვიტყვით, იგი მართლაც კარგი მეკარეა, ერთი ორჯერ ძნელად ასაღები ბურთებიც გამოაძრო ცხრიანიდან, მაგრამ ორივე გაშვებულ გოლში მას მიუძღოდა ბრალი. სტუდენტების მიერ გატანილი პენალტიც სუხიაშვილთან შეუთანხმებელი მოქმედებას მოჰყვა შედეგად, როცა მეკარემ როსტიაშვილი წააქცია.

ამ უიღბლობამ ფოთელები დააბნია. ისინი ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ქაოსურად უტევდნენ, თსუ-მ კი კონტრშეტევებზე ამჯობინა თამაში, მომენტებიც ასე თუ ისე ჰქონდათ, რამდენჯერმე წიტაიშვილმა შორიდანაც გაისროლა, თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ქვაჩახიამ ყველა გააუვნებელყო. აი, 32-ე წუთზე წიტაიშვილს კარისთვის რომ დაემიზნებინა, კოლხებს ვერც ქვაჩახია უშველიდა. მანამდე სტუმრებს ერთადერთი რეალური მომენტი შეექმნათ. სუხიაშვილის მიერ კუთხურის მოწოდებისას წივწივაძემ ყველას დაასწრო. კარიდან ხუთიოდ მეტრში ფეხი ძლიერადაც მოიქნია, მაგრამ არაზუსტად. სტუდენტები ალბათ ამგვარადვე გააგრძელებდნენ, რომ არა მიხეილ ქობულაძე. 33-ე წუთზე შეტევაში ჩართულმა მცველმა ყველასთვის მოულოდნელად ძლიერად დაჰკრა ბურთს და გაბელია ადგილზევე გააშეშა. ცხრიანში შეფრენილი გოლი ლამაზი და სტუდენტთათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამან მასპინძლები გატეხა, რითაც ზღვისპირელებმა ისარგებლეს და სამ წუთში ორჯერაც იხეირეს. 39-ეზე, როცა კალანდაძე კუთხურს აწოდებდა, არეულობაში წივწივაძემ იყოჩაღა და სტუდენტთა მეკარე დაალონა, ხოლო 42-ეზე გაბისონიამ დებიუტი გოლით აღნიშნა. იგი პირისპირ დარჩა მეკარესთან და მის შესახვედრად გამოსულ გაბელიას აუღელვებლად გადაუგდო ბურთი თავზე. გელას წუთის შემდეგ დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ თანამსაჯმა არ აცალა, თამაშგარეს მანიშნებელი ალამი აწია.

მეორე ნახევარში ფილიამ სათამაშო ტაქტიკა შეცვალა, კოლხებმა შეგნებულად დაუთმეს ცენტრი სტუდენტებს და კონტრშეტევით აპირებდნენ ფონს გავლას. მათი თითქმის ყოველი მეორე კონტრშეტევა ხიფათს უქმნიდა თსუ-ს, რის ნათელი დადასტურებაც წივწივაძის დუბლია. ჰამლეტმა მცველების შეცდომით ისარგებლა და გაბელიასთან მარტოდ დარჩენილმა მეოთხე გოლი შეაგდო. 63-ე წუთზე კი ზემოთ ნახსენები პენალტი გავიდა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან წიტაიშვილმა დაარტყა, თუმცა არცთუ უნაკლოდ, ქვაჩახიამ ლამის აუღო 2:4. შეხვედრის მიწურულს საგოლე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. 83-ე წუთზე ჭუმბურიძის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულს ლევან მაღრაძე მაკრატელათი შეეგება, მაგრამ არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა. წუთის შემდეგ კი გაბისონიამ ვერ იხეირა — ბურთიანად საჯარიმოში შესულს ძლიერად გასროლილი გაუცუდდა.

ასეა თუ ისე, კოლხებმა მორიგი სამი ქულა მიუმატეს თავიანთ აქტივს და წინ გაჭრილ ლიდერებს მიუახლოვდნენ, მით უმეტეს, რომ მათმა უშუალო კონკურენტებმა ქუთაისელებმა და ბათუმელებმა ქულები დაკარგეს. ამან კი ზღვისპირელები ძალიან გაახარა.

რუსთავი
17 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
1500 (ტევადობა) 10 700

## გორდა 0:0 ბათუმი

**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, გაბელაია, ზირაქაძე, ქოიავა (ტარტარაშვილი 34), ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ი. ხუჯაძე, კოპალიანი, ჩოხელი, დ. მენთეშაშვილი, შ. კაპანაძე
**ბათუმი:** მალაყმაძე, პაპიძე, თორლაშვილი, სიჭინავა, კანტიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია (ყულეჯიშვილი 73)
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, ვერემჩუკი, მჟავანაძე, ნადირაძე, მაქაცარია
**გაფრთხილება:** ტულუში (78), ყულეჯიშვილი (81)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

# აჩრდილი ფოლადზე

ვანო ოქროპირიძე რუსთავიდან

არა, „ბათუმს" ამგვარი თამაშით ევროტურნირები კი არა, ხუთეულიც სანატრელი გაუხდება. უკვე სამი მატჩია, ზღვისპირელებს გამარჯვების სიტკბო არ უგემნიათ, თუმცა არც დამარცხებულან. ათ შეხვედრაში უფრო მეტი ქულა დაკარგეს, ვიდრე მოიპოვეს. წლევანდელი „ბათუმი" შარშანდელის აჩრდილია.

ეს რუსთავში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მატჩი დუნედ დაიწყო და ბოლომდე ასე გაგრძელდა. პირველ ტაიმში მცირე ტერიტორიულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, თუმცა ქორიძის კარს რეალურად ერთხელაც არ დამუქრებიან, თავად კი ორჯერ აშკარად გადარჩნენ. 26-ე წუთზე მასპინძელთა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ კილასონია კართან ახლოს ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ შეყოვნდა და იქვე ზირაქაძეს დაუგორა, რომლის უხეიროდ დარტყმული ბურთიც მცველს შეეხო და კუთხურზე გავიდა. კუთხურიდან ჩაწოდებულის მოგერიება მახარაძემ სცადა, მაგრამ ბურთი თავზე აეჭრა და კარს სანტიმეტრებით ასცდა.

მეორე ტაიმში მოედანზე ვითარება შეიცვალა. „ბათუმი" თავის ნახევარზე დასახლდა და კონტრშეტევებზე ააგო თამაში, თუმცა ესეც არ გამოსდიოდა. რუსთაველები კი უტევდნენ, მაგრამ მათი იერიშებიც საჯარიმოს მისადგომებთან იშლებოდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა რამდენიმე საგოლე მომენტის შექმნა მაინც მოახერხეს. 50-ე წუთზე კილასონიას მოჭრილი ჯარიმა კარის ხაზზე მდგომმა ჭიჭვეიშვილმა მოიგერია. ბურთი იქვე მყოფ ზირაქაძეს მიუვიდა, მის დარტყმულს ამჯერად მეკარე გადაეღობა, თუმცა ზირაქაძემ დაამატა და კარის ბადეც შეარხია, ოღონდ გარედან. 65-ე წუთზე ბათუმელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შეცდნენ, მაგრამ ჩუხუა და სახვაძე მოულოდნელობისგან დაიბნენ, მალაყმაძემ კი მათ გონს მოსვლა არ აცალა. შეხვედრის მიწურულს მსაჯმა ბურთიანად საჯარიმოს გარეთ გასვლისათვის მეკარე დააჯარიმა და სტუმართა კარში თავისუფალი დანიშნა. ამან ბათუმელები აღელვა, კანტიძეს კინაღამ ლაინსმენიც შემოელახა. 16 მეტრიდან ჯარიმა კილასონიამ შეასრულა, თუმცა კედელს ვერ აცილა. მატჩიც ამგვარად, 0:0 დასრულდა.

ბოლოს ორიოდე სიტყვა მსაჯობაზეც ვთქვათ. კვარაცხელიამ რამდენჯერმე აშკარად დაინდო სტუმრები. პირველ ნახევარში ჩუხუა სიჭინავას გაექცა და მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მცველმა წააქცია. მსაჯმა კი ყვითელიც არ უჩვენა სიჭინავას, რომელიც გაძევებას იმსახურებდა. მეორედ, მატჩის ბოლოს, არბიტრმა კანტიძეს თანამსაჯის შეურაცხყოფა აპატია. სამაგიეროდ, ტულუში დასაჯა მაშინ, როცა ეს სულაც არ იყო საჭირო.

წყალტუბო
17 ოქტომბერი
16 საათი
26 მაისი
150 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 1:2 ლოკომოტივი

1:0 მახვილაძე (27), 1:1 გოდერძიშვილი (54), 1:2 მელქაძე (74)
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, დ. ჭელიძე, მახვილაძე, ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე (ფაიქიძე 65), თევდორაძე, კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ზ. ქუთათელაძე, ლონლაძე, ფილიპაშვილი, დარსაძე
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი (ნ. მინდიაშვილი 40), თარხნიშვილი, გოგოლაძე, კ. მელქაძე, ბაქრაძე (კოტორაშვილი 65), დაუშვილი (მარლიშვილი 46), დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, მ. მინდიაშვილი, ხორგუაშვილი
**გაფრთხილება:** კაციაშვილი (34), ბაქრაძე (58), ფრანგიშვილი (60), ფაიქიძე (70), თარხნიშვილი (72), კოტორაშვილი (75), დ. ჭელიძე (81), მარლიშვილი (81)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** თ. ფანიაშვილი

# ...და ნაკვალევს წვიმა შლის

კონსტანტინე გოგიშვილი წყალტუბოდან

წვიმდა წყალტუბოში მატჩამდე და მის შემდეგაც, ალბათ, გაიოზ დარსაძის გულშიც წვიმდა. ყველაფერი იღონა ამ კაცმა, ტაქტიკაც ჭკვიანური დაუპირისპირა მახარაძეს და კომპანიას, ფეხბურთიც გამართული, მაგრამ როგორც მატჩის შემდეგ თვითონვე თქვა, „ლოკომოტივის" თერთმეტივე ფეხბურთელი მის თერთმეტეულს სჯობდა და „სამგურალიც" თავს ზემოთ ვერ ახტა. ეცადნენ კი იმერლები მოგებას, კარგადაც ეცადნენ.

მთელი პირველი ტაიმი „სამგურალის" კარნახით მიმდინარეობდა. მეთერთმეტე წუთიდან მოყოლებული, როდესაც პირისპირ გასულმა ძაგნიძემ აშკარა საგოლე გააცუდა, იმერლებს ეჭირათ შეხვედრის სადავეები. საქმე საგოლე მომენტებში როდია, სამ-ოთხჯერ „ლოკომოტივმაც" გაილაღა და მწვავედაც. მნიშვნელოვანი უფრო ის იყო, რომ წყალტუბოელებმა მთლიანად თავისი თამაში მოახვიეს თავს სტუმრებს. აკი არაერთი ტაშიც მოსწყვიტეს მცირერიცხოვან მაყურებელს, ერთგულად რომ ილუმპებოდა თითქმის ცარიელ ტრიბუნებზე.

მასპინძელთა გოლი მთლიანად დავით ჯანელიძის დაბნეულობის ნაყოფი აღმოჩნდა. მეკარემ მცველის უხერხულად დაბრუნებული, ასევე უხერხულად (კარის გასწვრივ) კუთხურისაკენ მოისროლა, იქიდან ჩამოწოდებული ბურთი კი ცოტაოდენი ტრიალის შემდეგ მახვილაძეს მიუგორდა, რომელმაც გამიზნულად ჩასვა მეკარისგან მარცხენა კუთხეში. ამის შემდეგ ტაიმი წყალტუბოელებმა ღირსეულად მიიყვანეს ბოლომდე.

აი, მეორე ნახევარში რკინიგზელთა საშემსრულებლო უპირატესობა გამოიკვეთა. მასპინძლები ძველებურად ინდომებდნენ, მაგრამ ბევრი აღარაფერი გამოსდიოდათ. ერთიორჯერ ბურთის ამოტანისთვის გამწესებული ფრანგიშვილიც შეცდა და ბოლოსდაბოლოს რკინიგზელებმაც ისარგებლეს ამით. ჯერ იყო და, მახარაძის შეგირდებმა ჩვეულ სტილში კონტრშეტევაზე დაიჭირეს მეტოქე. კახა გოგოლაძემ ბურთზე ჭვინტის წაკვრაც დაასწრო მცველებს და მეკარისგან ასხლეტილი გოდერძიშვილმა აუღელვებლად გადაგზავნა ცარიელ კარში.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მოედანი წყალთან ერთად ემოციებითაც გაიჟღინთა (არც მანამდე კინკლაობდნენ ნაკლებს მეტოქეები). ცენტრში, საჯარიმოს მისადგომებთან, აუტის ხაზთან — ყველგან აყალმაყალი და ძიძგილაობა იმართებოდა. მალალურაძეც არ იშურებდა ყვითელ ბარათებს და თუკი უსამართლოდ დასჯილ წყალტუბოელთა მწვრთნელს ჩავთვლით, ჯამში ცხრა ყვითელ ბარათსაც მოუყარა თავი.

თამაშის დამთავრებამდე ოციოდე წუთით ადრე მალალურაძემ საეჭვო ჯარიმა დანიშნა „ლოკომოტივის" სასარგებლოდ. წყალტუბოელებმა არასწორად დააყენეს კედელი, მეკარეც შეცდა, ბურთი ილლიაში გაუძვრა და რკინიგზელებიც დაწინაურდნენ. ამის მერე „ლოკომოტივი" დაცვაში ჩადგა და უნდა ითქვას, ღირსეულადაც დაიცვა თავი, არ უნდა დავივიწყოთ მეკარე ჯანელიძის ჩინებული გარჯაც. დათომ კარში წასული და არწასული ყველა ბურთი დაიჭირა.

ბოლო ათწუთეულში იყო ერთი საეჭვო მომენტიც, როცა მალალურაძემ პენალტი არ დადო „ლოკომოტივის" კარისკენ, თუმცა კი ბურთი აშკარად მოხვდა ხელზე რკინიგზელ მცველს. მერე ფაიქიძე და მალალურაძეც წალაპარაკდნენ, რომელიღაც გულშემატკივრის ნასროლმა ქვამ თანამსაჯი რაზმაძეც ჩააჩოქა და შეხვედრაც მორჩა. მოსახდენი მერე მოხდა...

მსაჯები ესკორტით შეაცილეს სამსაჯოში, თემურ ფაიქიძე მალალურაძის გინებით შევარდა გასახდელში, გაიოზ დარსაძემ კი გულისტკივილი ჟურნალისტებს გაგვიზიარა — თითქოს მნიშვნელოვანი შეცდომა არ დაუშვია მსაჯს, მაგრამ იქ არასწორი ჯარიმა დაგვიდო, აქ მე გამაფრთხილა უსაფუძვლოდ, ფეხბურთელებსაც ნერვები მოუშალა და აჰა, წავაგეთ... ბიჭებს კი ნურვინ დამიძრახავს, თავი დადეს და 85 ლარად, მეტს ვერც სხვები გააკეთებენო.

წვიმას რაც შეეხება, ბოლოსთვის მეტად წამოუშინა, აალებული გულშემატკივარიც ჩააცხრო, მოედანზე ნახერხის ხაზებიც წაშალა და საერთოდ, ოციოდ წუთში „26 მაისის" სტადიონს ახალნათამაშევისა არაფერი ეცხო.

## ინგლისი

# შაშვები და გაზას ალავერდი

IX ტური

**ქოვენთრი 1:0 შეფილდი**

1:0 დაბლინი (74)
ქოვენთრი: ჰედმენი, ნილსონი, შოუ, ბრინი, ედვორსი, მაკალისტერი, ბოტენგი, ტელფერი (ჰაკერბი 64), ფროგეტი, ვილანი, დაბლინი
შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, იონკი, უოლკერი, კარბონე (უიტინგემი 82), ბუტი, ჰემპრისი, ბრისკო, ტომი, ალექსანდერსონი, სონერი
გაფრთხილება: ტელფერი
მსაჯი: ელერეი

**არსენალი 1:1 საუთჰემპტონი**

1:0 ანელკა (34), 1:1 ჰოუელსი (67)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვინტენბერნი, ვიეირა, ადამსი, ანელკა, ბერხკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ (ვრე 81), პ. ჰიუზი
საუთჰემპტონი: ჯონსი, ლუნდეკვამი, მონკუ, ოკლი (ლე ტისიე 66), ჰიუზი, ოსტენსტადი, ჰოუელსი, რიპლი, ბენალი, ბრიჯი, უორნერი (ჰილი 34)
გაფრთხილება: ოვერმარსი, ჰიუზი, მონკუ, ჰოუელსი, ლე ტისიე
მსაჯი: ვინტერი

**ჩელსი 2:1 ჩარლტონი**

1:0 ლებეფი (183), 1:1 იუდსი (58), 2:1 პოიეტი (88)
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი (უაიზი 54), ლაუდრუპი, პოიეტი, კაზირაგი (ტ. ა. ფლო 73), დაბერი, დი მატეო, ფერერი, ძოლა (პეტრესკუ 73)
ჩარლტონი: ილიჩი (პეტერსონი 44), მილსი, პაუელი, რედფერნი, რუფუსი, იუდსი, კინსელა (ჯონსი 84), ჰანტი, მენდონკა, მორტიმერი (რობინსონი 76), ტილერი
გაფრთხილება: ფერერი, დი მატეო, უაიზი, ილიჩი, ტილერი, რუფუსი
მსაჯი: დანი

**ევერტონი 0:0 ლივერპული**

ევერტონი: მირე, კლილენდი, ბოლი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ფერგიუსონი, ჰაჩისონი, შორტი, გრანტი (კადამარტერი 57), ბაკაიოკო (უორდი 68)
ლივერპული: ჯეიმსი, სტაუნტონი, მაკმანამანი, ფაულერი, ოუენი, რედნაპი (მაკატირი 45), ჰეგემი, ბერგერი (რიდლე 87), ინსი, ბიორნობიუ, კარაგერი (კვარმე 50)
გაფრთხილება: კლილენდი, ანსუორსი, ჰაჩისონი, ბიორნობიუ, ინსი, ფაულერი, რიდლე
მსაჯი: დარკინი

**ვესტ ჰემი 0:0 ასტონ ვილა**

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი (იმპეი 74), პირსი, რ. ფერდინანდი, დიქსი, ლომასი, ლამპარდი, ბერკოვიჩი, რაიტი (კიტსონი 80), ჰართსონი, სინკლერი
ასტონ ვილა: ოუქსი, ჩარლზი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, კოლიმორი, მერსონი, ტომსონი, ბარი, ჰენდრი
გაფრთხილება: კოლიმორი, ტომსონი
მსაჯი: ელკოკი

**მანჩესტერი 5:1 უიმბლდონი**

1:0 კოული (19), 1:1 იუელი (39), 2:1 გიგზი (45), 3:1 ბექემი (48), 4:1 იორკი (54), 5:1 კოული (88)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, ბექემი (კრუიფი 57), კოული, გიგზი (სქოულზი 67), ფ. ნევილი (კერტისი 74), ბლომკვისტი, კინი, იორკი, ბრაუნი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი (ერდლი 45), პერი, ბლექველი, ტეტჩერი, ერლი, რობერტსი, ლიპერნი (გეილი 45), ჰიუზი, იუელი
გაფრთხილება: სტამი, რობერტსი
მსაჯი: უილარდი

**ნიუკასლი 2:1 დერბი**

1:0 დაბიზასი (13), 2:0 გლასი (17), 2:1 ბარტონი (73)
ნიუკასლი: გივენი, პირსი, ბეტი, ლი, შირერი, შარვე, გლასი, სოლანო (სპიდი 87), დალგლიში (ქეცბაია 90), გრიფინი, დაბიზასი
დერბი: ჰოულტი, კარბონარი, პაუელი, სტარიჯი, ვანჩოპე, დელაპი, ლაურსენი, პრაიორი, კერსლი, ერანიო (შნური 45), ბაიანო (ბარტონი 65)
გაფრთხილება: დაბიზასი, კერსლი, შნური
მსაჯი: ბურგი

**მიდლსბრო 2:1 ბლექბერნი**

0:1 შერვუდი (56), 1:1 რიკარდი (833), 2:1 ფლემინგი (90)
მიდლსბრო: ბერესფორდი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, მუსტო, ბეკი (დინი 58), თაუნსენდი, რიკარდი, სამერბელი (სტამპი 58), კუპერი
ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, დევიდსონი, შერვუდი, პიკოკი, ენჩოსი, ფლიტკროფტი, დევისი, უილკოქსი, დაფი, ჯონსონი
გაფრთხილება: ფესტა, ბეკი, მუსტო, პიკოკი, დევიდსონი
მსაჯი: რენი

**ნოტინგემი 1:1 ლიდსი**

0:1 ჰალე (53), 1:1 სტოუნი (85)
ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი (ჯონსონი 54), ჩეტლი, ჰილდი, სტოუნი, ჯემილი (ფრიდმენი 86), შიპერლი, ბარტ-ვილიამსი, არმსტრონგი, ბონალაირი, დარჩევილი (გრეი 60)
ლიდსი: მარტინი, რადებე, ჰასელბაინკი (რიბეირო 79), ბოუერი, ჰოფკინი, გრენვილი, კიუელი (უაინშარდი 89), ჰიდენი, ვუდგეიტი, მოლენაარი, მაკფაილი (ჰალე 45)
გაფრთხილება: როჯერსი, ჩეტლი, გრენვილი, ჰასელბაინკი, კიუელი
გაძევება: გრენვილი (31)
მსაჯი: ვიკი

**ლესტერი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 ფერდინანდი (12)
ლესტერი: სინკლერი, სევიჯი, ჯაპი, სინკლერი, ელიოტი, ტაგარტი, იზეტი, ლენონი, ალერტონი, ჰესკი, კოტი
ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი, ფოქსი, ანდერტონი, ფერდინანდი, ედინბურგი, ჟინოლა, ვეგა, კემპბელი, კლემენსი
გაფრთხილება: ტაგარტი, ალერტონი
მსაჯი: ვიკი

როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სეზონის დასაწყისში დუაიტ იორკის სანაცვლოდ „ასტონ ვილას“ 21 მილიონი დოლარი გადაუხადა, ყველას, ინგლისელსაც და არაინგლისელსაც, ეგონა, რომ კლუბის მეორე ზანგი ფორვარდი ენდი კოული თავისი კარიერის სხვაგან გაგრძელებაზე დაიწყებდა ფიქრს. მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო — „შავი დუეტი“ მშვენივრად ათამაშდა ერთად და ბოლო ორ ტურში მეტოქის კარში გატანილი რვა გოლიდან 5 თავის აქტივში ჩაიწერა.

შაბათს, „იუნაიტედმა“ „უიმბლდონი“ რომ შეარცხვინა, სწორედ კოულისა და იორკის „ბრალია“. პირველმა ამჯერად ორჯერ იხეირა, დებიუტში და მატჩის მიწურულს, ხოლო ტრინიდადელმა ფორვარდმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა.

— ჩემი ჩანაფიქრი რეალობად იქცა. არასდროს მეპარებოდა ეჭვი, რომ კოულ-იორკის ტანდემი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იქნებოდა და ძალიან მიხარია, რომ ეს სწორედ ასეა. იმედი მაქვს ისინი მომავალშიც ბევრს გაამწარებენ — მანჩესტერელთა სქოთი თავკაცი ალექს ფერგიუსონი შავკანიანთა ბრწყინვალე თამაშით აღფრთოვანებული იყო.

ამ გამარჯვებით „იუნაიტედმა“ სატურნირო მდგომარეობა მეტად გააუმჯობესა. ახლა ოლდტრეფორდელებს 17 ქულა და „ასტონ ვილაზე“ ერთი თამაშით ნაკლები აქვთ. თავის მხრივ, ბირმინგემელები 21 ქულით კვლავ ერთპიროვნულ ლიდერებად რჩებიან. არადა, „ასტონ ვილას“ დიდი შანსი ჰქონდა 21-ის ნაცვლად 23 ქულა დაეგროვებინა და უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი. ამისთვის ლონდონში, „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში ერთი ზუსტი დარტყმის შესრულება იყო საჭირო, მაგრამ მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა.

უდიდეს ინტერესს იწვევდა დიდი ისტორიის მქონე დერბი ლივერპულში. ყველა ელოდა, რომ ეს მიმდინარე სეზონის ყველაზე თვალწარმტაცი და ჯიგრიანი პაექრობა იქნებოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „მერსისაიდული“ დერბი წლის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი, არაფრისმთქმელი თამაში იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გუნდები რაგბის თამაშობდნენ. საუბარი მარტო უხეშობასა და ძალისმიერ თამაშზე არ გვაქვს — „ლივერპულიც“ და „ევერტონიც“ სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ბურთი თავისუფალ ზონებში გადაეგდო, იქ კი დაეწეოდა თუ არა მას ვინმე, არავის ენაღვლებოდა. ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი იბრაჰიმ ბაკაიოკომ, რომელიც „ევერტონმა“ სულ ახლახან შეიძინა ფრანგული „მონპელიედან“, თანაც საკმაოდ მოზრდილ თანხად. კოტდივუარელი ფორვარდის, ისევე როგორც ორივე გუნდის, გარჯა გარკვეულწილად აბსურდულ ხასიათს ატარებდა.

ჩრდილში მოექცა მაიკლ ოუენიც, რომელიც ბევრს კი დარბოდა, მაგრამ საინტერესო ვერაფერი შემოგვთავაზა. ამ წამოწყებაში მას მხარი აუბეს სტივ მაკმანამანმა, პატრიკ ბერგერმა, რობი ფაულერმა, ვისაც აშკარად ეტყობა, რომ 7 თვე ბურთს არ გაკარებია და სხვა თანაგუნდელებმა. მოკლედ, შაბათს ლივერპულში გამართულ შეხვედრას დერბისა არაფერი ეტყობოდა და მან ძალიან ბევრ ქომაგს გაუცრუა იმედები.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — უიმბლდონი. კოული იორკს შეაჯდა, მანჩესტერი — უიმბლდონი

იგივე მოუვიდათ ლონდონელ გულშემატკივრებსაც, რომლებიც მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ პირდაღებულნი შეჰყურებდნენ ტაბლოს. იქ კი ეწერა „არსენალი“ — „საუთჰემპტონი“ 1:1. დიახ, ვარსკვლავებით გადეჭედილმა ინგლისის ჩემპიონმა ვერ მოუგო გუნდს, რომელსაც 9 თამაშიდან 1 (!) ქულა ჰქონდა, რა თქმა უნდა, ბოლო ადგილზე იმყოფებოდა და სააგენტო „როიტერის“ მიერ წარმოებულ საკლუბო რეიტინგში 374-ეა. მართლაც უცნაური რამ არის პრემიერლიგა.

შესაშური ჟინიანობა გამოავლინა ლოთებით სავსე „მიდლსბრომ“, რომელმაც მართალია, დროებით თამადა დაკარგა (პოლ გესქოინი ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ საავადმყოფოში იმყოფება), მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, მორიგი სამი ქულა მოეპოვებინა. „მიდლსბრო“ შინ 83-ე წუთამდე 0:1-ს აგებდა „ბლექბერნ როვერსთან“, თუმცა მატჩის მიწურულს ჯერ ჰამილტონ რიკარდმა პენალტით, ხოლო შემდეგ კურტის ფლემინგმა ორჯერ იხეირეს და გაიმარჯვეს კიდეც. შედეგად პრემიერლიგაში წელს აბარგებულმა „მიდლსბრომ“ არნახულ წარმატებას მიაღწია — „ასტონ ვილასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემდეგ მესამე საფეხურზე იმყოფება.

მეოთხე ადგილზე ლონდონის ინტერნაციონალური კლუბი „ჩელსი“ მოკალათდა. ეტყობა, ვიალის ბიჭები ცუდი სტარტის შემდეგ დროზე გამოერკვნენ და ახლა ქვას ქვაზე აღარ ტოვებენ.

ასე იყო შაბათსაც. დებიუტანტ „ჩარლტონ ატლეტიკთან“ შეხვედრაში თასების მფლობელთა თასის და ევროპის სუპერთასის მფლობელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და მიუხედავად მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით გამარჯვებისა, ეჭვი არავის შეპარვია, რომ სამ ქულას სწორედ „ჩელსი“ აიღებდა.

ლონდონელთა გამარჯვებაში ლომის წილი, როგორც ყოველთვის, უცხოელებმა დაიდეს. ამჯერად ფრანგმა და ურუგვაელმა. ანგარიში იტალიელი პიერ-ლუიჯი კაზირაგის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანიდან მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანკ ლებეფმა გახსნა. საპასუხო გოლი ზუსტად 40 წუთში ედი იუდსმა გაიტანა, მაგრამ „ჩარლტონს“ ლონდონში ქულის აღება მაინც არ ეწერა, გუსტავო პოიეტმა არ აცალა.

კვლავ იმარჯვა „ნიუკასლ იუნაიტედმა“, რომელსაც რუდ გულიტის ხელი მართლაც რომ დაეტყო. ამჯერად შირერს არ გაუტანია, მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი — მისი სამუშაო ბერძნებმა ნიკოს დაბიზასმა და სტეფან გლასმაც მშვენივრად შეასრულეს — შესაბამისად მე-13 და მე-17 წუთებზე. ერთადერთი, რაც „დერბი ქაუნთიმ“ მოახერხა, მატჩის ბოლოსკენ დეონ ბარტონის მიერ ერთი საპასუხო გოლი იყო. მეტისთვის სტუმრებს ძალა აღარ ეყოთ. რაც შეეხება ჩვენებურ თემურ ქეცბაიას, როგორც დალგლიშის დროს, იგი გულიტმა შაბათს 90-ე წუთზე გამოიყვანა. დღეისთვის „ნიუკასლს“ „ლივერპულის“ მსგავსად 14 ქულა აქვს, მაგრამ ბურთების შეფარდებაში სჯობს სახელოვან კონკურენტს და ამიტომ ცხრილში ერთი საფეხურით ზევით, მე-6 ადგილზე იმყოფება.

აუტსაიდერების — „ქოვენთრისა“ და „შეფილდ უენსდეის“ შეხვედრის ბედი ერთადერთმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა. თუ ვინმე გაიტანდა მასპინძელთაგან, რა თქმა უნდა, ისევ დიონ დაბლინი და ასეც მოხდა — მან 75-ე წუთზე პრესმანს არანაირი შანსი არ დაუტოვა. თუმცა დაბლინის გარჯამ გუნდს რაიმე სიკეთე მოუტანაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით — „ქოვენთრი“ მხოლოდ გაუბედურებულ „საუთჰემპტონს“ სჯობს. „ნოტინგემ ფორესტს“ „ლიდსთან“ რომ წაეგო, „ქოვენთრი“ იქნებ ბოლოდან მესამეც ყოფილიყო, მაგრამ სტივ სტოუნმა „შეფილდის“ მძლეველებს ამხელა ბედნიერების საშუალება არ მისცა.

**დავით ქოჩზირიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რიკარდი (მიდლსბრო) | 7 |
| შირერი (ნიუკასლი) | 6 |
| მენდონკა (ჩარლტონი) | 5 |
| იორკი (მანჩესტერი) | 5 |

### X ტური
24 ოქტომბერი

ლიდსი - ჩელსი
ლივერპული - ნოტინგემი
ბლექბერნი - არსენალი
ასტონ ვილა - ლესტერი
დერბი - მანჩესტერი
საუთჰემპტონი - ქოვენთრი
ტოტენჰემი - ნიუკასლი
უიმბლდონი - მიდლსბრო
შეფილდი - ევერტონი
ჩარლტონი - ვესტ ჰემი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 9 | 6 | 3 | 0 | 10:2 | +8 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | +5 | 9 | 5 | 2 | 3 | 0 | 3:1 | +2 | 9 |
| 2 | მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:7 | +11 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | +11 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 3 | მიდლსბრო | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | +5 | 15 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | +5 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 4 | ჩელსი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | +4 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | +4 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 |
| 5 | არსენალი | 9 | 3 | 5 | 1 | 10:4 | +6 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | +7 | 11 | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 6 | ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:11 | +4 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | +4 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 |
| 7 | ტოტენჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:14 | -4 | 14 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | -5 | 4 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 10 |
| 8 | ლივერპული | 9 | 3 | 4 | 2 | 13:10 | +3 | 13 | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | +2 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | +1 | 6 |
| 9 | ვესტ ჰემი | 9 | 3 | 4 | 2 | 7:8 | -1 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 5 |
| 10 | ლიდსი | 9 | 2 | 6 | 1 | 9:6 | +3 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | +3 | 7 | 5 | 0 | 5 | 0 | 5:5 | 0 | 5 |
| 11 | დერბი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:6 | +1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | +2 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 |
| 12 | უიმბლდონი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:16 | -3 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | +2 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:11 | -5 | 5 |
| 13 | ევერტონი | 9 | 2 | 5 | 2 | 6:6 | 0 | 11 | 5 | 0 | 4 | 1 | 0:1 | -1 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | +1 | 7 |
| 14 | ჩარლტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:12 | +1 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | +4 | 4 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 6 |
| 15 | ლესტერი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:9 | -2 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 16 | შეფილდი | 9 | 3 | 0 | 6 | 8:10 | -2 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | +2 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 |
| 17 | ბლექბერნი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:12 | -3 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | +3 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | -6 | 1 |
| 18 | ნოტინგემი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:11 | -5 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 19 | ქოვენთრი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 20 | საუთჰემპტონი | 9 | 0 | 2 | 7 | 4:22 | -18 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:14 | -13 | 1 |

## პირველი დივიზიონი

XIV ტური

**ვესტ ბრომვიჩი 2:3 სანდერლენდი**
1:0, 2:0 ჰიუზი (26, 34), 2:1 მელვილი (67), 2:2 ბრიჯესი (80), 2:3 ბელი (86)

**ბირმინგემი 3:1 ქრიუ**
1:0 ნდლოვუ (8), 1:1 ჯონსონი (29), 2:1 ო'კონორი (433), 3:1 ფურლონგი (53)

**ბოლტონი 1:1 ოქსფორდი**
1:0 ფრანდსენი (37), 1:1 ტომსონი (40)

**ბერი 1:1 სტოკპორტი**
0:1 ბრანში (60), 1:1 მატეუსი (72)

**კრისტალ პალასი 5:1 ნორვიჩი**
0:1 რობერტსი (36), 1:1 რიცო (38), 2:1 იანსენი (42), 3:1 სვენსონი (48), 4:1 იანსენი (50), 5:1 ლომბარდო (79)

**გრიმსბი 2:0 ბრედფორდი**
1:0 ნოგანი (24), 2:0 გროვესი (73)

**ჰადერსფილდი 2:0 ქუინზ პარკი**
1:0 ედვარდსი (12), 2:0 ტორნლი (48)

**იფსვიჩი 1:0 სვინდონი**
1:0 ჯონსონი (31)

**პორტ ვეილი 3:2 ბრისტოლი**
1:0 ბისლი (1), 2:0 ანსუორთი (47), 2:1 მურეი (55), 2:2 აკინბიუ (59), 3:2 ანსუორთი (86)

**პორტსმუთი 1:0 ვულვერჰემპტონი**
1:0 მაკლუგლინი (663)

**შეფილდ იუნ. 1:1 ბარნსლი**
0:1 ფირტოფტი (31), 1:1 ქუინი (48)

**ტრანმერი 3:2 უოტფორდი**
1:0 ირონსი (5), 1:1 სმარტი (15), 2:1 ირონსი (37), 3:1 მაპონი (73), 3:2 ნოელ უილიამსი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 14 | 8 | 2 | 4 | 20:17 | 26 |
| სანდერლენდი | 12 | 6 | 6 | 0 | 28:9 | 24 |
| ბირმინგემი | 14 | 7 | 3 | 4 | 19:13 | 24 |
| იფსვიჩი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:7 | 22 |
| ბოლტონი | 11 | 5 | 6 | 0 | 26:17 | 21 |
| უოტფორდი | 13 | 6 | 2 | 5 | 20:21 | 20 |
| შეფილდ იუნ. | 13 | 5 | 4 | 4 | 19:20 | 19 |
| გრიმსბი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:14 | 19 |
| ბრედფორდი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:16 | 18 |
| ვულვზი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:10 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 5 | 2 | 5 | 25:23 | 17 |
| პორტსმუთი | 14 | 4 | 5 | 5 | 21:19 | 17 |
| ნორვიჩი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:16 | 17 |
| კრ. პალასი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:17 | 17 |
| პორტ ვეილი | 13 | 5 | 2 | 6 | 13:22 | 17 |
| ბერი | 14 | 4 | 5 | 5 | 10:12 | 17 |
| სტოკპორტი | 13 | 3 | 7 | 3 | 16:18 | 16 |
| ბარნსლი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:18 | 15 |
| ოქსფორდი | 14 | 3 | 4 | 7 | 18:27 | 13 |
| ბრისტოლი | 14 | 2 | 6 | 6 | 22:28 | 12 |
| სვინდონი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:26 | 12 |
| ტრანმერი | 12 | 2 | 6 | 4 | 11:19 | 12 |
| ქრიუ | 12 | 2 | 4 | 6 | 16:23 | 10 |
| ქუინზ პარკი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:20 | 9 |

# მიუნხენელთა ბატონობა გრძელდება

## გერმანია

VIII ტური

### მიუნხენი 2:1 ბოხუმი

1:0 ვინკლერი (5), 1:1 შინდცილორცი (7), 2:1 ჰობში (21)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, ვანენბურგი, გრაილიხი, ჩერნი (იოვოვი 84), სტევიჩი, ოუაკილი (დინზეი 46), ტაისი, პელდტი, ვინკლერი (შროტი 72), ჰობში
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვალდოხი, ტოპლაკი, ფარენჰორსტი, გაუდინო (რაისი 46), ნ. ჰოფმანი (პეშელი 29), შინდცილორცი, ბასტურკი (ჯაფიჩი 62), ბუკლი
გაფრთხილება: დინზეი, პელდტი, სტევიჩი, სუნდერმანი, ტოპლაკი
მსაჯი: მაიერი

### ლაუტერნი 1:1 ვოლფსბურგი

0:1 დამაიერი (50), 1:1 რაიხი (73)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, როოსი (ბალაკი 59), კოხი, ბუკი (როსლერი 52), რიდლი, სამირი, სფორცა, რაიხი, მარშალი, ხრისტოვი (რიშე 46)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვშნცი, ტომსენი, ონილი, გრაინერი (კლეჩეცკი 62), კრიგერი, ნოვაკი, აკონორი (ბრაიტენრაიტერი 86), დამაიერი, პრეგერი, ბაუნგარტი
გაფრთხილება: რიდლი, გრაინერი, აკონორი
გაძევება: კრიგელი (67)
მსაჯი: ფლაიშერი

### აინტრახტი 2:3 ლევერკუზენი

1:0 იანგ ჩენი (23), 2:0 შური (28), 2:1 კირსტენი (55), 2:2 ნ. კოვაჩი (75), 2:3 რაიხენბერგერი (86)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კუჩერა, ბრინკმანი, შური (ფლიკი 71), ბ. შნაიდერი, ვებერი, გებჰარდტი (პისონტი 75), იანგ ჩენი, ეპი (სტოიაკი 77)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი (ნ. კოვაჩი 73), ჰაპე, რეები, ემერსონი (მანიჩი 84), რამელო, ბაინლიხი, ზე რობერტო, კირსტენი, რინკი (რაიხენბერგერი 78)
გაფრთხილება: რინკი, კირსტენი
მსაჯი: შტარკი

### შალკე 1:3 ბაიერნი

0:1 აიგენრაუხი (3ს.კ), 0:2 ბასლერი (14), 1:2 აიკელკამპი (20), 1:3 იანკერი (64)
შალკე: შობერი, ა. მიულერი (ლატალი 69), აიგენრაუხი, ვან ჰუგდალემი, ჰელდი, ნემეცი, კმეჩი (კლუევი 14, ვოლფი 72), ვან კერკჰოვენი, ბიუსკენსი, ჰამი, აიკელკამპი
ბაიერნი: კანი, იერემისი, ლინკე, ჰელმერი (კუფური 23), ბაბელი, ფინკი, ეფენბერგი, ლისარასუ, ბასლერი (ტარნატი 84), იანკერი, ელბერი (ციკლერი 58)
გაფრთხილება: ნემეცი, ვოლფი, ბასლერი, ფინკი, კუფური, იერემისი
მსაჯი: შტრამპე

### ჰამბურგი 4:1 დუისბურგი

1:0 გრავესენი (17), 2:0, 3:0, 4:0 კირიაკოვი (37, 70, 80პ), 4:1 ბაიერლე (90)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰერტჩი (ფ. ერნსტი 46), ფიშერი, ბაბატცი, გრავესენი (დემბინსკი 56), იეპსენი (ბიოგერი 73), ჰოლერბახი, კირიაკოვი, იებოა
დუისბურგი: გილი, ემერლინგი, ვოლერტი, კომლიენოვიჩი, ჰოერსენი, ვანა, ვედაუ (ანდერსენი 56), ჰირში, ნოინი, ბაიერლე, შპისი (ფრიდეკი 56)
გაფრთხილება: იეპსენი, ვედაუ, ჰირში
მსაჯი: ბერგი

### ვერდერი 2:3 ფრაიბურგი

0:1 მიულერი (8), 0:2 ჰოფმანი (27), 0:3 ვაისჰაუპტი (41), 1:3 აილტონი (45), 2:3 ბოგდანოვიჩი (69)
ვერდერი: როსტი, ტრარესი, აილტსი, ვიდნერი, როემბიაკი, ვიკი (ფლო 79), მაქსიმოვი (ტოდტი 46), ჰერცოგი, ბოდე, ბოგდანოვიჩი, აილტონი (ფრინგსი 46)
ფრაიბურგი: გოლცი, ჰერმელი (კორელი 56), ტ. ჰოფმანი, შ. მიულერი, კოლი, გიუნესი (მუმანი 79), პავლინი, ბაია, კობიაშვილი (ფრონცეკი 67), ვაისჰაუპტი, სელინი
გაფრთხილება: ვიდნერი, ჰერცოგი, ჰერმელი, პავლინი, გიუნესი
მსაჯი: კრუგი

### შტუტგარტი 0:0 ჰერტა

შტუტგარტი: ციგლერი, კელერი, ვერლაატი, ბერთოლდი, ლისტეში (როსტი 71), სოლდო, ცაიერი (პოშნერი 89), კარნელი, ბალაკოვი, ბობიჩი, აკპობორი (ბლესინი 71)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, რეკდალი, ვან ბურიკი, ვაიტი, შმიდტი, ტრეჩოკი, ვოში, მანდრეკო (ჰარტმანი 65), პრეეტცი, ტომი
გაფრთხილება: ბობიჩი, კელერი, კარნელი
მსაჯი: კესლერი

### გლადბახი 0:2 ნიურნბერგი

0:1, 0:2 ჩირიჩი (10პ, 51)
მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, პასლაკი, ასანინი, ჰაგნერი (ფელდჰოფი 62), დაისლერი, პფლიპსენი (ვინშოფი 70), მ. შნაიდერი, კეტელაერი (ვიტეჩეკი 70), პეტერსონი, პოლსტერი
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, ტოიბერი, გრასერი, შტორცენჰოფეკერი, ვისინგერი, ლიოში, პოლუნინი (რანერი 82), ბიურგერი, ჩირიჩი (გერბერი 82), კუკა (სკოოგი 90)
გაფრთხილება: ენკე, პასლაკი, დაისლერი, ლიოში
გაძევება: ფელდჰოფი (81)
მსაჯი: ფანდელი

### დორტმუნდი 2:0 ჰანზა

1:0 მიოლერი (24), 2:0 ბარბარესი (85)
დორტმუნდი: კლოსი, როიტერი, ნიეგუსი, კოლერი, რიკენი (კ. ბაუმანი 88), ფრეინდი, ა. მიოლერი, ნერლინგერი, ბარბარესი, სალუ (ჰესლერი 76), შაპუიზა
ჰანზა: პიკენჰაგენი, ვაილანდტი, რემერი (ცალმანი 69), განსაუგე, იასერი, ლანგე, დოვე, მაიაკი, მილინკოვიჩი (პამიჩი 46), ჰოლეჩეკი (ბრაიტკროიცი 69), ნოიველი
გაფრთხილება: კოლერი, როიტერი, დოვე, ჰოლეჩეკი
მსაჯი: ფ. ვაკი

თითქმის ორკვირიანი პაუზის შემდეგ, რომელიც ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩებით იყო გამოწვეული, განახლდა ბუნდესლიგის ჩემპიონატი. მერვე ტურს ცხრილში განსაკუთრებული ცვლილებები არ მოუხდენია. პირველი სამეულის წარმომადგენლებმა მორიგი სამი ქულა მიუმატეს აქტივს.

ტურში ცენტრალურად გელზენკირხენში გასამართი „შალკე“ — „ბაიერნის“ შეხვედრა ითვლებოდა. მატჩმა მოლოდინი გაამართლა. თავსხმა წვიმის მიუხედავად, „პარკშტადიონზე“ 62 ათასზე მეტი ქომაგი მივიდა, რათა საყვარელი გუნდის გამარჯვება ეხილა, მაგრამ წვიმისგან გალუმპულ გულშემატკივართა იმედებს „ბაიერნმა“ ცივი წყალი გადაასხა და 3:1 მოუგო. თავად თამაში დაძაბულად წარიმართა. უკვე მესამე წუთზე ლისარასუმ აუტი ჩააწოდა საჯარიმოში. ეფენბერგმა თავით ელბერს გადაუგდო ბურთი, მაგრამ ბრაზილიელს „შალკეს“ მცველმა აიგენრაუხმა დაასწრო და თავის კარში ჩაჭრა ბურთი. მასპინძლებს ორ წუთში შეეძლოთ გაქვითვა, მაგრამ აიკელკამპის დარტყმა კანმა მოიგერია და კარი აშკარა გოლს გადაარჩინა. მე-15 წუთზე ყველას ბრაზილიელი რობერტო კარლოსის ცნობილი ჯარიმა გაახსენდა. ბასლერმა ეფენბერგის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ცოცხალ კედელს შემოავლო და ულამაზესი გოლი გაიტანა. მასპინძელთა მეკარე არც განძრეულა, ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. „შალკემ“ მალე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ჰოლანდიელმა რენე აიკელკამპმა მცველებს თავგზა აუბნია და საშუალო მანძილიდან სუსტი დარტყმით კანი დაამწუხრა. მეორე ტაიმის ნახევარიც არ იყო გასული, როცა მოედანზე ახალშესულმა ციკლერმა იანკერი შობერს შეატოვა, თავდამსხმელმაც აუღელვებლად შეაგორა კარში. გოლის გატანა ამის შემდეგაც შეეძლო ორივე გუნდს, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა 3:1 დასრულდა. „ბაიერნის“ შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ ლოთარ მათეუსი. გავრცელებული ცნობების მიხედვით მას მცირე ტრავმა აწუხებს, თუმცა ხმები დაირხა, მათეუსს „დორტმუნდთან“ ჩადენილ საქციელს არ პატიობენო. შეგახსენებთ, ბუნდესლიგის წინა ტურის მატჩში, როცა „ბაიერნს“ სამი შეცვლა გაკეთებული ჰქონდა, თანაგუნდელებზე განაწყენებული ფეხბურთელი აუტის ხაზთან დადგა და მთელი ათი წუთი არ განძრეულა. ასე რომ, „ბაიერნმა“ თავისი ძლევამოსილი სვლა გააგრძელა. მიუნხენელები კარგ გუნებაზე შეხვდებიან ოთხშაბათს. ამ დღეს „ბაიერნი“ „ოლიმპიაშტადიონზე“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბარსელონას“ მასპინძლობს და მოგების გარდა სხვა შედეგი არ აწყობს.

თანაქალაქელებს მიბაძა „მიუნხენ 1860“-მა, რომელმაც შინ „ბოხუმს“ სძლია გაჭირვებით. მე-5 წუთზე მიუნხენელი ვინკლერის თავურ გოლს ორ წუთში შინდცილორცმა უპასუხა. გადამწყვეტი გოლი 21-ე წუთზე გავიდა. სტევიჩი-ზელიჩი-ჰობშის სწრაფი სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა. ბოხუმელებს ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში შეეძლოთ, მაგრამ გაუდინომ მასპინძელ მცველთა უხეში შეცდომით ვერ ისარგებლა და ხელსაყრელი მომენტი დაკარგა. ტაიმის მიწურულს კი ჰობშს შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ ერნსტმა სასწაულებრივად აუღო.

ის, რაც „ლევერკუზენმა“ შეძლო, გერმანიაში იშვიათად როდი ხდება. პირველი ტაიმის შემდეგ „აინტრახტი“ საკუთარ მინდორზე 2:0 უგებდა სტუმრადწვეულ ლევერკუზენელებს, მაგრამ საბოლოოდ 2:3 წააგო. ანგარიში იანგ ჩენმა გახსნა, როდესაც რობერტ კოვაჩი ჩამოიშორა და ახლოდან გაიტანა. მეორედ მატიშეკი შურმა გააწბილა, თავით ულამაზესი ბურთი გაიტანა. მეორე ნახევარში ფრანკფურტელებმა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი და დაისაჯნენ კიდეც. სტუმრებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს და არაერთი ხიფათიც შექმნეს. 55-ე წუთზე კირსტენმა, რომელმაც ორი დღის წინ გერმანიის სახელით მოლდოვას ორი გოლი გაუტანა, თავურით მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. მალე კირსტენს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ნიკოლოვმა ითამაშა ჩინებულად და ბურთი კარის ხაზზე გააჩერა. ცოტა ხანში ისევ კირსტენს შეეძლო თავის გამოჩენა, თუმც თავური ძელს გაარტყა. 75-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ნიკო კოვაჩმა გაათანაბრა ანგარიში, მის უძლიერეს დარტყმასთან ნიკოლოვმა ვერაფერი გააწყო. გადამწყვეტი გოლი მატჩის მიწურულს ასევე შეცვლაზე შესულმა რაიხენბერგერმა გაიტანა. რამელოს დარტყმული ჯერ ერთ მცველს მოხვდა, შემდეგ მეორეს და კართან ჩასაფრებულ რაიხენბერგერს მიუვიდა, რომელსაც ქომაგების გახარება აღარ გასჭირვებია. თამაშის შემდეგ სტუმართა თავკაცი კრისტოფ დაუმი კმაყოფილებას ვერ ფარავდა: „შეუძლებელი შევძელით, თუმცა საქმე ჩვენვე გავირთულეთ, ის შეცდომები, რაც დღეს დავუშვით, აღარ უნდა განმეორდეს.“ მასპინძელთა მწვრთნელ ჰორსტ ერმანტრაუტს კი სახეზე ფერი დაჰკარგვოდა: „გაოგნებული ვარ მომხდარით, იგებდე 0:2-ს და წააგო, წარმოუდგენელია. ასე როგორ უნდა გაფლანგო ამხელა უპირატესობა, ჩემთვის გაუგებარია.“

„ჰამბურგმა“ შინ „დუისბურგი“ გაანადგურა 4:1. გამარჯვებაში ლომის წილი მასპინძელთა რუსმა ლეგიონერმა სერგეი კირიაკოვმა დაიდო, რომელმაც ხუთწლიანი შესვენების შემდეგ პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა.

საოცარი გუნდია „ფრაიბურგი“. შინ გამართულ ოთხი შეხვედრიდან ერთიც ვერ მოიგო, სტუმრად კი ამდენივე მატჩში სამჯერ მიაღწია გამარჯვებას. ახლაც ბრემენში „ვერდერთან“ შეხვედრის 41-ე წუთზე უკვე 3:0-ს იგებდა. ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა. კობიაშვილმა ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ ბურთი აიჭრა და კარისკენ წავიდა, როსტმა გაჭირვებით მოიგერია, თუმცა მიულერმა თავით დაამატა და სტუმრები დააწინაურა. მალე ვაისჰაუპტის ჩაწოდებული ჰოფმანმა ულამაზესი თავურით გაგზავნა კარში. მესამედ კი ბრემენელები კონტრშეტევაზე გამოიჭირა „ფრაიბურგმა“. გიუნესის პასით ვაისჰაუპტი გავიდა პირისპირ და როსტი კიდევ ერთხელ გააწბილა. ტაიმის ბოლო წუთზე „ვერდერის“ ბრაზილიელმა დებიუტანტმა აილტონმა იმედი ჩაუსახა ქომაგებს, რაც 69-ე წუთზე ბოგდანოვიჩმა უფრო გააძლიერა, როდესაც ახლოდან მეორედ გაუტანა გოლცს. ბოლო წუთები მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ გოლცმა აღარ გაატანინა. ტრავმის გამო ვერ ითამაშა ალექსანდრე იაშვილმა, ხოლო მეორე ჩვენებური, ლევან კობიაშვილი მწვრთნელმა 67-ე წუთზე შეცვალა. მატჩის შემდეგ ფრაიბურგელთა თავკაცი ფოლკერ ფინკე კმაყოფილი გახლდათ: „მეტოქემ პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა დაუშვა, რაც არ ვაპატიეთ. მეორეში კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა, თუმცა, საბედნიეროდ, შეხვედრა გამარჯვებამდე მივიყვანეთ. წარმატება მით უფრო გასახარია, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა.“ „ვერდერმა“ კი ანტირეკორდი დაამყარა, პირველ ოთხ საშინაო მატჩში ბრემენელებმა ერთ ქულაზე მეტი ვერ მოიპოვეს, ასეთი ცუდი შედეგი კი ბუნდესლიგის ისტორიაში არავის ჰქონია.

ფრედ დაასრულეს თავიანთი შეხვედრები „შტუტგარტმა“ და „კაიზერსლაუტერნმა“, რომლებიც შინ შესაბამისად „ჰერტას“ და „ვოლფსბურგს“ ვერ მოუგეს. „შტუტგარტს“ გოლის გატანის უამრავი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, მატჩიც უგოლოდ 0:0 დასრულდა. „ლაუტერნმა“ და „ვოლფსბურგმა“ კი გოლები გაცვალეს.

მომავალ ტურში ერთდროულად ორი ცენტრალური მატჩი გაიმართება. „ლევერკუზენი“ „მიუნხენ 1860“-ს უმასპინძლებს, ხოლო „ბაიერნი“ შარშანდელ ჩემპიონს და მთავარ მოქიშპე „კაიზერსლაუტერნს“ მიიღებს.

**ვანო ოქროპირიძე**



REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — ბაიერნი. რენე აიკელკამპმა ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ შალკეს მაინც ვერ უშველა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:8 | +15 | 22 | 4 | 3 | 1 | 0 | 16:7 | +9 | 10 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | +6 | 12 |
| 2 | მიუნხენ 1860 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:7 | +10 | 19 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | +4 | 9 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | +6 | 10 |
| 3 | ლევერკუზენი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:11 | +5 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | +3 | 7 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | +2 | 8 |
| 4 | ჰამბურგი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | +4 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | +5 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 5 | ჰერტა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | +2 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 6 | ფრაიბურგი | 8 | 3 | 4 | 1 | 11:9 | +2 | 13 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | +4 | 10 |
| 7 | ლაუტერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:14 | -2 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | +1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 5 |
| 8 | დორტმუნდი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | +2 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | +4 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 |
| 9 | შტუტგარტი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | +2 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | +4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 10 | ბოხუმი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:9 | 0 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 11 | ნიურნბერგი | 8 | 2 | 4 | 2 | 12:14 | -2 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:7 | -4 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | +2 | 7 |
| 12 | დუისბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:16 | -5 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | +3 | 8 | 4 | 0 | 1 | 2 | 4:12 | -8 | 1 |
| 13 | შალკე 04 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 4 |
| 14 | ჰანზა | 8 | 2 | 1 | 5 | 10:18 | -8 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | +2 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | -10 | 0 |
| 15 | აინტრახტი | 8 | 1 | 3 | 4 | 11:15 | -4 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | -1 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 16 | გლადბახი | 8 | 1 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 1 |
| 17 | ვოლფსბურგი | 8 | 0 | 5 | 3 | 9:13 | -4 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 3 |
| 18 | ვერდერი | 8 | 1 | 1 | 6 | 11:16 | -5 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 1 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მარშალი (ლაუტერნი) | 7 |
| ვინკლერი (მიუნხენი) | 7 |
| ელბერი (ბაიერნი) | 6 |
| პრეეტცი (ჰერტა) | 6 |

### IX ტური

23 ოქტომბერი
ჰამბურგი - ვერდერი
ფრაიბურგი - დორტმუნდი
24 ოქტომბერი
ვოლფსბურგი - აინტრახტი
ლევერკუზენი - მიუნხენი
ბოხუმი - გლადბახი
ნიურნბერგი - შტუტგარტი
ჰანზა - შალკე
ბაიერნი - ლაუტერნი
25 ოქტომბერი
დუისბურგი - ჰერტა

## მეორე ბუნდესლიგა

X ტური

### კარლსრუე 6:0 კიკერსი

1:0 ბაუმერი (9), 2:0 კრეიგი (36), 3:0 მლადინიჩი (68), 4:0 კრეიგი (73), 5:0, 6:0 მეისნერი (83, 89)

### ვატენშაიდი 0:1 ბერლინი

0:1 არაჩიჩი (41)

### ჰანოვერი 1:1 ობერჰაუზენი

0:1 ვებერი (10), 1:1 დეგენი (46)

### უნტერჰახინგი 3:0 ფორტუნა

1:0 ზეილერი (36), 2:0 სეიტსი (59), 3:0 აპანფუფი (75)

### მაინცი 3:0 ზანქტ პაული

1:0 პოლიცელა (64), 2:0 საჰინი (85), 3:0 დემანდტი (87)

### ულმი 2:2 კოტბუსი

1:0 ტრკულია (3), 1:1 რატი (25), 1:2 ვუტკე (52), 2:2 ტრკულია (90)

### ფიურტი 3:2 გიუტერსლო

1:0 ტური (6), 1:1 სტენდელი (28), 1:2 მეიერი (42), 2:2, 3:2 ვან ლენტი (53, 78)

### არმინია 1:0 ურდინგენი

1:0 ბალუშინსკი (55)

### კიოლნი 1:0 დიუსელდორფი

1:0 ვაისმაიერი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 10 | 6 | 4 | 0 | 23:11 | 22 |
| ბერლინი | 10 | 7 | 1 | 2 | 16:8 | 22 |
| არმინია | 10 | 7 | 1 | 2 | 19:12 | 22 |
| უნტერჰახინგი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| კარლსრუე | 10 | 6 | 0 | 4 | 21:14 | 18 |
| ფიურტი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:10 | 17 |
| მაინცი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:15 | 16 |
| კიკერსი | 10 | 5 | 0 | 5 | 8:14 | 15 |
| ჰანოვერი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:10 | 14 |
| ფორტუნა | 10 | 4 | 1 | 5 | 14:18 | 13 |
| კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:21 | 13 |
| კოტბუსი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:11 | 12 |
| ვატენშაიდი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:9 | 10 |
| ზტ. პაული | 10 | 3 | 1 | 6 | 8:15 | 10 |
| გიუტერსლო | 10 | 2 | 2 | 6 | 14:17 | 8 |
| დიუსელდორფი | 10 | 1 | 4 | 5 | 12:16 | 7 |
| ობერჰაუზენი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:18 | 6 |
| ურდინგენი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:14 | 5 |

## იტალია

IV ტური

### პარმა 2:0 სალერნიტანა

1:0 კიეზა (72), 2:0 ფუზერი (81)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, ბაჯო, ბოგოსიანი (სტანიჩი 69), ბენარივო (ორლანდინი 53), ვერონი, კრესპო (მუსი 76), კიეზა
სალერნიტანა: ბალი, სონგი, ფრეზი, მონაკო, ტოსტო, როსი (ბოლიჩი 56), ტედესკო (დი მიკელე 74), ბრედა, ვანუჩი, ბელმონტე (შიანეზე 62), დი ვაიო
გაფრთხილება: ვანუჩი, მონაკო
მსაჯი: ჩეზარი

### ბარი 1:1 უდინეზე

0:1 პიერინი (68), 1:1 სპინეზი (93)
ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია (მადსენი 73), ინოკენტი, დე ასკენტისი, ბრეშანი, ანდერსონი, კნუდსენი (მარკოლინი 48), ძამბროტა, ოსმანოვსკი (სპინეზი 56), მასინგა
უდინეზე: ტურჩი, ნავასი, პინედა, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ვალემი (აპია 81), ჯანიკედა, ლოკატელი (სოსა 67), ამოროზო, პოჯი (იორგენსენი 63)
გაფრთხილება: ვალემი, ლოკატელი, კნუდსენი, ჯანიკედა, ნავასი
გაძევება: ბერტოტო (84)
მსაჯი: ბეტინი

### რომა 2:1 ფიორენტინა

0:1 ბატისტუტა (31), 1:1 ალეინიჩევი (89), 2:1 ტოტი (93)
რომა: კიმენტი, კაფუ, პეტრუცი, ვომე, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, გაუტიერი (ალეინიჩევი 60), დელვეკიო (ბარტლეტი 78), ტოტი
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, ამოროზო, რუი კოშტა, ოლივეირა (მორფეო 79), ბატისტუტა, ედმუნდო (რობიატი 72)
გაფრთხილება: ედმუნდო, ამორუზო, ტოტი
გაძევება: დი ბიაჯო (58), კანდელა (63), ფალკონე (63)
მსაჯი: ბაცოლი

### ინტერი 3:5 ლაციო

0:1 სალასი (1), 1:1 ვინტერი (21), 1:2 კონსეისაო (35), 1:3 მანჩინი (40), 1:4 კონსეისაო (52), 1:5 ნედვედი (74), 2:5, 3:5 ვენტოლა (76, 96)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, სილვესტრი, მორიერო (ვენტოლა 55), ვინტერი, დაბო (ზე ელიასი 65), სიმეონე, ძანეტი, ჯორკაეფი, სამორანო
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო, ვენტურინი, ალმეიდა, ნედვედი, მანჩინი (ბარონიო 49), სალასი (გოტარდი 15)
გაფრთხილება: პანკარო, მიხაილოვიჩი, ალმეიდა, კოლონეზე, ზე ელიასი, დაბო, სამორანო, კოუტუ
გაძევება: სიმეონე (48), ნედვედი (94)
მსაჯი: ბოჯი

### კალიარი 1:0 მილანი

1:0 დე პატრე (19)
27-ე წუთზე მუციმ, ხოლო 39-ე წუთზე ბირჰოფმა ვერ გაიტანა პენალტი.
კალიარი: სკარპი, ძანონკელი, გრასადონია, ძებინა, ვაზარი (მაცეო 65), ბერეტა, კავეცი, დე პატრე (კენტურიონი 78), ნიატი, კალონი (კარუეცო 65), მუცი
მილანი: ლემანი (როსი 27), ნგოტი, აიალა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი (კრუზი 55), ციგე, განცი (ბა 55), ბირჰოფი, ვეა
გაფრთხილება: მუცი, ნიატი, მალდინი, კენტურიონი
მსაჯი: ტრეოსი

### ემპოლი 0:0 ბოლონია

ემპოლი: მაცი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ლუკენტი, პანე, ბიზოლი, ტონეტო, კარპარელი (შიაპარა 62), არტიკო (პალუმბო 74), ბონომი (მარტუშელო 79)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო (რინალდი 51), ბინოტო (კაპიოლი 57), ინგესონი, მაროკი, ნერვო, სინიორი, ანდერსონი
გაფრთხილება: ფუსკო, მანგონე, მაროკი
გაძევება: ბალდინი (48)
მსაჯი: ტომბოლინი

### ვიჩენცა 1:1 იუვენტუსი

1:0 ძაული (40), 1:1 დელ პიერო (45)
ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო, სტოფინი, ბელოტი, მორაბიტო, სკენარდი (დი კარლო 56), მენდესი, ვივიანი (მელოზი 71), ამბროზეტი, ძაული, ოტერო (ლუიზო 78)
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ტუდორი, მონტერო, მირკოვიჩი (დი ლივიო 58), ტაკინარდი, დეშამი, დავიდსი, ინძაგი (კონტე 75), ზიდანი, დელ პიერო
გაფრთხილება: ოტერო, დავიდსი, ამბროზეტი, სტოვინი
გაძევება: ბირინდელი (69)
მსაჯი: რაკალბუტო

### პერუჯა 1:0 ვენეცია

1:0 ოლივე (43)
პერუჯა: როკატი, ზე მარია, მატრეკანო, რივასი, კოლონელო, პეტრაკი (მასპერო 76), ოლივე, ბერნარდინი (რიპა 57), რაპაიჩი (სტრადა 61), ნაკატა, ბუჩი
ვენეცია: ტაიბი, კარნაშალი, პავანი, ლუპი, დალ კანტო, დე ფრანჩესკი (ჯიოკინი 74), მიკელი, ვოლპი (ბოუნოკორე 53), პედონე, შვო, მანიერო (ვალტოლინა 60)
გაფრთხილება: კარნაშალი, კოლონელო, პავანი, მიკელი, ოლივე, შვო
მსაჯი: დე სანტისი

### პიაჩენცა 4:1 სამპდორია

1:0 ვერხოვოდი (2), 1:1 ორტეგა (28პ), 2:1 ს. ინძაგი (42პ), 3:1 მანიგეტი (72), 4:1 რასტელი (86)
პიაჩენცა: ფიორი (მარკონი 15), ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი (დელი კარი 22), მანიგეტი, ბუზო, კრისტალინი, მაცოლა, სტროპა (ლამაში 87), რასტელი, ს. ინძაგი
სამპდორია: ფერონი, საკიჩი (ლასისი 82), მანინი, გრანდონი, კასტელინი (სგრო 55), ვერგასოლა, ფრანჩესკეტი (ფიკინი 73), ლაილი, ორტეგა, იაკოპინო, პალმიერი
გაფრთხილება: კასტელინი, პოლონია, მანინი, ს. ინძაგი
მსაჯი: კოლინა

# სან სიროს გენერლები



ინტერი — ლაციო. მასპინძლები სტუმრებს უძალიანდებოდნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. ნედვედმა და ალმეიდამ ზე ელიასი (№13) დასცეს

იტალიაში ბევრია ძლიერი გუნდი, მაგრამ მათ შორის ლამაზი ცოტაა. კაცმა რომ თქვას, ასეთი დღესდღეობით მხოლოდ ერთია — რომის „ლაციო".

ის, რაც მილანის ბრწყინვალე „სან სიროზე" კვირა საღამოს გათამაშდა, ფეხბურთის სადიდებლად დადგმული სპექტაკლი გახლდათ. მასპინძელთა სამწუხაროდ, „ინტერმა" წააგო, სამაგიეროდ, მოიგო უდავოდ ძლიერმა „ლაციომ", მთლიანობაში კი ულამაზეს სარბიელზე ფეხბურთმა გაიმარჯვა.

იტალიელებს მუდამ ახასიათებდათ დაცვაში ძლიერი თამაში, თუმცა ამასთან ერთად არც გახსნილ, ღია მატჩში ყოფილან ჯაბანნი. „ინტერ" — „ლაციოს" დაპირისპირებისას გუნდებმა ძალაუნებურად უარი თქვეს კარის უსაფრთხოებაზე და ძველი სიბრძნე საუკეთესო დაცვა თავდასხმაა, გაიხსენეს. შედეგიც შესაბამისი იყო — რვა გოლი ერთ შეხვედრაში, ასეთი რამ კი იტალიაში ხშირად არ ხდება.

— წლეულს ჩემპიონები უნდა გავხდეთ, რადგან გუნდი, რომელიც ასეთ შეხვედრას მოიგებს, ძალიან ძლიერია. „ლაციოს" მიზანი დღესდღეობით პირველობაა! სკუდეტო და სხვა არაფერი! — რომელთა მწვრთნელი სვენ გორანერიქსონი ბრწყინვალე გამარჯვებით ამაყობდა.

დღევანდელი „ლაციო" მართლაც შესანიშნავი გუნდია. ძლიერი და ამასთანავე სასიამოვნო საცქერი. დედაქალაქელნი წინა წლებშიც შემტევი ფეხბურთის მქადაგებლები იყვნენ, მაშინაც სანახაობრივად ყველას სჯობდნენ, მაგრამ აქამდე მუდამ რაღაც აკლდათ, რის გამოც შედეგები მაინცდამაინც სახარბიელო არ ჰქონდათ. ახლა სიტუაცია შეიცვალა, გუნდი ბრწყინვალედაა დაკომპლექტებული და თუ ასე გააგრძელა, რაც, ალბათ, ყველაზე სავარაუდოა, ჩემპიონიც გახდება. თუმცა ჯერ...

— ამაზე უარესი არაფერი შეიძლება მომხდარიყო. წლევანდელ სეზონში ეს „ინტერის" პირველი სერიოზული გამოცდა გახლდათ. სამწუხაროა, რომ ჩვენ „ჩავიჭერით" — მარცხს მილიარდელი ნავთობმაგნატი მასიმო მორატი დაემწუხრებინა. როცა შენი კლუბი ცუდად თამაშობს, მაგრამ ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას, საქმე სწორედ რომ კარგად ვერაა. რაც შეეხება „ინტერის" გამოცდას, მილანელები შინ მანამდეც ჩაიჭრნენ „ფიორენტინასთან", ევროარენაზე კი მადრიდში, „რეალთან".

ბრწყინვალე პირველი ტაიმი იყო. შესანიშნავი, დაძაბული. ერთი სიტყვით, ენით აუწერელი. ჯერ იყო მარსელო სალასის გოლი, რომელიც მოგვიანებით არონ ვინტერმა გაქვითა, მერე სერჟიო კონსეისაოსი, ტაიმის მიწურულს კი ვეტერანი რობერტო მანჩინის. შესვენებამდე „ლაციო" „ინტერს" ბზარავდა, მერე კი სულაც დაამსხვრია.

„რევანში მაისისთვის" — წერდა „გაძეტა დელო სპორტი" გუშინ. მაისში კი უეფას თასის ფინალს გულისხმობდა. გაზაფხულზე „ინტერმა" ხომ პირწმინდად გაანადგურა „ლაციო". ახლა რომაელთა ჯერი დადგა. ხომ ცნობილია, რომ ერთი მეფე ყოველთვის ვერ იქნება, ჰოდა, ახლა სხვა მოვიდა, რომელსაც ადრე თუ გვიან, ალბათ, სხვა შეცვლის:

წუხდა გადაჭედილი „სან სირო" შვილობილთა უსუსურობის შემხედვარე. რა უნდა ექნა? ხალხი უსტვენდა, ქომაგობდა „ინტერს", მაგრამ კვირას „ლაციოს" შემჩერებელი არავინ და არაფერი იყო.

მასპინძლებს იმედი ჰქონდათ, რომ „ლაციოს" დაამარცხებდნენ. რატომ? იტალიის სუპერთასის მომგებთ მილანში „ინტერთან" ბოლო ხუთი სეზონის მანძილზე არ წაეგოთ. განა არ იყო დრო, დამარცხებულიყვნენ? როგორც ჩანს, არ იყო.

თამაშამდე აბობოქრებული „სან სირო" მეორე წუთზევე დაიშოკა — იუგოსლაველი სინიშა მიხაილოვიჩის საჯარიმო დარტყმის შემდეგ პალიუკას ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილმა სალასმა იხეირა. მალე იგი შეცვალეს, თუმცა ჩილელის ერთმა გოლმა თამაშის წარმართვაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

22-ე წუთზე ექსლაციოელმა ჰოლანდიელმა, მაგრამ საკმაოდ საეჭვო წარმომავლობის მქონე აარონ მოჰამედ ვინტერმა გააყაიმა, თუმცა სტუმრებმა თავისი მაინც გაიტანეს — ჯერ იყო და სერჟიო კონსეისაომ კუთხურიდან ჩაწოდებული თავით კარში გადაგზავნა, მერე კი ჯუზეპე ფავალის გადაცემით რობერტო მანჩინიმ იხეირა. მილანელთა დაცვა ამჯერადაც დაბნეულიყო.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე დაძაბულობამ კულმინაციას უწია — „ინტერის" არგენტინელმა ლეგიონერმა დიეგო სიმეონემ თავი ვერ შეიკავა და სტუმართა პორტუგალიელ უკანახაზელ ფერნანდო კოუტუს ეუხეშა. სიმეონე გააგდეს. ანალოგიურად მოექცნენ „ლაციოს" ჩეხ ლეგიონერ, ევროპის ვიცეჩემპიონ პაველ ნედვედს, რომელმაც ზე ელიასთან ორთაბრძოლისას ძალები ვერ მოზომა. თუ სიმეონეს გაძევებისას „ინტერს" მატჩის გადარჩენა კიდევ შეეძლო, ნედვედის გაგდება სტუმართათვის ამას სულაც არ ნიშნავდა — შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი გახლდათ.

შესვენების შემდეგ ანგარიში შეიცვალა — იმავე სერჟიო კონსეისაომ მეოთხედ გაამწარა პალიუკა — ნედვედის რეიდის შემდეგ კონსეისაომ ადვილად დასძლია „ინტერის" მცველთა წინააღმდეგობა და შეაგდო. 75-ე წუთზე უძლიერესმა ნახევარმცველმა ნედვედმა თავისი გაიტანა და მეხუთედ შეარხია პალიუკას კარის ბადე.

„ინტერი" საბოლოოდ მიიცვალა, გულშემატკივრებმაც საკადრისად დაიტირეს, ნიკოლა ვენტოლამ კი შავ-ლურჯთა განადგურება უბრალოდ მძიმე მარცხად აქცია.

— ვეცადეთ, მოვინდომეთ და მივაღწიეთ — თქვა რობერტო მანჩინიმ შეხვედრის შემდეგ. სამი სიტყვით იტალიური ფეხბურთის ვეტერანმა ყველაფერი გამოხატა.

ეს დაპირისპირება ამ ტურის მშვენება გახლდათ, თუმცა დაძაბულობა და მოულოდნელობანი არც სხვა თამაშებს მოჰკლებია.

რომში დამარცხდა პირველობის ლიდერი „ფიორენტინა".

— ჩვენ ძალიან გვინდოდა, რომ არ მოგვეგო. მოვახერხეთ კიდეც — მწარედ იხუმრა ჯოვანი ტრაპატონიმ, ფლორენციელთა მწვრთნელმა.

ლიდერებმა ბოლო ორ წუთში წააგეს მატჩი. არადა, გაბრიელ ბატისტუტას მანამდე შეგდებული ბურთით სეზონში ზედიზედ მეხუთე შეხვედრას იგებდნენ. მარკო დელვეკიოს შემცვლელმა არგენტინელმა გუსტავო ბარტელტმა თამაშის მიწურულს ორჯერ მოახდინა სასწაული და „რომას" მოაგებინა. ჯერ იყო და საჯარიმოში შეჭრილმა ალეინიჩევს გაატანინა, მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი კიდევ დაიბნენ ფლორენციელი მცველები და ამჯერად ფრანჩესკო ტოტის გაატანინა. სხვათა შორის, მანამდე „რომას" ორი მოთამაშე გაუძევეს.

კალიარიში „მილანმა" წააგო. მარცხი ორბურთიანიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ გაძევებული იენს ლემანის ნაცვლად შესულმა სებასტიანო როსიმ რობერტო მუცის პენალტიდან არ გაატანინა. თავის მხრივ ოლივერ ბირჰოფმაც გააფუჭა პენალტი.

ვერ მოიგო „იუვენტუსმაც". რაც ტურინელებს მარჩელო ლიპი ხელმძღვანელობს, გუნდს ვიჩენცაში არ მოუგია. ახლაც სტუმრები დელ პიერომ იხსნა, რომელსაც იტალიის ჩემპიონატის მატჩებში აპრილის შემდეგ არ გაეტანა.

**ირაკლი ილაშვილი**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | +5 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | +2 | 6 |
| 2 | რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | +4 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | +5 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | −1 | 1 |
| 3 | ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:8 | +2 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | +1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 |
| 4 | იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | +2 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 5 | ლაციო | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | +4 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | +2 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | +2 | 5 |
| 6 | მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | +3 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | +2 | 6 |
| 7 | პარმა | 5 | 2 | 3 | 0 | 3:0 | +3 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 8 | უდინეზე | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | +3 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | +2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | +1 | 4 |
| 9 | კალიარი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | +3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | +6 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | −3 | 0 |
| 10 | პიაჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | +3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | +5 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | −2 | 0 |
| 11 | ბარი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 0 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | +1 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | −1 | 1 |
| 12 | სამპდორია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:13 | −7 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | −8 | 1 |
| 13 | ვიჩენცა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | −2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | −2 | 1 |
| 14 | პერუჯა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | −2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −1 | 1 |
| 15 | ემპოლი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:5 | −3 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | −1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −2 | 1 |
| 16 | ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 1:6 | −5 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | −2 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | −3 | 2 |
| 17 | ვენეცია | 5 | 0 | 1 | 4 | 0:6 | −6 | 1 | 2 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 0 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | −4 | 0 |
| 18 | სალერნიტანა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | −7 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | −1 | 1 | 2 | 0 | 0 | 3 | 1:7 | −6 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 6 |
| ამოროზო (უდინეზე) | 5 |
| ბირჰოფი (მილანი) | 5 |
| ვენტოლა (ინტერი) | 5 |

**VI ტური**

25 ოქტომბერი

ბოლონია - პიაჩენცა
კალიარი - ბარი
ფიორენტინა - სალერნიტანა
იუვენტუსი - ინტერი
ლაციო - ვიჩენცა
მილანი - რომა
პერუჯა - პარმა
სამპდორია - ემპოლი
უდინეზე - ვენეცია

## სერია B

VI ტური

**ატალანტა 0:0 ჩეზენა**

**კიევო 0:0 ტერნანა**

**პესკარა 0:0 ლუკეზე**

**რეჯინა 0:0 კრემონეზე**

**კოზენცა 0:1 ვერონა**

0:1 კამარატა (64)

**ლეჩე 2:0 ბრეშა**

1:0 მარჯიოტა (50პ), 2:0 სესა (75)

**მონცა 1:0 ფ. ანდრია**

1:0 კროვარი (35)

**ნაპოლი 1:1 ტრევიზო**

1:0 ბელუჩი (10), 1:1 როსი (37)

**რავენა 1:0 რეჯიანა**

1:0 პრენოლატო (1)

**ტორინო 3:0 ჯენოა**

1:0 ასტა (44), 2:0 არტისტიკო (53), 3:0 ფერანტე (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრევიზო | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 15 |
| ვერონა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:8 | 14 |
| რავენა | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| ტორინო | 7 | 4 | 1 | 2 | 13:6 | 13 |
| ბრეშა | 7 | 3 | 3 | 1 | 7:3 | 12 |
| კოზენცა | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ლეჩე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| ნაპოლი | 7 | 2 | 4 | 1 | 5:4 | 10 |
| ტერნანა | 7 | 2 | 4 | 1 | 5:4 | 10 |
| პესკარა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:8 | 10 |
| კრემონეზე | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| ატალანტა | 7 | 2 | 3 | 2 | 3:4 | 9 |
| მონცა | 7 | 2 | 3 | 2 | 3:4 | 9 |
| რეჯანა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:7 | 8 |
| რეჯინა | 7 | 1 | 4 | 2 | 5:7 | 7 |
| ჯენოა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| ფ. ანდრია | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| ლუკეზე | 7 | 0 | 4 | 3 | 2:5 | 4 |
| კიევო | 7 | 1 | 1 | 5 | 3:9 | 4 |
| ჩეზენა | 7 | 0 | 3 | 4 | 3:8 | 3 |

# როცა არ ფრთხილობენ

## ესპანეთი

VI ტური

### სარაგოსა 3:4 რეალი

0:1 იერო (103), 0:2 რობერტო კარლოსი (17), 1:2 მილოშევიჩი (22), 1:3 რაული (39), 2:3 ლოპესი (60), 2:4 მიატოვიჩი (71), 3:4 კილი გონსალესი (75)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, სოლანა (ჯამელი 55), აგუადო, სუნდგრენი (პაბლო 41), არაგონი, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, მარკოს ვალესი (ვუტერი 54), ლოპესი
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, პანუჩი, იარნი (ხაიმე 74), ზეედორფი, კარემბუ, რაული, მიატოვიჩი (მორიენტესი 90), სავიო
გაფრთხილება: არაგონი, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, პანუჩი, იარნი, ზეედორფი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### ვილიარეალი 1:1 სოსიედადი

0:1 დე პედრო (33), 1:1 დიასი (61)
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტაშევსკი (აიტორ არეგი 81), იმანოლი (ხერარდო 59), გარსია სანხუანი (ალფარო 55), რობერტო, ალბელდა, დიასი, კრაიოვეანუ, ალბერტო, მოიზესი
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, პიკაბეა, ანტია, იარეგი, დე პედრო (გრასია 74), დე პაულა (ადეპოჟუ 59), კუხბაუერი, იდიაკესი (ალდეონდო 87), სა პინტუ
გაფრთხილება: ტაშევსკი, კრაიოვეანუ, ფუენტესი, კუხბაუერი, იდიაკესი
გაძევება: ხერარდო, ანტია, სა პინტუ
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ბარსელონა 1:1 სალამანკა

1:0 კოკუ (58), 1:1 ედუ ალონსო (63)
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო, აბელადრო (ოსკარი 79), ოკუნოვო (რაიციგერი 68), ხავი, კოკუ, ფიგუ, ლუის ენრიკე, როხერი (ზენდენი 55), კლუივერტი, რივალდო
სალამანკა: სტელეა, ლეო რამოსი, ლუპიდიო, კორინო, ლორენი, ლანა, ედუ ალონსო, ჯოვანელა, კასარტელი (კარდეტი 64), ველისკა (როხერიო 77), სილვანი (ლუნარი 90)
გაფრთხილება: პელეგრინო, ოკუნოვო, სტელეა, ლუპიდიო, კორინო, კარდეტი, ჯოვანელა
გაძევება: ჯოვანელა
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### ბილბაო 2:0 ვალენსია

1:0 ურსაისი (27), 2:0 გერერო (50)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, ლაკრუსი, რობერტო რიოსი, ურუტია, იმასი, გერერო (ალკისა 79), კარლოს გარსია, ესკერო, ხ. ეჩებერია (ბოლო 87), ურსაისი (ხორხე პერესი 70)
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, როში, ჯუკიჩი, კარბონი, შვარცი, მენდიეტა, ფარინოსი (პოპესკუ 59), მილა (ილიე 46), ოხო ლოპესი (ლუკარელი 80), ანგულო
გაფრთხილება: ლაკრუსი, კარლოს გარსია, როში
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### რასინგი 3:1 ესტრემადურა

1:0 მუნიტისი (48), 2:0 ბესჩასტნიხი (50), 3:0 ვიქტორი (71), 3:1 დურე (81)
რასინგი: სებალოსი, არსენო, მერუ, მერინო, ტაისი, ვიქტორი, შუსტიკოვი, ჩემა, ისმაელი (ვივარ დორადო 57), მუნიტისი (სალვა 78), ბესჩასტნიხი (პრესიადო 73)
ესტრემადურა: ამადორი, სოტო (დურე 65), ბელენგუერი, კალა, ფელიქსი, ოსკარი, ოლი (დავიდი 46), პედრო ხოსე, ტორილი (ტონი ველამასანი 76), გაბრიხი, მანუელი
გაფრთხილება: ისმაელი, სალვა, ფელიქსი, პოლი, ტორილი
მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### ვალიადოლიდი 2:1 ესპანიოლი

0:1 კიკე მარტინი (16), 1:1 ხულიო სეზარი (50), 2:1 კრისტობალი (78)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, სანტამარია (კლიმოვიჩი 66), ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, კამინერო (ეუსებიო 73), ტორეს გომესი, ჩემა, პეტერნაკი (ალბერტო 73), ვიქტორი
ესპანიოლი: ტონი, დომინგუში (არტეაგა 80), კრისტობალი, ნანდო, ვილა, ივან ელგუერა, აჩეტა, მარტინ პოსე, ნან რიბერა (დე ლუკასი 70), ბენიტესი (სერხიო 63), კიკე მარტინი
გაფრთხილება: ხულიო სეზარი, კიკე მარტინი, პაჩეტა, ნანდო
გაძევება: ნანდო
მსაჯი: დაუდენ იბანესი

### მალიორკა 2:1 ალავესი

1:0 პაუმოვიჩი (60), 2:0 ბიაჯინი (68), 2:1 დესიო (89)
მალიორკა: სეზარ გალვესი, სოლერი (კარერასი 88), ფერნანდო ნინიო, მარსელინო, ოლაისოლა, სტანკოვიჩი, ლორენი, ენგონგა, ჩუპა ლოპესი (ბიაჯინი 58), დანი, არპონი (პაუმოვიჩი 66)
ალავესი: კიკე, ალფონსო, ივან როჩა, კარმონა, ბერუე (მანიო 68), იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი (ალბისტეგი 59), ჟერარი (სივორი 59), დესიო, ასკოიტია
გაფრთხილება: სოლერი, ენგონგა, ალფონსო, ივან როჩა, კანაბალი, პაბლო გომესი, სივორი, ჟერარი, ასკოიტია
გაძევება: ივან როჩა, კანაბალი
მსაჯი: გარსია არანდა

### დეპორტივო 4:0 ოვიედო

1:0 პაულო ბენტო (2), 2:0, 3:0 ზიანი (13, 21), 4:0 ფრანი (68)
დეპორტივო: სონგო, არმანდო, ნაიბეტი, ბონისელი, რამისი, ზიანი (სკალონი 69), ჯალმინია, მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო (დონატო 77), ტურუ ფლორესი (ბასირი 56)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ნადი, ივან იგლესიასი (ესკურსა 55), პაულო ბენტო (ივან ანია 46), ონოპკო, ხაიმე (დუბოვსკი 55), მიოლერი, დელ ვალდესი
გაფრთხილება: ბონისელი, ჯალმინია, მაურო სილვა, ესტებანი, ივან იგლესიასი, დუბოვსკი, მიოლერი
მსაჯი: ბრიტო არსეო

### ბეტისი 0:3 სელტა

0:1 მაკელელე (51), 0:2 სანჩესი (66), 0:3 კადეტე (85)
ბეტისი: პრატსი, აიალა, ხაიმე (კანიასი 46), მერინო, სოლოსაბალი, იტო, ალექსისი, ფერნანდო, ფინიდი (ოლი 70), დენილსონი (ლუის ფერნანდესი 20), ივან პერესი
სელტა: დუტრუელი, კასერესი, სალგადო, ბერხესი (ოსკარ ვალესი 46), ჯოროვიჩი, ტომასი, მაკელელე, მაზინიო, მოსტოვოი (კაირესი 77), პენევი (კადეტე 67), სანჩესი
გაფრთხილება: აიალა, ფერნანდო, მოსტოვოი, პენევი, სანჩესი
გაძევება: ფერნანდო
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ატლეტიკო 2:0 ტენერიფე

1:0 ჟუნინიო (73პ), 2:0 რობერტო (90)
ატლეტიკო: მოლინა, ტორიზი, სერენა, ზამორანო, სანტი, ვალერონი, რობერტო, მენია (იუგოვიჩი 46), ლარდინი (ნიეგუსი 88), ხოსე მარი (ჟუნინიო 46), კიკო
ტენერიფე: უნსუე, პაბლო პასი, მატა, ანდრე ლუისი, იოკანოვიჩი, ემერსონი, დანი, რობაინა, კოდრო (დომინგოსი 83), ხუანელე (ფელიპე 62), მაკაი (მარსელინო 83)
გაფრთხილება: ზამორანო, სანტი, მენია, ლარდინი, პაბლო პასი, მატა, ანდრე ლუისი, იოკანოვიჩი, ემერსონი, დანი, რობაინა, ფელიპე
გაძევება: ჟუნინიო, ანდრე ლუისი, ემერსონი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

— „რეალი" არასდროს აგებს ზედიზედ სამ თამაშს. ეს გამორიცხულია! — ამაყად განაცხადა მადრიდელთა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა სარაგოსაში, ჩემპიონატის ლიდერთან მძიმე შეხვედრაში მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ.

ძალიან დაძაბული მატჩი იყო. მეტოქეებს ძლიერ სურდათ მოგება, მაგრამ კარგად უწყოდნენ, რომ ერთ მატჩს ორი გამარჯვებული არ ეყოლებოდა. ამიტომ თავიდანვე, პირველი წუთიდანვე, ერთურთს მთელი ძალით ეკვეთნენ.

„სამეფო კლუბი" მალე დაწინაურდა — „რეალის" ხორვატი ლეგიონერი რობერტ იარნი, რომელიც შეუდარებელი გახლდათ, სარაგოსელებმა საჯარიმოში წააქციეს. შეხვედრის არბიტრ როდრიგეს სანტიაგოს ბევრი არ უფიქრია — უმალ პენალტი დანიშნა, მადრიდელთაგან ამ საქმის დიდოსტატმა ფერნანდო იერომ კი კლუბი წინ გაიყვანა. გოლთან ერთად მადრიდელები ხუანმი გარსიას, სარაგოსელთა კარის დარაჯის გაძევებასაც ითხოვდნენ, მაგრამ არაფერმა გაჭრა — იარნის წამქცევი კარს ბოლომდე იცავდა.

ჩამორჩენამ მასპინძლები ერთობ დაამწუხრა, თუმცა წელში არ გატეხილან — მთელი გუნდით შეუტიეს „რეალს", მაგრამ მეორე გოლი გაუშვეს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა რობერტო კარლოსმა სხვაობა გააორმაგა.

თანამედროვე ფეხბურთში (სხვათა



ბარსელონა — სალამანკა. ჯოვანელა (№24) დიდხანს ებრძოდა კლუივერტს, თუმცა მოგვიანებით დაპირისპირება შეწყვიტა. იგი გააგდეს

REUTERS ბარსელონა

შორის, ადრეც ასე იყო) მოურიდებლად შეტევაში გადასვლას არავინ გაპატიებს. შეტევაში მყოფ კარგ გუნდს თავის დაცვაც უნარიანად უნდა შეეძლოს, მაგრამ ამ შემთხვევაში აღელვებულმა სარაგოსელებმა ვერ მოზომეს და ყველა წინ წავიდა, უკან კი არავინ დარჩა. სტუმართა გოლები ძირითადად იმის შედეგი გახლდათ, რომ მასპინძლები უკან დაბრუნებას და პოზიციების დროულად გამაგრებას ვერ ახერხებდნენ.

— „რეალის" დამარცხება ძალიან გვეწადა, მაგრამ საამისოდ მზად არ აღმოვჩნდით. მეტოქის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ გუნდს ჩვენს ნახევარზე საკმაოდ დიდი სივრცე და დრო ჰქონდა შეტევის განსახორციელებლად, არადა, ასეთი რამ, წესით და რიგით, არ უნდა ყოფილიყო. თავდასხმაში წასულებმა ჩვენდა უნებურად მეტოქეს დიდი ადგილი დავუთმეთ, თავისუფლება კი „რეალმა" გამარჯვებისთვის გამოიყენა — „სარაგოსას" მცველი პაკო შეხვედრის შემდეგ წაგების მიზეზებს თავისებურად ხსნიდა.

თუ ვინმე „რეალის" წინააღმდეგ უნარიანად თამაშობდა, უპირველესად ეს სავო მილოშევიჩი გახლდათ. ბირმინგემის „ასტონ ვილას" ყოფილი თავდამსხმელი შეტევებს ჭკვიანურად ახორციელებდა, თანაგუნდელებს პასებითაც ამარაგებდა და ილგნერსაც შიგადაშიგ აწუხებდა კიდეც, მაგრამ, როგორც ხშირად მომხდარა, მარტო იგი მეტოქის წინააღმდეგ ვერას გახდა.

სარაგოსელი გულშემატკივრები პირველად სწორედ სავო მილოშევიჩმა გახარა — რობერტო კარლოსის შედეგიანი დარტყმის შემდეგ დიდი ხანი არ გასულიყო, რომ მასპინძლებმა იხუვლეს — იუგოსლავიელის დარტყმამ მიზანს უწია, ბოდო ილგნერის კარის ბადე შეარხია და სხვაობაც შემცირდა.

გამარჯვების იმედი გაჩნდა, მაგრამ მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ მასპინძელთა გულშემატკივრებს — გააფთრებულმა სარაგოსელებმა, მეორე გოლის გასატანად ილგნერის კარს რომ მისდგომოდნენ, ერთ მომენტში უყურადღებოდ ითამაშეს და დაისაჯნენ — პრიმერა დივიზიონის ბომბარდირთა ლიდერმა რაულ გონსალესმა მესამედ დალაშქრა ხუანის კარი.

— ბრწყინვალე თამაში მოვიგეთ, გოლმა კი ძალიან გამახარა. საერთოდ, როდესაც სარაგოსაში ვთამაშობ, სხვანაირი, დადებითი განწყობა მეუფლება — თქვა რაულმა. საინტერესოა, რა ემოციები ეუფლება რაულს სარაგოსაში? საქმე ისაა, რომ ოთხი წლის წინ, როდესაც რაულის დებიუტი შედგა „რეალში", „სამეფო გუნდი" სწორედ „სარაგოსას" სტუმრობდა.

კვლავ ჩამორჩნენ მასპინძლები, მაგრამ მოგვიანებით ისევ გაქვითეს ერთი ბურთი და ისევ გაუჩნდათ შეხვედრის გადარჩენის იმედი — გუსტავო ლოპესმა ისევ აახმაურა სარაგოსელები — მაგრამ ვერა, სტუმრების ფრთხილ და გონივრულ თამაშს „სარაგოსამ" ვერაფერი დაუპირისპირა.

მილოშევიჩის თანამემამულე პრედრაგ მიატოვიჩმა მეოთხედ დაამწუხრა მეტოქეები. მასპინძლებს შეხვედრის გადარჩენა ჯერ კიდევ შეეძლოთ, მაგრამ არა და არა. იმ დღეს პირველობის ლიდერს დამარცხება ეწერა, ჰიდინკის გუნდს კი ცხრილში პირველ ადგილზე გადანაცვლება.

— სტიმული დიდი იყო. „რეალისთვის" გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ჩემპიონთა ლიგის თამაშების წინ დადებითი ფსიქოლოგიური განწყობა უნდა შეგვექმნა და მიხარია, რომ მოვიგეთ. მეტოქეზეც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა — მატჩამდე მისი რიდი გარკვეულწილად გვქონდა. „სარაგოსა" ამას იმსახურებდა — ეს სიტყვები ისევ და ისევ გუს ჰიდინკს, სტუმართა მწვრთნელს ეკუთვნის.

ესპანეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი გათამაშებას სათავეში ჩაუდგა, აი, ქვეყნის ბოლო ჩემპიონმა „ბარსელონამ" კი შინ „სალამანკას" წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შეძლო. ეგ კი არა, კატალონიელებს ცუდად თამაშის გამო ქომაგებმა ყურისწამღებად უსტვინეს. სხვათა შორის, გასულ სეზონში „სალამანკამ" „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" 4:1 დაამარცხა, თუმცა ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლუის ვან გაალმა გუნდს ტიტული მოაპოვებინა.

— სამწუხაროა ქულების დაკარგვა, მაგრამ რა ვქნათ, ყველა შეხვედრას ნამდვილად ვერ მოვიგებთ. წინ ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი თამაშებია. შევეცდებით, იმ მატჩებში ვიმარჯვოთ — თქვა ვან გაალმა.

მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ — ჰოლანდიელი ფილიპ კოკუს გოლით ისინი წინ იყვნენ კიდეც, მაგრამ სალამანკელმა ედუ ალონსომ მეტად საჭირო ბურთი გაიტანა და თავისიანებს ქულა მოუტანა. რაც შეეხება კოკუს გოლს, ფეხბურთელისთვის იგი პირველია „ბარსელონას" შემადგენლობაში.

ახლა ტურის სხვა შეხვედრებზეც ვთქვათ. აღსანიშნავი „ატლეტიკო" — „ტენერიფეს" მატჩია, რომელშიც მსაჯმა ედუარდო იტურალდიმ 14-ჯერ (!) გამოიყენა ყვითელი, ხოლო სამჯერ — წითელი ბარათი. მადრიდელთა შემადგენლობაში თითქმის თვენახევრიანი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა ვლადიმირ იუგოვიჩმა.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:9 | +5 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | +2 | 4 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:5 | +3 | 9 |
| 2 | სარაგოსა | 6 | 4 | 0 | 2 | 13:7 | +6 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | +3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | +3 | 6 |
| 3 | მალიორკა | 6 | 3 | 3 | 0 | 6:2 | +4 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | +1 | 5 |
| 4 | ატლეტიკო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | +4 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | +7 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 5 | სელტა | 6 | 2 | 4 | 0 | 9:5 | +4 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | +1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | +3 | 5 |
| 6 | ბარსელონა | 6 | 2 | 4 | 0 | 9:6 | +3 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | +1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | +2 | 5 |
| 7 | დეპორტივო | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | +2 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | +6 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 8 | რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 9 | ბილბაო | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | +1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | +3 | 6 | 2 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 10 | ვალიადოლიდი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | +1 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | +2 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | -1 | 2 |
| 11 | ოვიედო | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 8 | 3 | 1 | 0 | 1 | 4:2 | +2 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | -4 | 2 |
| 12 | სალამანკა | 6 | 2 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | -7 | 1 |
| 13 | ალავესი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 14 | ვილიარეალი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:8 | +1 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:2 | +5 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 15 | სოსიედადი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:11 | -2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | -3 | 2 |
| 16 | ვალენსია | 6 | 2 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 17 | ესპანიოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | -1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | +1 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |
| 18 | ტენერიფე | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 19 | ბეტისი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 20 | ესტრემადურა | 6 | 0 | 2 | 4 | 2:8 | -6 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 6 |
| ურსაისი (ბილბაო) | 5 |
| კრაიოვეანუ (ვილიარეალი) | 4 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 4 |
| მიატოვიჩი (რეალი) | 4 |

### VII ტური

25 ოქტომბერი

მალიორკა - ატლეტიკო
ტენერიფე - დეპორტივო
ოვიედო - ვილიარეალი
სოსიედადი - ვალიადოლიდი
ესპანიოლი - ბარსელონა
სალამანკა - ბილბაო
ვალენსია - ბეტისი
სელტა - სარაგოსა
რეალი - რასინგი
ალავესი - ესტრემადურა

## მეორე დივიზიონი

VIII ტური

### ეიბარი 1:1 ლეიდა

1:0 ბიქსენტე (51), 1:1 აიტორი (90)

### ბარსელონა B 2:2 სევილია

1:0 პუიოლი (48), 2:0 ლუისი (57), 2:1 გლუშევიჩი (63პ), 2:2 ცარტასი (82)

### ლეგანესი 0:2 მალაგა

0:1, 0:2 ბასტი (5, 40)

### ლას პალმასი 3:0 რაიო

1:0 პაკიტო (8), 2:0 კოვალჩუკი (60), 3:0 ელოი (74)

### ტოლედო 1:1 ნუმანსია

1:1 მაიკელი (23), 1:1 ბარბარინი (71)

### სპორტინგი 0:1 ლოგრონიესი

0:1 ნაიმი (47პ)

### ალბასეტე 1:0 კომპოსტელა

1:0 არანალდე (45პ)

### ოსასუნა 0:0 რეკრეატივო

### ბადახოსი 0:0 მერიდა

### ერკულესი 0:2 ორენსე

0:1 კორტინა (78), 2:0 სუანსესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| მალაგა | 8 | 5 | 3 | 0 | 14:6 | 18 |
| ლას პალმასი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:7 | 16 |
| ლეიდა | 8 | 5 | 1 | 2 | 14:10 | 16 |
| ტოლედო | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 |
| სევილია | 8 | 4 | 3 | 1 | 9:4 | 15 |
| ლოგრონიესი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:9 | 14 |
| მალიორკა B | 7 | 4 | 0 | 3 | 12:8 | 12 |
| ოსასუნა | 8 | 3 | 3 | 2 | 10:6 | 12 |
| ატლეტიკო B | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| კომპოსტელა | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 |
| რაიო | 8 | 2 | 5 | 1 | 9:10 | 11 |
| ორენსე | 8 | 3 | 1 | 4 | 6:11 | 10 |
| ალბასეტე | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| რეკრეატივო | 8 | 1 | 4 | 3 | 3:5 | 7 |
| მერიდა | 8 | 1 | 4 | 3 | 5:8 | 7 |
| ერკულესი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ბადახოსი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:8 | 6 |
| ბარსელონა B | 8 | 1 | 3 | 4 | 9:17 | 6 |
| ლეგანესი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:16 | 6 |
| ეიბარი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | 5 |
| სპორტინგი | 8 | 0 | 2 | 6 | 3:13 | 2 |

## ჰოლანდია

IX ტური

**აიაქსი 5:0 ტვენტე**

1:0 რუდი (13), 2:0 ვიჩხე (19), 3:0 ლიტმანენი (43), 4:0 ფ. დე ბური (65), 5:0 ვამბერტო (70)
აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, რუდი, ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური (დანი 46), ლიტმანენი (ქინქლაძე 46), ვიჩხე, ვამბერტო, შ. არველაძე, ჰუქსტრა (გრონკიაერი 19)

**გრააფსხაპი 0:0 უტრეხტი**

**ნაიმეგენი 2:2 ეინდჰოვენი**

1:0, 2:0 რეფურმი (6, 52), 2:1 ნისტელროოი (64), ნილისი (69)
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ნიკიფოროვი, ვან დერ ვეერდენი, სკერლა, ლუსიუსი (რომედალი 61), ვან დერ დოელენი, კოლკა (ბრუგინკი 80), ხოხლოვი, ნისტელროოი, ნილისი, დე ბილდე

**ფეიენოორდი 0:0 როდა**

**ვიტესი 3:2 ტილბურგი**

1:0, 2:0 მახლასი (14, 19), 2:1 შენინგი (28), 3:1 მახლასი (39), 3:2 არტსი (44 პ)

**ბრედა 2:0 მაასტრიხტი**

1:0 სტიუარტი (33), დე იონგი (75 ს.კ.)
ბრედა: კარელსე, ვან ასი, ატმოდიკორო, შროიდერი, გუდელი, ნო (ვერსტეეგი 84), ფესკენსი, ბოჟი, სტიუარტი (ზეფილინო 79), მილიჩიჩი (მაკდონალდი 79), ა. არველაძე

**სიტარდი 2:1 სპარტა**

1:0 ჰამინკი (20), 2:0 ვან ბომელი (25), 2:1 კრიიგსმანი (43)

**კამბური 1:1 ვალვაიკი**

0:1 ლანქორი (33), 1:1 დიიხუიზენი (63)

**აზ 67 1:3 ჰერენვენი**

0:1 პაპლაცი (13), 1:1 ჰუინზერტი (43), 1:3 ჰოუტუინი (61), 1:3 ტალანი (63)



აიაქსი — ტვენტე. ლიტმანენის გოლმა იარიზე უფრო გრონკიაერი გაახარა

როგორც იქნა, ამსტერდამის „აიაქსმა“ ისე ითამაშა, როგორც ეკადრება და „ტვენტეს“ სულ კუდით ქვა ასროლინა. შეხვედრაში ქართველი ლეგიონერებიდან ორივემ ითამაშა — არველაძემაც და ქინქლაძემაც, ოღონდ ამ უკანასკნელმა მხოლოდ მეორე ტაიმში. სამწუხაროდ, თავი არც ერთს გამოუჩენია, რაც ბოლო დროს უკვე ტრადიციად იქცა.

ანგარიში თავად მეტყველებს ყველაფერზე, ამიტომაც მატჩის წვრილად მიმოხილვას არ დავიწყებთ, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მასპინძლებმა მართლაც კარგი ფეხბურთი ითამაშეს, საგრძნობლად აჯობეს მეტოქეს და თანაც ამ გამარჯვებით გათამაშების ცხრილში ზევით აიწიეს. ახლა მათ ლიდერ „ფეიენოორდთან“ მხოლოდ 4 ქულა აშორებთ.

როტერდამელებმა, „აიაქსისგან“ განსხვავებით, უკლეს, ზედიზედ მეორედ დაკარგეს ორი ქულა და შედეგიც სახეზეა — „ფეიენოორდი“ გათამაშებას ერთპიროვნულად ველარ ლიდერობს. ამჯერად „ფეიენოორდი“ შინ დაუზავდა ცხრილის შუაგულში მყოფ „როდას“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 25-ე წუთზე მასპინძლებს კის ვან ვონდერენი გაუძევეს და თითქმის მთელი მატჩი ათი კაცით მოუწიათ ყოფნა.

ისევე როგორც „ფეიენოორდს“, დღესდღეობით „ვიტესსაც“ 20 ქულა აქვს, ოღონდ ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ შაბათს არნემში ქართველების შემარცხვენელნი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს — ნიკოს მახლასი ანუ „ვიტესი“ და „ტილბურგი“. საბოლოოდ, „დინამოს“ გამანადგურებელს, საქართველს ნაკრების გამამწარებელმა აჯობა, ჰეთ-თრიქი შეასრულა და როგორც უკვე ვთქვით, თავის გუნდს მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრების საშუალებაც მისცა. აღსანიშნავია, რომ მახლასმა, რომელიც, ისევე როგორც შარშან, წელსაც ჰოლანდიის საუკეთესო ბომბარდირი გახდება, სამჯერვე პირველ ტაიმში იხეირა.

ახლა ქართველთა სხვა გუნდებზეც ვისაუბროთ. „აიაქსის“ მსგავსად „ბრედამაც“ იმარჯვა და ცოტა ამოისუნთქა, თუმც ვერც აჩიკომ გამოიჩინა თავი, რაც ასევე სამწუხაროა.

კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ გოგა გახოკიძემ „ეინდჰოვენის“ ძირითადში ადგილი ვერა და ვერ დაიმკვიდრა. მეტიც, იგი შეცვლაზეც კი არ გამოყავთ. ამის ბრალია, თუ სხვა რამის, „ეინდჰოვენი“ კვლავ გაჭირვებაშია. წინა ტურში ეინდჰოვენელებმა მოიგეს და თითქოს აღმასვლაც უნდა დაეწყოთ, მაგრამ კვლავ ფრე, თანაც ესეც დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან გახოკიძის გუნდი „ნაიმეგენთან“ 64-ე წუთამდე 0:2 აგებდა და ანგარიშის გათანაბრება რომ მოახერხა, მადლობელი უნდა იყოს.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 8 | 6 | 2 | 0 | 17:6 | 20 |
| ვიტესი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 20 |
| ჰერენვენი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| აიაქსი | 9 | 5 | 2 | 2 | 18:7 | 17 |
| ტვენტე | 9 | 5 | 2 | 2 | 11:9 | 17 |
| ნაიმეგენი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:10 | 15 |
| აზ. 67 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:15 | 13 |
| უტრეხტი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:13 | 12 |
| ეინდჰოვენი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:14 | 11 |
| ტილბურგი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:16 | 11 |
| გრააფსხაპი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:15 | 10 |
| როდა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | 9 |
| ბრედა | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | 9 |
| მაასტრიხტი | 9 | 3 | 0 | 6 | 12:17 | 9 |
| სიტარდი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:12 | 8 |
| სპარტა | 9 | 2 | 1 | 6 | 10:16 | 7 |
| კამბური | 9 | 2 | 2 | 5 | 9:18 | 6 |
| ვალვაიკი | 9 | 0 | 3 | 6 | 8:18 | 3 |

## რუსეთი

XXVIII ტური

**როტორი 1:2 სპარტაკი**

1:0 ვერეტენნიკოვი (25პ), 1:1 ტიტოვი (83), 1:2 პისარევი (86)

**ტორპედო 0:2 ცსკა**

0:1 კულიკი (72), 0:2 სემაკი (78)

**დინამო 4:1 ალანია**

0:1 დემეტრაძე (19), 1:1, 2:1 ტერიოხინი (34, 56), 3:1 გოლოვსკოი (63), 4:1 ტერიოხინი (90)

**როსტსელმაში 2:0 ჟემჩუჟინა**

1:0 ბესმერტნი (4), 2:0 მატვეევი (49)

**ჩერნომორეცი 2:1 ბალტიკა**

0:1 სილინი (14), 1:1 ბერეჟნერი (65), 2:1 დუომინი (67)

**ზენიტი 2:0 კრილია სოვეტოვი**

1:0 იეგუნოვი (17), 2:0 გორშკოვი (47)

**შინიკი 3:2 ტიუმენი**

0:1 იუმინოვი (5), 1:1 შირინბეკოვი (36), 2:1 იუმინოვი (42), 3:1 ლეონჩენკო (47პ), 3:2 იუმინოვი (53)

**ლოკომოტივი 3:1 ურალანი**

1:0 ბოროდიუკი (14), 2:0 ჯანაშია (21), 3:0 ბოროდიუკი (33), 3:1 აკსიონოვი (34)

შარშან ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი მატჩის გამართვა გახდა საჭირო — მოსკოვის „სპარტაკმა“ 2:0 დაამარცხა ვოლგოგრადის „როტორი“ და რუსეთის ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ, სულ კი მეხუთედ მოიპოვა.

წლეულს რუსთა ჩემპიონი სავარაუდოდ, ალბათ, კვლავ „სპარტაკი“ გახდება. ამ ტურში კი ოლეგ რომანცევის გუნდმა ვოლგოგრადელთა ძლევით ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტულისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა — მდევარ ცსკასთან სხვაობა შეინარჩუნა.

ვოლგოგრადში თამაშის დაწყებამდე ადგილობრივმა პოლიციამ მოახდინა ძალის დემონსტრირება — შეზარხოშებული მოჩხუბარი გულშემატკივრები გააშველა. ქომაგთა შორის უსიამოვნებები მატჩის შემდეგაც გაგრძელდა, თუმც ამას სისხლისღვრა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

კონკრეტულად მატჩს რაც შეეხება, მოსკოველები სამი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე თამაშობდნენ. ჩემპიონთა ლიგაში მილანის „ინტერთან“ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ოლეგ რომანცევმა ჯერ კიდევ ტრავმამოუშუშებელი ილია ციმბალარის, დმიტრი ხლესტოვის და ანდრეი ტიხონოვის დასვენება გადაწყვიტა. ლიდერთა არყოფნა „სპარტაკს“ სულაც არ დასტყობია — გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, ჩამორჩენა ჯერ გაქვითა, სულ ბოლოს კი კლუბის ვეტერანმა ნიკოლაი პისარევმა გამარჯვების მომტანი გოლი შეაგდო. მასპინძლებს რაც შეეხებათ, „როტორის“ უპირველესმა ბომბარდირმა მორიგი გოლი გაიტანა და ჩემპიონატის მეგოლეთა შორის კიდევ უფრო დაწინაურდა.

სანამ „სპარტაკი“ ვოლგოგრადში მძლავრობდა, მდევარმა ცსკა-მ ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო — არმიელებმა მოსკოვურ დერბიში ავტოქარხნელები დაამწუხრეს. სტუმრებმა გამარჯვებას შეხვედრის მიწურულს მიაღწიეს, მანამდე კი „ტორპედოს“ დაცვის გარღვევას უნდებოდნენ. გამარჯვების მერე, ცსკა-ს მეორე გოლის ავტორმა, ალექსეი სემაკმა, განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პირველობის დასრულებამდე ცოტა დრო რჩება, მწამს, ჩემპიონობას მოვიპოვებთო.

გარდა ამისა, მოსკოვში კიდევ ორი თამაში შედგა და ზემოხსენებულისგან განსხვავებით, ორივეში მასპინძლებმა იმარჯვეს. გასახარი ის არის, რომ ორჯერვე ქართველებმა გამოიჩინეს თავი, თუმც თუ გიორგი დემეტრაძის „ალანია“ განადგურდა, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ მოიგო.

ვეტერან ალექსანდრ ბოროდიუკის და ზაზა ჯანაშიას პირველ ნახევარში შეგდებულმა გოლებმა მატჩის ბედი ნაადრევად გადაწყვიტა.

ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლმა მოსკოვის „დინამომ“ ვლადიკავკაზელებს კუდით ქვა ასროლინა. ექსთბილისის დინამოელი გიორგი დემეტრაძის გოლის წყალობით „ალანია“ ერთი ხანობა კი იგებდა, მაგრამ საბოლოოდ ცხარე ცრემლით იტირა. სხვათა შორის, დემეტრაძისთვის ეს სეზონში მე-13 გოლი აღმოჩნდა, რითაც ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილისთვის აგრძელებს ბრძოლას.

რამდენიმე თვეა, ვერ მოუგია „ტიუმენს“. მან ახლაც წააგო.

**ირაკლი ილყმვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 28 | 16 | 8 | 4 | 54:23 | 56 |
| ცსკა | 28 | 15 | 5 | 8 | 46:21 | 50 |
| ლოკომოტივი | 28 | 14 | 7 | 7 | 40:27 | 49 |
| ზენიტი | 28 | 12 | 10 | 6 | 40:22 | 46 |
| როტორი | 28 | 11 | 12 | 5 | 51:35 | 45 |
| როსტსელმაში | 28 | 10 | 11 | 7 | 40:35 | 41 |
| ურალანი | 28 | 11 | 6 | 11 | 33:38 | 39 |
| ალანია | 28 | 10 | 7 | 11 | 43:38 | 37 |
| ჟემჩუჟინა | 28 | 9 | 8 | 11 | 29:39 | 35 |
| შინიკი | 28 | 9 | 8 | 11 | 28:35 | 35 |
| დინამო | 28 | 7 | 14 | 7 | 29:29 | 35 |
| კრილია | 28 | 9 | 7 | 12 | 23:33 | 34 |
| ტორპედო | 28 | 8 | 10 | 10 | 35:32 | 34 |
| ჩერნომორეცი | 28 | 7 | 11 | 10 | 32:37 | 32 |
| ბალტიკა | 28 | 6 | 11 | 11 | 29:39 | 29 |
| ტიუმენი | 28 | 2 | 1 | 25 | 17:86 | 7 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვერეტენნიკოვი (როტორი) | 22 |
| დემეტრაძე (ალანია) | 13 |
| მატვეევი (როსტსელმაში) | 13 |
| კულიკი (ცსკა) | 13 |

## შვეიცარია

XIV ტური

**ციურიხი 1:0 ბაზელი**

1:0 შასო (58)

**არაუ 0:2 ქსამაქსი**

0:1 ისაბელა (16), 0:2 სამბასი (85)

**სიონი 2:1 სენტ გალენი**

1:0 ალენშპახი (12), 2:0 ტოლოტი (18), 2:1 იაკინი (30)

**ლუცერნი 0:0 სერვეტი**

**იანგ ბოისი 7:2 ლოზანა**

1:0 ფრინდი (16), 1:1 ტურე (36), 2:1 ლენგენი (44), 3:1 სავუ (52), 4:1 შტუდერი (58), 5:1 სავუ (62), 6:1 ბაუმანი (68), 6:2 შაჰგელდიანი (76), 7:2 ფრინდი (77)

**ლუგანო 1:1 გრასჰოპერი**

0:1 დე ნაპოლი (45), 1:1 გიალანსა (85)
გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი, ესპოზიტო, ფოგელი (კაბანასი 46), კომიზეტი, დე ნაპოლი (ტიკვა 81), თურქილმაზი

შვეიცარიის ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურში „გრასჰოპერმა“ თავისი უპირველესი კონკურენტის „სერვეტის“ წაფორთხილებით ვერ ისარგებლა, რადგან ლუგანოში თავადაც ხელი მოეცარა.

ამ მატჩში, რომელიც პარასკევს გაიმართა, არ უთამაშიათ ქართველ ლეგიონერებს გიორგი ნემსაძესა და მიხეილ ყაველაშვილს. ციურიხელი კლუბის პრეს-ატაშეს განცხადებით, ეროვნული ნაკრებიდან ორივე ტრავმირებული დაუბრუნდათ, უთამაშებლობის მიზეზიც ეს ყოფილა.

„გრასჰოპერი“ ამ მატჩისთვის ნაყოფიერად მოემზადა, თითქმის ორკვირიანი შესვენებით ისარგებლა და ჩემპიონატისთვისა და უეფას თასისთვის უკეთ მომზადების მიზნით სიცილიას მიაშურა. თუმცა „ლუგანოსთან“ ამანაც ვერ უშველა.

„პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ, გოლიც გავიტანეთ, მეორეში კი კარის დაცვაზე დავიწყეთ ფიქრი და დავისაჯეთ კიდეც, არადა, პირველივე ნახევარში შეგვეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა. შესვენების შემდეგ შედარებით სუსტი თამაში გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ სამშაბათს ურთულესი შეხვედრა გველის უეფას თასზე იტალიურ „ფიორენტინასთან“, ჩვენი ყურადღებაც უმთავრესად ამ მატჩისკენაა მიპყრობილი“ — განაცხადა „კალიების“ თავკაცმა როლფ ფრინგერმა.

„გრასჰოპერსს“ პირველ ტაიმში მართლაც ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ 45-ე წუთამდე ვერ იხეირა: კომიზეტის პასით პატრიკ დე ნაპოლიმ გაიტანა. მეორე ნახევარში „გრასჰოპერმა“ ინიციატივა დათმო თუმცა ერთბურთიან უპირატესობას მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდა. 85-ე წუთზე გიალანსას პირველ დარტყმას ცუბერბიულერი კი გაუმკლავდა, მაგრამ განმეორებითს ველარაფერი მოუხერხა.

ლიდერების ვერმოგებით უმალ ისარგებლა „ქსამაქსმა“, რომელმაც სტუმრად „არაუს“ 2:0 მოუგო და მეორე ადგილზე აინაცვლა.

საშვილიშვილოდ შერცხვა „ლოზანა“, რომელიც აუტსაიდერმა „იანგ ბოისმა“ 7:2 გააცამტვერა. არადა, პირველი ტაიმის ბოლომდე ანგარიში 1:1 იყო. ტაიმი „ლოზანამ“ 1:2 წააგო. მეორე ნახევარში კი გოლების სეტყვა დაატყდა თავს. 52-დან 77-ე წუთამდე მასპინძლები სტუმრებს 5 ბურთით გაუმასპინძლდნენ, სანაცვლოდ მხოლოდ ერთი გაუშვეს. ამ გამარჯვებით „იანგ ბოისმა“ შეწყვიტა ჩემპიონატში თორმეტმატჩიანი მოუგებელი სერია. შეგახსენებთ, პირველი სამი ქულა გუნდმა 15 ივლისს მოიპოვა, როდესაც „გრასჰოპერი“ 3:1 დაამარცხა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 14 | 9 | 3 | 1 | 28:18 | 31 |
| ქსამაქსი | 14 | 6 | 6 | 2 | 23:18 | 24 |
| გრასჰოპერი | 14 | 6 | 5 | 3 | 21:17 | 23 |
| სენტ გალენი | 14 | 6 | 3 | 5 | 24:18 | 21 |
| ბაზელი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:18 | 21 |
| ციურიხი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:13 | 20 |
| ლოზანა | 14 | 5 | 5 | 4 | 21:26 | 20 |
| ლუგანო | 14 | 4 | 5 | 5 | 24:23 | 17 |
| სიონი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:21 | 17 |
| ლუცერნი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:21 | 11 |
| იანგ ბოისი | 14 | 2 | 4 | 8 | 22:24 | 10 |
| არაუ | 14 | 2 | 4 | 8 | 19:28 | 10 |

## პორტუგალია

VII ტური

**აკადემიკა 2:1 ფარენსე**

1:0 მონტეირო (16), 1:1 ბესიროვიჩი (19), 2:1 სანტოში (82)

**შავეში 1:1 მარიტიმუ**

0:1 ბუნბურუ (54), 1:1 რამოსი (86)

**ბრაგა 2:4 უნიაუ**

1:0 დუარტე (48), 1:1 აპინფული (65), 1:2 რეინალდო სილვა (68), 2:2 ელპიდიო სილვა (70), 2:3 სანტოსი (71), 2:4 აპინფული (83)

**კამპომაიორენსე 0:0 სალგეირუში**

**პორტუ 0:2 ბოავიშტა**

0:1 ტიმოფტე (42), 0:2 მელო (94)

**ბენფიკა 2:2 ალვერკა**

1:0 პობორსკი (12), 1:1 ფრეიტასი (45), 1:2 მანიშე (81), 2:2 ნანდინიო (91)

**სპორტინგი 0:0 ბეირა მარი**

**სეტუბალი 1:0 გიმარაეში**

1:0 სოუზა (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 7 | 5 | 1 | 1 | 14:4 | 16 |
| უნიაუ | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 16 |
| პორტუ | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 15 |
| სპორტინგი | 7 | 4 | 3 | 0 | 12:4 | 15 |
| ბოავიშტა | 7 | 4 | 3 | 0 | 7:1 | 15 |
| სალგეირუში | 8 | 3 | 4 | 1 | 11:8 | 13 |
| შავეში | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 11 |
| ამადორა | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| სეტუბალი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:10 | 9 |
| აკადემიკა | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 |
| ბრაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 |
| ფარენსე | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | 7 |
| კამპომაიორენსე | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| რიუ ავე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| ალვერკა | 7 | 0 | 5 | 2 | 6:11 | 5 |
| ბეირა მარი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| გიმარაეში | 7 | 1 | 1 | 5 | 7:11 | 4 |
| მარიტიმუ | 7 | 0 | 3 | 4 | 5:10 | 3 |

## თურქეთი

მე-8 ტური: ალთაი — დარდანელი 1:1; ბურსა — გაზიანთეფი 2:1; ფენერბაჰჩე — საქარია 3:0; ერზურუმი — ბეშიქთაში 2:2; სამსუნი — ქარაბუქი 2:1; ისთანბული — ანკარაგიუჯიუ 1:4; გენჩლერბირლიგი — ტრაბზონი 0:1; ადანა — გალათასარაი 2:2; ქოჯაელი — ანთალია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 8 | 5 | 3 | 0 | 18:8 | 18 |
| გენჩლერბირლიგი | 8 | 6 | 0 | 2 | 17:10 | 18 |
| გალათასარაი | 8 | 5 | 2 | 1 | 24:9 | 17 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 5 | 2 | 1 | 21:6 | 17 |
| ტრაბზონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 |
| ქოჯაელი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 14 |
| გაზიანთეფი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:7 | 14 |
| ისთანბული | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | 13 |
| ანთალია | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| ერზურუმი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:18 | 12 |
| ბურსა | 8 | 3 | 2 | 3 | 12:14 | 11 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| ქარაბუქი | 8 | 2 | 0 | 6 | 8:16 | 6 |
| ადანა | 8 | 1 | 2 | 5 | 4:11 | 5 |
| ალთაი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| სამსუნი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:18 | 5 |
| დარდანელი | 8 | 0 | 3 | 5 | 2:10 | 3 |
| საქარია | 8 | 0 | 3 | 5 | 5:16 | 3 |

## ავსტრია

მე-12 ტური. ლინცერი — ზალცბურგი 3:1, რაპიდი — გრაცერი 0:2, შტაირი — აუსტრია 0:1, შტურმი — რიდი 4:0, ტიროლი — ლუსტენაუ 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 12 | 9 | 2 | 1 | 20:5 | 29 |
| შტურმი | 12 | 8 | 1 | 3 | 23:9 | 25 |
| ლინცერი | 12 | 8 | 1 | 3 | 25:15 | 25 |
| რაპიდი | 11 | 6 | 3 | 2 | 17:9 | 21 |
| აუსტრია | 12 | 5 | 3 | 4 | 14:15 | 18 |
| ტიროლი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 15 |
| ზალცბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 18:20 | 13 |
| ლუსტენაუ | 12 | 1 | 4 | 7 | 9:26 | 7 |
| რიდი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:17 | 6 |
| შტაირი | 12 | 1 | 2 | 9 | 10:27 | 2 |

## სლოვენია

მე-10 ტური. ბელტინჩი — ცელიე 4:1, ველენიე — დომზალე 1:3; კოპერი — პრიმორიე 0:2, გორიცა — ტრიგლავი 3:1, ოლიმპია — კოროტანი 3:4, მარიბორი — მურა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 10 | 8 | 1 | 1 | 24:7 | 25 |
| გორიცა | 10 | 7 | 1 | 2 | 22:10 | 22 |
| ოლიმპია | 10 | 5 | 1 | 4 | 17:16 | 16 |
| ბელტინჩი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 16 |
| მურა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| ცელიე | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| პრიმორიე | 10 | 3 | 3 | 4 | 9:10 | 12 |
| კოროტანი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | 12 |
| ველენიე | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| დომზალე | 10 | 2 | 3 | 5 | 6:16 | 9 |
| კოპერი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:20 | 8 |
| ტრიგლავი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:13 | 7 |

## შოტლანდია

X ტური

**აბერდინი 2:2 დანდი**

1:0 ჯესი (11), 1:1 ანანდი (60), 2:1 ჯესი (63), 2:2 ანანდი (70)

**დანდი იუნაიტედი 0:2 კილმარნოკი**

0:1 მაკგოუნი (12), 0:2 ვარიელი (80)

**დანფერმლაინი 2:2 სელტიკი**

1:0 ბრიტონი (13), 1:1 ლარსონი (16), 2:1 ფრენჩი (27), 2:2 ბრატბაკი (37)

**რეინჯერსი 3:0 ჰართსი**

1:0 იოჰანსენი (50), 2:0, 2:3 უოლესი (61, 88)

**სენტ ჯონსტონი 5:0 მოზერველი**

1:0 ო'ბოილი (39), 2:0 კერნაგანი (53), 3:0 სიმაო (62), 4:0 ო'ბოილი (85), 5:0 დოდსი (88)

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-10 ტური მიმდინარე სეზონში ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. ამავე ტურში ერთმა გუნდმა მეორე წელს ყველაზე დიდი ანგარიშით დაამარცხა. ეს „სენტ ჯონსტონმა“ მოახერხა შინ „მოზერველთან“ შეხვედრაში — 5:0, რასაც მასპინძელთა მესამე ადგილზე ანაცვლება, ხოლო სტუმრების ფსკერზე დაქვეითება მოჰყვა.

ცხრილის სათავეში კვლავ ერთპიროვნულად „გლაზგო რეინჯერსი“ ბატონობს. შაბათს, როდესაც დედაქალაქელები შინ ეთამაშებოდნენ თასის მფლობელ „ჰართსს“, სტადიონზე 49749 ქომაგი შეიყარა და როგორც აღმოჩნდა, სწორედ მოიქცა. მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, მასპინძლებმა პირველ ტაიმში „ჰართსის“ დაცვასა და მეკარე ჟილ რუსეს, რომელიც სტუმართა შორის საუკეთესო იყო, ვერაფერი მოუხერხეს.

აი, მეორე ნახევარში კი „ჰართსი“ გატყდა. 50-ე წუთზე ანგარიში ჯონათანან ოჰანსენმა გახსნა, ხოლო კიდევ ორჯერ რუსე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, როდ უოლესმა დაამწუხრა, თანაც ორივე შემთხვევაში ჰოლანდიელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ჩინებული გადაცემის შემდეგ.

— ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, რადგან კვლავაც ლიდერებად დავრჩით და, რაც მთავარია, „სელტიკი“ მთელი შვიდი ქულით ჩამოვიტოვეთ. რაც შეეხება ამორუზოს საქციელს (იტალიელი მატჩის მიწურულს გააძევეს), იგი არასწორად მოიქცა, ბევრს უხეშობს და ამიტომ მასთან სერიოზული საუბარი მომიწევს — თქვა მატჩის შემდეგ გლაზგოელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა, დიკ ადვოკაატმა.

სტუმართა დამრიგებელი ჯიმ ჯეფერისი კი, ბუნებრივია, დამწუხრებული გახლდათ — ეს სეზონში ყველაზე ცუდი თამაში იყო ჩვენთვის. რუსეს რომ არ ევაჟკაცა, უფრო სამარცხვინოდაც წავაგებდითო.

„რეინჯერსისთვის“ ეს გამარჯვება მართლაც მეტად მნიშვნელოვანი იყო,ვინაიდან შოტლანდიელები უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში საკმაოდ ძლიერ მეტოქეს, ლევერკუზენის „ბაიერს“ სტუმრად ხვდებიან და საკუთარი ძალების რწმენა მეტად წაადგებათ.

დღეს ევროტურნირებში მეორე გლაზგოური კლუბი „სელტიკიც“ ერთვება, თუმც ოდნავ უხასიათოდ — გუნდმა აუტსაიდერ „დანფერმლაინთან“ შეხვედრაში სუსტად ითამაშა და მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლო. შეიძლება ითქვას, „სელტიკი“ ვერა და ვერ გამოვიდა კრიზისიდან.

„რეინჯერსს“ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს ალი მაკოისტის „კილმარნოკი“, რომელიც აგერ უკვე რამდენი ხანია, მეორე ადგილზეა დამკვიდრებული და ერთი სული აქვს, ლიდერმა ქულები დაკარგოს. ამჯერად „კილმარნოკმა“ გასვლაზე „დანდი იუნაიტედი“ იმსხვერპლა — 2:0. არადა, როდესაც სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, მათ კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ მეკარე გორდონ მარშალმა იყოჩაღა და თავისიანთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

ტურის მეხუთე შეხვედრა „აბერდინი“ — „დანდი“ მშვიდობიანად დასრულდა. საინტერესო ის არის, რომ მასპინძლები ორჯერ იგებდნენ ეოინ ჯესის გოლების წყალობით, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეინარჩუნეს ეს უპირატესობა — ორჯერვე ედი ანანდმა გაქვითა.

დავით ძოვზირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:5 | 21 |
| კილმარნოკი | 10 | 5 | 4 | 1 | 12:5 | 19 |
| სტ. ჯონსტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:10 | 15 |
| სელტიკი | 10 | 3 | 5 | 2 | 16:11 | 14 |
| ჰართსი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:12 | 13 |
| აბერდინი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:13 | 10 |
| დანდი იუნ. | 10 | 2 | 4 | 4 | 8:11 | 10 |
| დანფერმლაინი | 10 | 1 | 7 | 2 | 8:13 | 10 |
| დანდი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:13 | 9 |
| მოზერველი | 10 | 2 | 3 | 5 | 5:14 | 9 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| როდ უოლესი (რეინჯერსი) | 7 |
| კრეიგ ბარლი (სელტიკი) | 5 |
| ედი ანანდი (დანდი) | 5 |
| ეოინ ჯესი (აბერდინი) | 5 |



REUTERS

რეინჯერსი — ჰარტსი. ანდრეი კანჩელსკისმა გარი ნეისმიტს გადაუარა, „რეინჯერსმა“ — „ჰარტსი“

# ვის გინდათ ოქროს მედლები?

## საფრანგეთი

IX ტური

**სტრასბური 0:2 მარსელი**

0:1, 0:2 მორისი (40, 52)

**ბორდო 2:0 ნანტი**

1:0 მიკუ (37), 2:0 დიავარა (38)

**ლიონი 1:1 პსჟ**

0:1 სიმონე (17), 1:1 კოკარი (46)

**მონაკო 2:0 მონპელიე**

1:0, 2:0 შპეპარი (10, 34)

**ლანსი 2:2 ოსერი**

0:1 კარნო (4), 1:1, 2:1 ელუა (18, 25), 2:2 მარლე (37)

**ლორიანი 0:0 ლე ავრი**

**ნანსი 0:1 რენი**

0:1 სისე (13)

**ტულუზი 2:1 ბასტია**

1:0 პეტროვიჩი (1), 1:1 ჟურიეტი (46), 2:1 პეტროვიჩი (47)

**სოშო 1:1 მეცი**

0:1 ლუკიჩი (52), 1:1 ბოდრი (90)

საფრანგეთის ჩემპიონატის მეცხრე ტურმა, რომელიც ევროთასების გამო პარასკევს და შაბათს გაიმართა, დაგვანახა, რომ წელს მსოფლიოს ჩემპიონების სამშობლოში ოქროს მედლებისთვის ორი ძირითადი კანდიდატის ბრძოლაში მხოლოდ „მონაკო“ თუ შეძლებს ჩარევას. სამივე ამ გუნდმა ერთნაირი ანგარიშით გაიმარჯვა და თუ „მონაკოს“ ოდენი ქულები „რენსაც“ აქვს, საპრიზო სამეული, ალბათ, უკვე გამოიკვეთა. თუმცა არც „ბორდოს“ და არც „მარსელს“ ჩემპიონობა მიზნად არ დაუსახავთ.

„ის თამაში ვითამაშეთ, რასაც ვიმედოვნებდით. მატჩის სადავეები ხელთ გვქონდა. ამ საღამოს ბედნიერი მწვრთნელი ვარ“ — თქვა გახარებულმა ელი ბოპმა. მისმა ფეხბურთელებმა ისე წარმართეს მთელი თამაში, რომ ძალების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე მიაღწიეს წარმატებას. „ბორდომ“ პატარა ტაქტიკური გაკვეთილი ჩაუტარა „ნანტის“ ახალგაზრდულ გუნდს. ისევე როგორც „მონპელიეს“ წინააღმდეგ, ჟირონდელებს მწვრთნელმა მეტოქისთვის ინიციატივის დათმობა მოსთხოვა, რამაც კვლავ გაამართლა. პირველ ტაიმში ნანტელები სულ შეტევაზე ფიქრობდნენ და უკანა ხაზს აშიშვლებდნენ. ამით „ბორდომ“ ერთ წუთში ორჯერ ისარგებლა. ბენარბიას ჩაწოდებულ კუთხურს მიკუმ თავი შეაგება და თავისიანები დააწინაურა. შემდეგი იერიშიც ბენარბიას ფლანგზე გარღვევით დაიწყო. მის უკან დაგორებულს კი უკვე დიავარამ დაჰკრა მძლავრად და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. „ანგარიშის გახსნის შემდეგ მეტოქე, როგორც ეს ხშირად ხდება, დაიბნა. ალის ჩაწოდებულს დაუფიქრებლად დავარტყი. 2:0-ზე კი ზედმეტი ძალების დახარჯვისგან თავი შევიკავეთ, რათა უეფას თასზე მოახლოებულ მატჩს დაღლილნი არ შევხვედროდით.“ — განაცხადა მეორე გოლის ავტორმა კაბა დიავარამ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში „ბორდოს“ უპირველესი გოლეადორის სილვენ ვილტორდის მაგივრად იყო. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელის მეოთხე გოლი იყო ამ სეზონში, რაც იმას მოწმობს, რომ ის ნამდვილად მეტ ნდობას იმსახურებს „ბორდოს“ თავკაცისგან. „კარგ დროს გავიტანეთ, ამით „ნანტი“ თითქოსდა გაბრუვდა და გამარჯვებაც აღარ გაგვჭირვებია“ — თქვა ორი საგოლე პასის ავტორმა ექსმონაკოელმა ალი ბენარბიამ. მეორე ტაიმში „ნანტს“ რამდენიმე სახიფათო მომენტი კი ჰქონდა, მაგრამ ულრიხ რამემ ერთიც არ გაუშვა. „დიდად არ მეწყინა მარცხი, რადგან „ბორდო“ ლიდერია, ჩვენ კი ცოტა მეტი გამოცდილების მიღების შემდეგ ასეთი დონის თამაშებს უკეთესად წარვმართავთ“ — იხტიბარი არ გაიტეხა სტუმართა მწვრთნელმა რეინალდ დენუიმ. ელი ბოპი ცხრა ტურში მეშვიდე მოგების მერეც კი მეტად თავდაჭერილია. „ჩვენს მთავარ მიზნად ევროპის საგზურის მოპოვება რჩება. კი, მოხარული ვარ, რომ 22 ქულით პირველ ადგილზე ვიმყოფებით, მაგრამ „მარსელი“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამოგვრჩება და პოტენციაც ჩვენზე მეტი აქვს.“

„მარსელმა“ კი მესამე გასვლითი მატჩი მოიგო და კვლავ ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება საფრანგეთში, თან სტუმრად მისთვის გოლის გატანა ჯერ კიდევ ვერავინ მოახერხა. ამჯერად „ოლიმპიკის“ მსხვერპლი „სტრასბური“ გახდა. „ვალდებულნი ვიყავით გაგვემარჯვა. წყნარად, აუჩქარებლად ვითამაშეთ. ბურთს ეფექტურად ვათამაშებდით. ოთხი გასვლითი მატჩი და არც ერთი გაშვებული გოლი. ასე თუ გავაგრძელეთ, სეზონის წინ დასახულ მიზანს — მეორე ადგილს ნაღდად მივაღწევთ. სამშაბათს ბრემენში აბსოლუტურად განსხვავებული ბრძოლა გველის. მანამდე, იმედი მაქვს, ძალების სრულ აღდგენას მოვასწრებთ“ — თქვა გამარჯვების შემდეგ როლან კურბისმა. მატჩი კი „სტრასბურის“ შეტევებით დაიწყო. ჯერ მე-6 წუთზე მარტენსმა გაისროლა უძლიერესად, თხუთმეტ წუთში კი „სტრასბურში“ წელს გადმოსულმა ტედი ბერტენმა კინაღამ გაუტანა თავის ყოფილ კლუბს. მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა სტეფან პორატოს კარის მარჯვენა ძელს მოხვდა. „პირველ ტაიმშივე შეგვეძლო, მეტოქისთვის გვეჯობნა, მაგრამ კიდევ ერთხელ გავუშვით სულელური ბურთი, ამის მერე კი „მარსელის“ შეჩერება შეუძლებელი იყო“ — ბერტენი დამწუხრებული საუბრობდა. გოლი კი ასე გავიდა: კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ვენსელმა უხეიროდ მოიგერია, ბრანდოს განმეორებით ჩაწოდებულს კი მეორე ძელთან მორისი ელოდა. მისმა თავურმა



REUTERS

სტრასბური — მარსელი. ექსმარსელელ ეშუაფნის ნეომარსელელმა (№9) მორისმა აჯობა

„ოლიმპიკი“ დააწინაურა. მეორე ტაიმი სამხრეთელთა უპირატესობით წარიმართა. ერთ მომენტში პირესმა მარჯვნივ გაჭრა მოახერხა, მის ჩაწოდებულს კი მორისმა ძლიერად დაარტყა და დუბლი გააზერხა — „რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა ორი გოლის გატანა, მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც გუნდის წარმატება და კოლექტიური თამაშია.“

მონაკოელებს წინ გასასვლელად დიდი დრო არ დასჭირვებიათ. მე-10 წუთზე მასპინძელთა მარცხენა მცველმა ფილიპ ლეონარმა საჯარიმო დარტყმა ძლიერად შეასრულა, ბურთს გზაში ხორვატმა შპეჰარმა მიმართულება შეუცვალა და საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მეკარე ბრუნო მარტინის იმ საღამოს პირველად გაუტანა. ამის მერეც მატჩი „მონაკოს“ კარნახით წარიმართა. 34-ე წუთზე მორიგი ჯარიმა დაინიშნა მის სასარგებლოდ. ვილი სანიოლმა საჯარიმოში ჩააწოდა. დიაომ მარტინის აჯობა და ბურთი კარისკენ გადაგზავნა, სადაც ხორვატი მარტო იყო და ცარიელ კარში გატანაც არ გაუჭირდა. „კარგად ვითამაშეთ და ასეც უნდა გავაგრძელოთ. წარმატების მისაღწევად ყვირილი და ჩხუბი თუ დამჭირდა, არც ამას მოვერიდები“ — ხუმრობით განაცხადა ფაბიენ ბარტეზმა, ვინაც მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა. „ძალიან კარგად ვითამაშეთ, რაც მეტად იმედისმომცემია „გრაცთან“ შეხვედრის წინ. ავსტრიაში მოსაგებად მივდივართ!“ — ჟან ტიგანაც იმედიანად იყო და უეფას თასზე მომავალი მეტოქის მატჩების ვიდეოჩანაწერების სანახავად გაეშურა.

„ლანსმა“ ოსერს“ ვერ აჯობა, არადა, თითქმის ყველას ეგონა, რომ მატჩს ჩრდილოელები თავის სასარგებლოდ დაასრულებდნენ. 40 000 მაყურებელი თავიდან სტეფან კარნომ კი დაამწუხრა, მაგრამ ახალგაზრდა ვანიო ელუამ შვიდი წუთის განმავლობაში ორი გოლის გატანა მოახერხა. ცოტა ხანში „ლანსის“ დაცვამ მორიგი შეცდომა დაუშვა და სტივ მარლემ ანგარიშში გაათანაბრა.

თუმცა იმ საღამოს ფორტუნა ნაღდად არ იყო „ლანსის“ მხარეს. მარტო იგივე ელუამ ოთხჯერ ვერ შეძლო აშკარა საგოლე მომენტის გამოყენება და მოწინააღმდეგის კარის აღება. „ოთხშაბათს ბერძნების წინააღმდეგ ასეთივე მომენტები თუ შემექმნა, ნაღდად არ გავაფუჭებ“ — თქვა მატჩის უიღბლო გმირმა და „ლანსიც“ ახლა მთლიანად „პანათინაიკოსთან“ მატჩზე გადაერთო.

ლიდერთა რიგებში „რენის“ გამოჩენას კი ნამდვილად არავინ მოელოდა. შაბათს ჩემპიონატის გუნდმა-სიურპრიზმა გასვლაზე თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა, „ნანსისთვის“ კი ეს პირველი მარცხი იყო საკუთარ კედლებში. „რენის“ მეოთხე ადგილი მით უფრო გასაკვირად გეჩვენება, როცა იცი, რომ ბოლო ორი სეზონი ის სასწაულებრივ ახერხებდა პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას. „კარგი დასაწყისი სეზონისწინა ნაყოფიერი მომზადების და ახალი ფეხბურთელების შეძენის შედეგია“ — თქვა ბრეტონთა ახალბედა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა. მატჩის ერთადერთი გოლი კი შარშან პსჟ-ში ლე გუენის მხარდამხარ მოთამაშე საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა სისემ გაიტანა ოცი მეტრიდან უძლიერესი დარტყმით. „ჩვენ ნაღდი შესაძლებლობები მომავალ მატჩებში გამოჩნდება“ — ფრთხილობდა კიდევ ერთი პსჟ-ს ყოფილი მოთამაშე, ახლა კი „რენის“ კარის დარაჯი კრისტოფ რევო.

პსჟ-ს კი ახალი მწვრთნელის ხელი მეტ-ნაკლებად უკვე დაეტყო და მანაც ლიონში მეტად საჭირო ქულის მოპოვება შეძლო. პარიზელებმა ანგარიში მე-17 წუთზე გახსნეს. იანოვსკის დიაგონალური პასი და სიმონემ ბურთის მიწაზე დაუშვებლად ულამაზესი გოლი შეაგდო. ტაიმის მიწურულს დედაქალაქელები უმცირესობაში დარჩნენ, მეორე ყვითელი ბარათის გამო დიუკრო გააძევეს. თამაშის განახლებაისთანავე მარცხენა ფლანგზე მარკო გრასი გაიჭრა. მისმა ჩაწოდებულმა კოკარი იპოვა და მასაც არ გასჭირვებია ანგარიშის გათანაბრება. მეათე ტურში პსჟ ნანტს მიემგზავრება და იქ უფრო ნათლად გამოჩნდება არტურ ჟორჟემ მართლაც შეძლო გუნდის სწორ გზაზე დაყენება, თუ ვერა.

გაიოზ თალაქვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 9 | 7 | 1 | 1 | 20:8 | 22 |
| მარსელი | 9 | 6 | 3 | 0 | 17:7 | 21 |
| მონაკო | 9 | 5 | 2 | 2 | 15:6 | 17 |
| რენი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:11 | 17 |
| ლიონი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:7 | 16 |
| ნანტი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:10 | 16 |
| ოსერი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:9 | 15 |
| მონპელიე | 9 | 3 | 2 | 4 | 20:17 | 11 |
| ლანსი | 9 | 3 | 2 | 4 | 15:16 | 11 |
| პსჟ | 9 | 3 | 2 | 4 | 7:8 | 11 |
| ბასტია | 9 | 3 | 1 | 5 | 10:11 | 10 |
| ნანსი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| სტასბური | 9 | 2 | 3 | 4 | 5:9 | 9 |
| ტულუზი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:17 | 9 |
| ლორიანი | 9 | 1 | 5 | 3 | 3:8 | 8 |
| ლე ავრი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:11 | 6 |
| მეცი | 9 | 0 | 5 | 4 | 4:11 | 5 |
| სოშო | 9 | 1 | 2 | 6 | 6:20 | 5 |

# დავიწყოთ, დავიწყოთ!

UEFA CUP

## უეფას თასის 1/16 ფინალის პირველი მატჩები

აგერ უკვე სამი კვირა გავიდა. ამ ხნის მანძილზე კონტინენტის პირველობის შესარჩევმა მატჩებმა გარკვეულწილად გაანელა ის მონატრება, გულშემატკივრებს ევროთასებზე ხანგრძლივმა შესვენებამ რომ გაუჩინა, თუმცა მხოლოდ გარკვეულწილად და არა მთლიანად. და აი, ახლა, დღეიდან ხუთშაბათის ჩათვლით ევროპაში მისი უდიდებულესობა ფეხბურთი კვლავ აბობოქრდება — დღეს უეფას თასის მორიგი ეტაპის მატჩებია, ხვალ ჩემპიონთა ლიგაში, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო თასის გათამაშებაში, მესამე ტურის თამაშები გაიმართება, ხუთშაბათს კი ოდენ სახელშერჩენილი, ავტორიტეტშელახული თასების მფლობელთა თასის მერვედფინალის მატჩები ჩატარდება. ერთი სიტყვით, ფეხბურთი! ფეხბურთი! და ისევ ფეხბურთი!

დროებით უეფას თასზე შევჩერდეთ, უფრო კონკრეტულად კი გათამაშების მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრების წინასამატჩო ამბებზე.

ფრანგებით დავიწყოთ.

მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებით ფრანგული ფეხბურთის პრესტიჟი გაათმაგდა და საკმაოდ სახელოვანი გახდა. ფრანგებს ძალიან ძლიერი, ასე ვთქვათ, სუპერკლუბი ამ ბოლო დროს არ ჰყოლიათ, თუმცა კარგი გუნდებითაც ახერხებდნენ ევროთასების მოგებას, ანაც ევროპაში თავიანთი სიტყვის თქმას. უძლიერესნი ფრანგთა შორის არც დღესდღეობით არიან, მაგრამ იმ კლუბებს, უეფას თასის გათამაშებას რომ შემორჩნენ, სუსტები ნამდვილად არ ეთქმით. მეთექვსმეტედფინალში გასული ოთხივე ფრანგული კლუბი (მონაკო, ლიონი, ბორდო, მარსელი) პირველ მატჩებს მეტოქის მინდორზე ატარებს, თუმცა მათგან ყველაზე რთული გასვლითი მატჩი, ალბათ, მაინც ზღვისპირელ მარსელელებს აქვთ — ისინი ბრემენში „ვერდერს“ უპირისპირდებიან.

უკლებლივ ყველა მარსელელისთვის ბრემენელებთან მომავალი შეხვედრა მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანისთვის ის მნიშვნელოვანზე გაცილებით მეტია — ფრანგი მცველისთვის, პატრიკ ბლონდოსთვის „ვერდერთან“ თამაში იმ სინანულის გაქარწყლების შანსია, 1992 წლის წაგებულმა მატჩმა რომ გამოიწვია. ბლონდო იმ ხანებში „მონაკოს“ ღირსებას იცავდა, სწორედ იმ კლუბისა, „ვერდერმა“ თასების თასის ფინალში რომ დაამარცხა.

— „ვერდერთან“ ძალიან ცუდი მოგონებები მაკავშირებს. ის იყო მატჩი, რომელსაც დიდი სიამოვნებით სამუდამოდ ამოვიშლიდი მეხსიერებიდან. ცოტა უადგილოცაა ხვალინდელი შეხვედრა და ის ფინალი შეადარო, მაგრამ პირადად ჩემთვის მომავალი თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. მე ყველანაირად ვეცდები, თანაგუნდელებს გამარჯვებაში ხელი შევუწყო — გერმანელ ჟურნალისტებთან გუშინ საუბრისას ბლონდომ არაფერი დამალა.

დღესდღეობით „ვერდერი“ ვერაა სასურველ ფორმაში. გუნდს ბუნდესლიგიდან გავარდნა ემუქრება. ამ დროს კი „მარსელი“ სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია — ჩემპიონთა თასის 1993 წლის გათამაშების გამარჯვებული გუნდი საფრანგეთის ჩემპიონობისთვის იბრძვის. მიუხედავად ამისა, დღევანდელი თამაში დაძაბული იქნება, ძალიან დაძაბული. მარსელელთა გერმანელ მეკარე ანდრეას კეპკესაც ასე ეჩვენება:

— რაც უნდა სუსტი იყოს გერმანული კლუბი, მასთან ნებისმიერ დროს მთელი ძალით უნდა ითამაშო. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაიხარებ. „ვერდერს“ ახლა კი უჭირს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამარჯვებისთვის ყველაფერს იღონებს. ბუნდესლიგაში არ მეგულება გუნდი, ევროთასებზე რომ შერცხვება, აქედან გამომდინარე, არც დასუსტებულ „ვერდერს“ ვთვლი იოლ ბარიერად.

ძალიან საინტერესო შეხვედრა იქნება. რაც შეეხება გამარჯვებულის ვინაობას, ამის თქმა მეტად რთულია. ასეთი გუნდების შეხვედრა ყველანაირი შედეგით შეიძლება დასრულდეს. გამორიცხული არაფერია.

თუ „მარსელი“ გერმანიას სტუმრობს, 1996-97 წლების უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალისტი „მონაკო“ გერმანიის მეზობლად, ავსტრიაში იმყოფება. მონაკოელთა მეტოქე გრაცის „გრაცერი აკ“-ია, რომელსაც 1982-82 წლებში, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, ბრწყინვალე თბილისის დინამოელებმა სძლიეს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, „გრაცერი აკ“ კვლავ ნორმალურ, საშუალო ევროპულ გუნდად დარჩა, ჩვენი „დინამო“ კი...

ალბათ, ძალიან ბევრი უნდა გააკეთო ფეხბურთისთვის, სიცოცხლეშივე შენი სახელი რომ უწოდონ სტადიონს, მაგრამ ის კაცი, რომელიც გრაცელებმა ასე დააფასეს, ფეხბურთთან ისევეა დაკავშირებული, როგორც, ვთქვათ, მაგიდის ჩოგბურთთან — „მონაკო“ მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩს არნოლდ შვარცნეგერის სახელობის (!) სტადიონზე ითამაშებს. სხვათა შორის, „მონაკოს“ ორი მსოფლიოს ჩემპიონი — დავიდ ტრეზეგე და ტიერი ანრი არ ეყოლება. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელები ტრავმირებულნი არიან.



ტილბურგელთა თავკაცმა კო ადრიანსემ „ბეტისი“ ბრწყინვალედ შეისწავლა

რაც შეეხება კიდევ ორ ფრანგულ გუნდს, ბორდოს „ჟირონდას“ და ლიონის „ოლიმპიკს“, ისინი შესაბამისად ჰოლანდიურ „ვიტესს“ და იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას“ ხვდებიან, მაგრამ თუ ბორდოელები ჰოლანდიაში სტუმრობენ მეტოქეს, ლიონელებს ბელგრადელებთან დაპირისპირება რუმინეთში უწევთ — კოსოვოში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის გამო უეფამ იუგოსლავიურ გუნდებს საშინაო შეხვედრების დროებით ქვეყნის გარეთ გამართვა დააკისრა. „ცრვენა ზვეზდაც“ „ლიონს“ რუმინეთში „უმასპინძლებს“. სხვათა შორის, სწორედ „ცრვენა ზვეზდაა“ დამნაშავე იმაში, რომ ფრანგები უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ხუთი კლუბით არ არიან წარდგენილნი — ოცდამეთორმეტედფინალში ჩემპიონთა თასის 1991 წლის მომგებმა გუნდმა „მეცი“ დაამარცხა.

ესპანელებით გავაგრძელოთ.

გასულ სეზონში პრიმერა დივიზიონიდან გავარდნას გადარჩენილი „ვალენსია“ ლივერპულს, კერძოდ კი „ენფილდ როუდს“ სტუმრობს. ვალენსიელებს ლივერპულელები მოუთმენლად ელიან — გარდა იმისა, რომ უეფას თასის ორჯერ მომგებნი უპირისპირდებიან ერთმანეთს, ხალხი მაიკლ ოუენისა და არგენტინელი კლაუდიო ლოპესის კიდევ ერთხელ შეხვედრას ელის. მსოფლიოს ჩემპიონატზე, მერვედფინალში, არგენტინა-ინგლისის თამაში სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით დამთავრდა, ახლა კი გაგრძელებას ელიან.

— უკვე ხუთი თამაშია, ვერ გამიტანია. ყველანაირად ვეცდები, ესპანელები დავამწუხრო — განაცხადა გუშინ მაიკლ ოუენმა. ამ ყმაწვილს არა მარტო ლივერპული, მთელი ინგლისი იმედის თვალით შესცქერის, თუმცა ეგებ ზედმეტმა ყურადღებამ ბიჭს აწყინოს. 15 სექტემბრის შემდეგ ოუენს „ლივერპულის“ შემადგენლობაში ვერა და ვერ შეუგდია ბურთი.

— მთავარია, არ შეგვეშინდეს და ბოლომდე ვიბრძოლოთ. მცველები კი ყოველ ძალ-ღონეს ვიხმართ, რათა რობი ფაულერი და მაიკლ ოუენი შევაჩეროთ — განაცხადა „ვალენსიას“ ფრანგმა მცველმა ალან როშმა.

ესპანელთა იმედებს ალვივებს ისიც, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა რუმინელი ადრიან ილიე, მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილი ულამაზესი გოლის ავტორი. დანაკარგი კი ასეთია — ლივერპულელები ჯეიმი რედნაპს და, სავარაუდოდ, ფილ ბებს მოისაკლისებენ, აი, სტუმრები კი ტრავმირებული ჟოსელინ ანგლომას და დისკვალიფიცირებული, ექსარსენალელი შტეფან შვარცის გარეშე იქნებიან.

ამ ეტაპზე კიდევ ერთი ესპანურ-ინგლისური პაექრობაა — პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი ბირმინგემის „ასტონ ვილა“ ვიგოს სტუმრობს, სადაც „სელტას“ შეხვდება. სხვათა შორის, „სელტა“ ერთადერთია უეფას თასისთვის მოასპარეზე იმ ხუთი ესპანური გუნდიდან, მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრას შინ რომ თამაშობს. „სელტა“ ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელია და ინგლისელებთან თამაშის წინ იმედიანადაა, აი, ბირმინგემელები კი დაშავებული მარკ ბოზნიჩის და დისკვალიფიცირებული იან ტეილორის და ალან ტომპსონის არყოფნას დაუფიქრებია.

სევილიის „ბეტისი“, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, შინ „სელტასთან“ 0:3 წააგო, ჰოლანდიას სტუმრობს, კერძოდ კი ტილბურგს „ვილემ II“-თან შესახვედრად.

ქართველი ქომაგებისთვის ეს წყვილი, ალბათ, საინტერესო იქნება. თუ რატომ, ვფიქრობ, ახსნა არ სჭირდება.

ტილბურგელები ესპანელთა სამასპინძლოდ გამალებით ემზადებიან. პირველ ეტაპზე მიღწეულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ მათ ფრთები შეასხა, თუმცა თავბრუ არ დაახვია.

— ვნახეთ სევილიელთა რამდენიმე მატჩი და მეტოქე საფუძვლიანად შევისწავლეთ. ვეცდებით, მათი ხარვეზები სასიკეთოდ გამოვიყენოთ, ძლიერი მხარეები კი გავაუვნებელყოთ. „ბეტისი“ კარგი გუნდია და მიუხედავად ბოლო ტურში განცდილი სასტიკი მარცხისა, მის სიძლიერეში ეჭვი არ მეპარება. „ვილემ II“-ის ძალაც ვიცი. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენი გამარჯვება წარმოუდგენლად სულაც არ მესახება — ტილბურგელთა მწვრთნელი კო ადრიანსე მომავალს იმედის თვალით უყურებს.

რას იზამენ ტილბურგელები, დღეს გამოჩნდება. რაც შეეხებათ სევილიელებს, შესაძლოა, ვერ ითამაშოს მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა დენილსონმა, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში საზარდულის ტრავმა მიიღო.

დანარჩენი ორი ესპანური გუნდიდან მადრიდის „ატლეტიკო“ ცსკას შეხვდება, ოღონდ ბულგარეთისას, სოსიედადის „რეალი“ კი რუსეთის პირველობის მაჩანჩალას, მოსკოვის „დინამოს“ დაუპირისპირდება.

იტალიელებით დავასრულოთ.

აპენინების დედაქალაქ რომში საინტერესო თამაშია — ოლიმპიურ სტადიონზე „რომა“ „ლიდს იუნაიტედს“ მასპინძლობს. გასულ ოქტომბერს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში იტალია — ინგლისის ორთაბრძოლის შემდეგ საერთაშორისო დონეზე ეს პირველი აპენინურ — ალბიონური მატჩი იქნება. სხვათა შორის, ახლაც, ისევე, როგორც ერთი წლის წინ, სტუმარ-მასპინძელ ქომაგებს დიდი ჩხუბი მოუვიდათ. დამნაშავენი პოლიციამ დააკავა.

დღეს იტალიაში კიდევ ერთი მატჩია — „ბოლონია“ პრაღის „სლავიას“ მასპინძლობს.

„რომასგან“ ძლეული „ფიორენტინა“ ციურიხს ესტუმრა „გრასჰოპერთან“ შესახვედრად. ფლორენციელთა არგენტინელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ომარ ბატისტუტამ დაიქადნა, შვეიცარიელებს დავჩაგრავო. ვნახოთ.

სტუმრად თამაშობს „პარმაც“, 1995 წლის უეფას თასის მფლობელი. კრაკოვში, პოლონეთში მას „ვისლა“ ელის.

**ლაშა გოდუაძე**

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

20 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვისლა (პოლონეთი) — პარმა (იტალია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლივერპული (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი) | (1,45-2,1) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| დინამო (რუსეთი) — სოსიედადი (ესპანეთი) | (4,0-1,15) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლიონი (საფრანგეთი) | (2,8-1,3) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| გრაცერი (ავსტრია) — მონაკო (საფრანგეთი) | (4,0-1,15) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| შტუტგარტი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია) | (1,25-3,1) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ტილბურგი (ჰოლანდია) — ბეტისი (ესპანეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — ფიორენტინა (იტალია) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტიკი (შოტლანდია) — ციურიხი (შვეიცარია) | (1,35-2,5) | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| ვერდერი (გერმანია) — მარსელი (საფრანგეთი) | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ბოლონია (იტალია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ვიტესი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ცსკა (ბულგარეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| რომა (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) | (1,3-2,8) | 1,5 | 3,3 | 6,0 |

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. III ტური

21 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| პორტუ (პორტუგალია) — კროაცია (ხორვატია) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — გალათასარაი (თურქეთი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბილბაო (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ინტერი (იტალია) — სპარტაკი (რუსეთი) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| რეალი (ესპანეთი) — შტურმი (ავსტრია) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ბრონდბიუ (დანია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ბაიერნი (გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| არსენალი (ინგლისი) — დინამო (უკრაინა) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლანსი (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰიკ (ფინეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### თასების თასი. მერვედფინალი

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) | (2,0-1,5) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პანიონისი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-15 ტური

20 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — სვინდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ბოლტონი — უოტფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ბერი — ოქსფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კრისტალ პალასი — ვულვერჰემპტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| გრიმსბი — ბრისტოლი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| იფსვიჩი — ნორვიჩი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| პორტ ვეილი — ქრიუ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| პორტსმუთი — ბრედფორდი | 2,6 | 2,9 | 2,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — სტოკპორტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ტრანმერი — ბარნსლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

21 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

21 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ფიურტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

17 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
4 ტური

**ვითა 88:80 დინამო**

I ტაიმი 48:35

ვითა: გაგნიძე (8), აბრამიძე (15), დავითულიანი (21), მუშკუდიანი (9), ახალკაცი (10); ორმოცაძე (7), ჩუბინიძე (12), ტურაშვილი (2), ვაშაკიძე (4)

დინამო: ნიკოლაძე (21), წიკლაური (21), შანიძე (14), მეჭურჭლიშვილი (6), მანველიშვილი (2); მაისურაძე (14), ხეცურიანი (2)

მსაჯები: ლაშა თოიძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

# ფლაგმანი და ექს-ფლაგმანი: კვლავ სანახაობა

მეოთხე ტურის მეორე დღე ისეთი გამოდგა, კალათბურთის ქომაგთ რომ ახარებს. არც ამჯერად უღალატეს გუნდებმა ტრადიციას და ყოველთვის პრინციპულობით გამორჩეული „ვითა“ — „დინამოს“ დაპირისპირება კვლავაც თვასასეირო სანახაობად უქციეს ვერის ბაღში შეკრებილ გულშემატკივართ.

თვითმყოფადი ქართული კალათბურთის განვლილი შვიდი პირველობიდან საუკეთესოს ტიტული ოდენ ამ გუნდებმა ირგუნეს. ერთადერთხელ ოქროს მედლები სწორედ „დინამომ“ დააგემოვნა და ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა ბატალიებში გამოწრთობილი აწ უკვე ექსფლაგმანი, ძველებური რიხითა თუ ინერციით ჩაება პირველ ეროვნულში. მას შემდეგ კი... ექვსი წელია, ჩვენში „ვითა“ ბატონობს, ამ ხნის მანძილზე მოცილეც ბევრი გამოუჩნდა, მაგრამ პატივნაჩვევებმა ღირსეული ბრძოლითა თუ თავგანწირვით ეს ტიტული არარავის დაანებეს.რამდენჯერმე „დინამოც“ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ვერაფრით მოახერხა ჩემპიონობის გაღება და მათთვის „ვითას“ ბარიერი კვლავაც გადაულახავი დარჩა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, მადაგახსნილი „ვითა“ არც წლეულს აპირებს რამის დათმობას. ეს მათ მიერ გამართულმა ორმა შეხვედრამაც ცხადყო, როცა სდასუ-სთან მძიმეს ბრძოლაში გამარჯვებით ფრთაშესხმულებმა არც ლევან მოსეშვილის „მართული მანქანა“ დაინდეს და პირველობის სტარტზე მიღებული უსიამოვნება ამით ნაწილობრივ გაიქარწყლეს.

თავის მხრივ „დინამოც“ კარგი გუნდია. მართალია, კლუბი ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, მაგრამ მათი ახლანდელი შემადგენლობა, მეტისმეტად ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ერთობ გააზრებულად ირჯება. სათამაშო პრაქტიკის მატებასთან ერთად კალათბურთელები ოსტატობასაც დახვეწენ და, ბუნებრივია, ამბიციებიც ერთიორად გაეზრდებათ.

მართლაც რომ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს პირტიტველა დინამოელებმა მრისხანე მეტოქეს. მატჩის დებიუტშივე გაცხადდა, რომ საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლის მოწმენი შევიქნებოდით. მსაჯის სასტვენისთანავე „დინამომ“ გააფთრებით შეუტია და ნიკოლაძის სწრაფი გარღვევის შემდეგ დაწინაურდა. სწორედ მისი და წიკლაურის აქტიურობის შედეგად „ვითა“ კარგახანს მდევრის როლში იმყოფებოდა, თუმცა დავითულიანი და აბრამიძე მეტოქეს დიდად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. მაღალ ტემპში მოთამაშე „დინამო“ შეტევებს წარმატებით აგვირგვინებდა, მაგრამ დაცვაში ათლეტურ დავითულიანს ძნელადღა უმკლავდებოდა და ალეკოც ჩვეული მონდომებით აწიოკებდა მოწინააღმდეგეებს. ყველაზე მეტად „დინამოს“ ფარის მისადგომებთან უჭირდა, რადგან კილაძე-ბეჟანიშვილისგან მიტოვებულებმა მათი სრულფასოვანი შემცვლელი ჯერაც ვერ მოიძიეს და გამოუცდელი მეჭურჭლიშვილი-მანველიშვილის დუეტს მეტისმეტად უძნელდებოდათ ტანმაღალ ვითელებთან ჭიდილში ფარზე ბურთის მოპოვება. ეს არც ჩემპიონთა მწვრთნელ, ზურაბ ტომარაძეს გამოპარვია და შეგირდებს უფრო სიღრმიდან შეტევა მოსთხოვა, რასაც ახალკაცის გამოცოცხლებაც დაერთო და როცა უმეთვალყურეოდ დარჩენილმა დავითულიანმა ეფექტურად „ჩატენა“, „ვითა“ უკვე 7 ქულით (24:16) დაწინაურდა და მოსეშვილს წუთშესვენების აუცილებლობა დაანახვა.

მწვრთნელის მიერ დამოძღვრილი „დინამო“ მასიურაძითაც გაძლიერდა, მაგრამ, როცა ტომარაძემ თავის გუნდს ჩუბინიძე და ორმოცაძე შეაშველა, ვითელთა უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა, რადგან ჩემპიონებმა დაცვით მარწუხებს დიდი გულმოდგინებით მოუჭირეს და ერთხანს დაბნეულად მობურთალი მეტოქეც ოდენ ნიკოლაძის და მაისურაძის ზუსტი სამიანებით გადიოდა ფონს. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, და ტაიმის ბოლოს შემოსულმა ვაშაკიძემ თავის სამიანს ერთი ჯარიმაც რომ წაამატა, სხვაობამ უკვე ცამეტ ქულას მიაღწია — 48:35.

შესვენების შემდეგ თამაში იგივე სცენარით გაგრძელდა. „დინამომ“ ერთადერთი, რაც მოახერხა, ანგარიშში სხვაობის 10 ქულამდე შემცირება იყო. რაც ნიკოლაძე-წიკლაურის ძალისხმევით შეძლო, მაგრამ უკანახაზელთა დაცვაში შეუთანხმებელი თამაში მეტის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა და სწორედ მათი დაუდევრობით უმრავლეს შემთხვევაში დავითულიანი და ჩუბინიძე მარტო რჩებოდნენ მეტოქის ფართან, თუმცა დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ 10-ქულიან ჩამორჩენას და მატჩის ბედის თავიანთ სასარგებლოდ მოტრიალებაც სცადეს. განსაკუთრებით ირაკლი მაისურაძის მონდომებამ გაჭრა, როდესაც მან ზედიზედ რამდენიმე შეტევა ჩაუშალა „ვითას“ და თანაგუნდელები ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ამან ჩემპიონთა ბანაკში დაბნეულობა გამოიწვია და აქამდე მშვიდად მობურთალებმა შეცდომების დაშვება იწყეს. მაისურაძე-ნიკოლაძე-წიკალურის სამეული კი მთელი ძალით ამოქმედდა და მაშინ, როცა მატჩის დამთავრებამდე 8 წუთიღა რჩებოდა, „დინამო“ პირველად, ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ, ნიკოლაძის სამიანით წინაც გავიდა 68:66.

აქ კი მოედანზე მამუკა აბრამიძე გამოჩნდა. გამორჩეული ხელწერისა და ინტელექტის კალათბურთელი, რომელმაც პარტნიორებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და გუნდის ლიდერობაც ითავა. სწორედ მის მიერ შესრულებულმა უმნიშვნელოვანესმა



დინამოელი წიკლაური ამაოდ დაშვრა

სამიანებმა ერთხანს „ვითას“ დამშვიდების საშუალებაც მისცა, თუმცა მეტოქეც ზუსტად იჩხვლიტებოდა და ძირითადი დროის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გამარჯვებულის ვინაობა კვლავაც გაურკვეველი იყო.

ყოველივე ამან ახალგაზრდა დინამოელთა უდიდესი ძალისხმევა შეიწირა და, ალბათ, ამად იყო, დარჩენილი სამწუთეული „ვითამ“ რომ გაილაღა, რაშიც აბრამიძეს გაგნიძეც წამოეშველა და როცა ერთი მონაკვეთი მათ 6:0 მოიგეს, ყველაფერს მაშინ მოეფინა ნათელი.

„დინამოს“ ველარც მოსეშვილის წუთშესვენებამ უშველა და დარჩენილ დროში ვითელების აღმაფრენა ჩუბინიძემ საბოლოოდ ანგარიშით დააფიქსირა.

**გიორგი ბიძაშვილი**

17 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
4 ტური

**სტუ 94:79 მაკაბი**

ტაიმი 48:40

სტუ: მიქაძე (6), ტულუში (8), გ. ნაცვლიშვილი (11), ნოზაძე (4), ოთიურიძე (16); ჩავლეიშვილი (2), მოისწრაფიშვილი (13), სუხიშვილი (4), ჩერქეზიშვილი (10), ლოსაბერიძე (4), მინაშვილი (14), ცხვედიანი (2)

მაკაბი: ანდღულაძე (17), მ. ნაცვლიშვილი (12), პაპასკირი (12), ტალაბაძე (16), ფერიაშვილი (22), რიჟინაშვილი

მსაჯები: ალექსანდრე როსტომაშვილი, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: როლანდ ხომერიკი

# ტრიუმფი გამოცდების წინ

ეროვნულ ჩემპიონატში ოთხი ტური მიიწურა და სტუ-ს ზეობა კვლავინდებურად გრძელდება. სტუდენტთა აღმასვლის შეჩერება ვერც „მაკაბიმ“ შეძლო, თუმცა მისგან ლიდერის ძლევას ნაკლებად მოველოდით. როგორც ჩანს, მაკაბელებს დამარცხების სინდრომი მყარად გაუჯდათ და წინა სამი წაგების აგონიიდან ჯერაც ვერ გამოსულან. დრო კი არ ითმენს — წინ არცთუნაკლებად ძლიერი მეტოქეები არიან...

სტუ-ს ასეთი წინსვლა და შედეგიანობა კი არცაა გასაკვირი, რადგანაც სტუდენტებზე ნაუცბათევად შეკრებილი გუნდიაო, ნაღდად არ ითქმის. მათ მოსამზადებელი პერიოდი გარჯასა და ოფლის ღვრაში გაატარეს და ახლა ნაყოფსაც იმკიან. მწვრთნელთა სანაქებოდ ისიც ითქმის, რომ სწორი სელექციური მუშაობის შედეგია, გუნდში რომ ყველა რგოლი თანაბარი სიძლიერისაა. მოთამაშეებიც ხომ ერთობ ნაცადნი და ბრძოლებში გამობრძედილნი არიან... ყველაფერი ეს კი სტუ-ს ზეობის საწინდარია, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩემპიონატი ახლა დაიწყო და სტუდენტურ გუნდს წინ დიდი გამოცდა ელის.

შეხვედრის პირველ სამ წუთში არც ერთი გუნდის შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია თამაშის სწრაფი ტემპის გამო. მაკაბელები აქცენტს შორიდან სროლაზე აკეთებდნენ, სტუდენტები უფრო ფარზე შესვლას ლამობდნენ, მაგრამ მათი გარჯა არ ფასდებოდა. შემდეგ მოთამაშეები გახურდნენ და თამაშიც წაუვიდათ. ანგარიში სტუ-მ გახსნა, რასაც პაპასკირმა სამიანით უპასუხა. ეს იყო და ბურთაობაც გაჩაღდა. ორივე გუნდი თანაბარი ძალით იბრძოდა. სტუდენტთა თავკაცობა მოთამაშეთა ხშირ შეცვლებს მიმართავდა, რათა ოპტიმალური შემადგენლობისათვის მიეკვლია. ამან შედეგი გამოიღო და მოედანზე ჩერქეზიშვილის გამოჩენის შემდეგ გუნდი ჩვეულ კალაპოტში ჩაჯდა, რაც ანგარიშშიც აისახა — 27:22 მათ სასარგებლოდ. თამაში კვლავინდებურად სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა და მაკაბელებს დაღლა დაეტყოთ. შეიძლება ითქვას, „მაკაბის“ სასტარტო-ხუთეული შეუცვლელად თამაშობდა. ამან თავისი დაღი დაასვა გუნდის თამაშს, გახშირდა ჯარიმები და შვიდი გუნდურიც მალე დაუგროვდათ. სტუდენტებმა ისარგებლეს მეტოქის დაღლილობით და 3 წუთში 13 ქულა მიითვალეს. როცა მაკაბელებმა ოდენ 6-ის გაკეთება შეძლეს.

„მაკაბის“ თავკაცობამ საქმის გამოსასწორებლად წუთშესვენება აიღო. მცირედმა დასვენებამ მოთამაშეებზე დადებითად იმოქმედა და ტალაბაძე-ფერიაშვილის დუეტი ძველებურად ათამაშდა. მათ გარჯას, თანაგუნდელებიც აჰყვნენ და პირველი ტაიმის დასასრულამდე ანგარიშში სხვაობაც 8 ქულამდე დაიყვანეს.

მეორე ტაიმიც დაიწყო და ისე ჩანდა, რომ „მაკაბი“ თავისას შეეცდებოდა. ასეც მოხდა. სამი წუთის განმავლობაში სტუ-მ ქულაც ვერ მოიპოვა და მაკაბელებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს — 46:48 სტუდენტები ანგარიშის გაზრდას სამქულიანებით შეეცადნენ, მაგრამ არც ეს გამოსდიოდათ. თითქოსდა „მაკაბიმ“ თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლო და ერთიორად უნდა გაყოჩაღებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მაკაბელები ჩქარობდნენ და ერთმანეთს ვერ უგებდნენ. ამიტომ არაზუსტი გადაცემები და უხეირო სროლები მათი მხრიდანაც გახშირდა. ამაზე ნერვიულობას კი ხშირი ჯარიმებიც მოჰყვა, გონსმოსული სტუდენტები კი საჯარიმოებს აღარ აცუდებდნენ. გამოცოცხლებული სტუ საკუთარ ფარზეც გაბატონდა და შეტევებსაც შედეგიანად აგვირგვინებდა. სტუდენტების დამუშავებულ პრესინგს მაკაბელები ვერას უპირისპირებდნენ და სტუ წინ მიიწევდა. დასრულებამდე 7 წუთით ადრე ანგარიშში დიდი სხვაობა კვლავ დაფიქსირდა — 75:63.

მეტოქეები თამაშის ეშხში შევიდნენ. საკუთარი მისადგომების დაცვაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. მოედანზე ღია თამაში გაჩაღდა. ამით „მაკაბიმ“ მეტად იხეირა. ანდღულაძის სამიანებით სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა — 76:81, თუმცა მატჩის გადარჩენისშანსი მაკაბელებმა ხელიდან გაუშვეს. მეტოქის წამოწევით აღელვებული სტუდენტები ჯერ მოისწრაფიშვილის სამიანმა დააწყნარა, მერე კი ოთიურიძემ აიწყვიტა და საბოლოოდ სტუ-მ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

**მამუკა ტულუში**



სტუ-ელი ოთიურიძე კარგად გაისარჯა

# თსუ — ქალთა ჩემპიონი



...ვირას, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში თბილისის თსუ-მ 82:78 დაამარცხა თბილისის სტუ და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა

# ტურნირი საჩუქრად

**სინგაპური. ჰაინეკენის ღია პირველობა. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო 700 ათასი $**

**მეოთხედფინალი: მარსელო რიოსი (1, ჩილე) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 5:7, 6:3, 6:4; ჯიმ კურიე (აშშ) — ჟან-მაიკლ გემბილი (4, აშშ) 6:4, 6:4; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 3:6, 6:3, 6:4; მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — კენეტ კარლსენი (დანია) 4:6, 6:2, 6:3.**

17 წლის ლეიტონ ჰიუიტმა მსოფლიოს მესამე ჩოგანსა და ტურნირის მთავარ ფავორიტ რიოსს მეოთხედფინალში გვარიანი შიში აჭამა.

მაყურებლები, რომელთა უმეტესობას ჰიუიტის მხარე ეჭირა, განსაკუთრებით მაშინ აღფრთოვანდნენ, პატარა ოზმა სამხრეთამერიკელს მოწოდება რომ აართვა და გადამწყვეტ ხელში ანგარიში გაუთანაბრა (3:3).

„შესანიშნავი ატმოსფერო იყო, ფეხბურთის მატჩების მსგავსი" — განაცხადა მოგვიანებით ჰიუიტმა, თუმცა ქომაგთა წაქეზების მიუხედავად მეტი ველარ შეძლო და რიოსის უძლიერეს ფორჰენდებსა და მსგავს სიტუაციებში დიდ გამოცდილებას ველარაფერი დაუპირისპირა. „ეს ჩემი კარიერის უდავოდ საუკეთესო მატჩი იყო. თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა შედეგით — იმედგაცრუებული."

**ნახევარფინალი: რიოსი — კურიე 6:2, 6:1; ვუდფორდი — შალკენი 0:6, 6:4, 6:2.**

**ფინალი: რიოსი — ვუდფორდი 6:4, 6:2.**

ძალები რიოსის დასამარცხებლად არც ჰიუიტზე ასაკით ლამის ორჯერ უფროსმა თანამემამულემ — მარკ ვუდფორმა დაიშურა, მაგრამ შესანიშნავ ფორმაში ჩამდგარი ჩილელის დასამარცხებლად ეს საკმარისზე გაცილებით ნაკლები გამოდგა.

გამარჯვებაში დარწმუნებული რიოსი, თავისთვის უჩვეულოდ, კარგ ხასიათზე იყო — არც მსაჯებს ეკამათებოდა, არც ჩოგანს ახეთქებდა კორტზე აცილებული ბურთის აღსანიშნავად და მატჩის დამთავრების შემდეგ თავისი პირსახოციც კი გადაუგდო ფანატებს, რომელთაც ამის მისათვისებლად გვარიანი წივილ-კივილი ატეხეს.

„პირველიდან კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე დავეშვი, ახლა კი ისევ ალმასვლას ვაპირებ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მომდევნო ტურნირებსაც მოუთმენლად ველი" — განაცხადა ჩილელმა, რომელსაც სეზონის მეშვიდე ტიტულისთვის 107 ათასი დოლარი ერგო, თანაც ორშაბათიდან მსოფლიოს მეორე ჩოგნობა ჩამოართვა პატრიკ რაფტერს.

**ვენა. ავსტრია. CA ტენის ტროფი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (1, აშშ) — ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) 6:0, 6:3; გრეგ რუზეცკი (ინგლისი) — პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) 6:3, 7:6 (7:3); კაროლ კუჩერა (5, სლოვაკეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:3.**

მეოთხედფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ზედიზედ ორი ტურნირის მომგებ და ამბიციებით სავსე ტიმ ჰენმანს თავისი ადგილი მიუჩინა. სამპრასის თამაში თუ სრულყოფილი არა, ამისგან არცთუ შორს მყოფი მაინც იყო — გაოგნებული ინგლისელი ულონოდ ადევნებდა თვალს, თუ როგორ წვდებოდა მის ნაქებ მოწოდებებს ამერიკელი და ლამის იმავე სისწრაფით უბრუნებდა უკან, ბადესთან გასულს კი ზედიზედ ტოვებდა პირში ჩალაგამოვლებულს ერთიმეორეზე უკეთესი შემოვლებულებით.

„ვიცოდი ტიმის გამარჯვებათა სერიის შესახებ და ამ მატჩისთვის მზად ვიყავი, თანაც, ჩემთვისაც მოულოდნელად, ყველაფერი გამომდიოდა — მოწოდებები, მილებები. ამაზე უკეთ თამაში ნამდვილად არ შემეძლო" — განაცხადა მატჩის შემდეგ პიტმა.

**ნახევარფინალი: სამპრასი — მარტინი 6:3, 7:6 (7:4); კუჩერა — რუზეცკი 7:6 (8:6), 6:4.**

**ფინალი: სამპრასი — კუჩერა 6:3, 7:6 (7:3), 6:1.**

„წარმოუდგენელია, რა სწრაფად შეიძლება შეიცვალოს ყველაფერი. ერთი კვირის წინ პირველივე წრეში წავაგე და თავს საშინლად ვგრძნობდი, ახლა კი აქ ვარ და ხელში მთავარი პრიზი მიჭირავს" — ეს ვენის ტურნირის გამარჯვებულის, პიტ სამპრასის სიტყვებია.

ბაზელში უეინ ფერერასთან დამარცხების შემდეგ ამერიკელი წესით შინ უნდა გამგზავრებულიყო, რაკილა ვენის ტურნირის ორგანიზატორებს ყველა საგანგებო მიწვევა წინდაწინ დაერიგებინათ, მაგრამ მხნეოდ მას ბორის ბეკერი მოეგოთა: მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ახლახანს თავისი „უაილდ ქარდი" გადაულოცა და სამპრასმაც ამ შანსით მაქსიმალურად ისარგებლა — კარიერის 56-ე ტიტულთან ერთად 128 ათასი დოლარი და 361 საკლასიფიკაციო ქულა მიიღო, ბორისს კი სამადლობელი (იქნებ საჩილელ) დაკლეიდების ცერემონიალზე ერგო და პრეტენზიები.

ფინალზე კი ბედის თქმა არც ღირს — კუჩერა სამპრასის მოწოდებაზე ასე თუ ისე, ზუერინანდ იძებულია, მაგრამ მეტი შრომას, როგორც მაგალითად მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე, ისევ თავისივე ორმაგი თუ სხვა სულელური შეცდომებით ყრიდა წყალში. მისმა ცოდვილობამ ვენელ მაყურებელს ისე მოაბეზრა თავი, მათ ბოლო სეტში სლოვაკის გამხნევებაც კი აღარ უცდიათ, მაინც თავისით წააგებსო.


REUTERS ციურიხიდან

ლინდსი დევენპორტი

**ციურიხი. შვეიცარია. ევროპის ღია ჩემპიონატი. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 926 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ამანდა კუტცერი (6, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:1; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 4:6, 7:5, 6:1; ირინა სპირლეა (რუმინეთი) — დომინიკ ვან რუსტი (8, ბელგია) 6:4, 6:0**

მეოთხედფინალში ვინუს უილიამსმა ქალებს შორის მოწოდებს სისწრაფის თავისივე რეკორდი გააუმჯობესა და მატჩისპოინტზე ბურთი 205 კმ-ით საათში გაგზავნა მეტოქის მხარეს. „ეისი მინდოდა გამომესწორებინა, მაგრამ ასეთ რამეს ვერც კი მოვიაზრებდი. არა მგონია, ეს მიღწევა უახლოეს ხანებში გავაუმჯობესო" — განაცხადა რეკორდსმენმა მოგვიანებით.

**ნახევარფინალი: დევენპორტი — სპირლეა 6:2, 6:3; უილიამსი — ტოზია 6:3, 6:4.**

შვეიცარიულ ტურნირებში წარმართულ ნახევარფინალებში აღსანიშნავი მხოლოდ ის იყო, რომ ზემოხსენებულმა უილიამსმა ნატალი ტოზიას 31-ე დაბადების დღე ჩაუშხამა.

**ფინალი: დევენპორტი — უილიამსი 7:5, 6:3.**

ლინდსი დევენპორტმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ყველას, რომ კლასიფიკაციის პირველი საფეხური შემთხვევით სულაც არ რგებია და არც მის დათმობას აპირებს უბრძოლველად. ფინალში 22 წლის ამერიკელმა უილიამსს მძლავრი, ზუსტი დარტყმებით მოახვია თავს სასურველი ტემპი და საათსა და ოც წუთში შვეიცარიულ მიწაზე თავისი მეოთხე (სულ მე-19) ტიტული მიითვალა.

„აქ ყოფნა შესანიშნავად მაქვს დაცდილი. კარიერის პირველი ტურნირი ლუცერნში მოვიგე, ხალიჩაზე პირველი — აქ და ახლა პირველ ჩოგნად გახდომაც გამარჯვებით აღვნიშნე. გარწმუნებთ, რომ გაისად აუცილებლად დავბრუნდები" — შეჰპირდა დევენპორტი მასპინძლებს.

**ავთანდილ სვანიძე**



### საქართველოს ჩემპიონატი

წინა ტურში ჩემპიონთან განცდილმა მარცხმა „ექსპრესი" სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურიდან მესამეზე ჩაანაცვლა, რაც ნახევარფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობის დაკარგვის ტოლფასია. თუმცა „ექსპრესი" ის გუნდი არ არის, ამას ასე ადვილად შეურიგდეს. ასე რომ, მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ შეხვედრას არმიელებთან, რომელთაც, თავის მხრივ, შანსი ეძლევათ, მესამე ადგილზე გავიდნენ და ნახევარფინალში „ყოჩებთან" დაპირისპირება თავიდან აიცილონ.

მეორე ადგილისთვის მებრძოლი „დათვები" დღეს მუქთ ორ ქულას მიითვლიან „გუმარის" უთამაშებლობით.

ტურის მესამე მატჩში ფავორიტი, ცხადია, „ყოჩებია", თუმცა „დინამო" უბრძოლველად არაფერს დათმობს.

## ვულოცავთ!

საქართველოში მოღვაწე სპორტული ჟურნალისტისთვის ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია უძვირფასესი ამქრული ჯილდოა.

ამ დღეებში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ეს პრემია მართლაც ღირსეულ კაცს — გარუნ აკოფოვს მიანიჭა.

ბატონი გარუნი, დღესაც სანიმუშოდ მომუშავე ჩვენი კოლეგა, 75 წლის გახდა და დამსახურებისამებრ იღებს მილოცვებს მათგან, ვინც იცის — ამ ადამიანმა მთელი ცხოვრება სპორტს და სპორტულ ჟურნალისტიკას შეალია.

თქვენი ამაგის დამფასებელი „სარბიელი" იუბილესა და ღირსეულ ჯილდოს გილოცავთ, ბატონო გარუნ!


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ პოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზმირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




# დეტროიტს ახსოვს

NHL

16 ოქტომბერი

**დეტროიტი — სენტ ლუისი 4:1**

**2:1 2:0 0:0**

**1:0 ფიოდოროვი 18'17 (1); 1:1 რიზონერი 18'34 (1); 2:1 შენაჰანი 19'30 (2); 3:1 შენაჰანი 34'15 (3); 4:1 შენაჰანი 38'45 (4).**

დეტროიტელთა პირველი საშინაო მატჩის წინ კლუბის მიერ სტენლის თასის მოგებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. კერპებს დანატრებულმა „წითელფრთიანთა" ქომაგებმა თბილი შეხვედრა მოუწყვეს ჰოკეისტებს, არც ავტოავარიაში მძიმედ დაშავებული ვლადიმერ კონსტანტინოვი დავიწყებიათ, მაგრამ ყველაზე მეტი ოვაცია სახელოვან სკოტი ბოუმენს ერგო. მოთამაშეებმაც კარგად ითამაშეს და ზეიმი მატჩის ბოლომდე გაგრძელდა. სხვათაგან ბრენდან შენაჰანი გამოირჩა, რომლის გარჯასაც კარიერაში მე-11 ჰეთ-თრიქი მოჰყვა. სწორედ მისი მეორე შაიბის შემდეგ შეწყვიტეს სტუმრებმა წინააღმდეგობა.

**ლოს ანჯელესი — ბოსტონი 2:1**

**1:0 0:1 0:0 1:0**

**1:0 გრინი 10'50 (1); 1:1 ლააკსონენი 36'29 (1); 2:1 (ოვერტაიმი) რობიტაილი 62'47 (2).**

ლოს ანჯელესმა თავის ძველ არენა „ფორუმზე" სეზონი უკანასკნელად გახსნა — გაისად „მეფეები" ახალთახალ „სტეპლს სენტრში" გადავლენ.

**კალგარი — ტორონტო 3:7**

**0:4 2:1 1:2**

**0:1 ტომასი 1'29 (1); 0:2 ბერეზინი 1'58 (2); 0:3 ჯონსონი 9'03 (1); 0:4 ჯონსონი 16'20 (2); 1:4 ბურე 21'19 (2); 2:4 იგინლა 28'27 (1); 2:5 დომი 33'10 (1); 2:6 მაკოული 41'23 (2); 2:7 მაკოული 47'30 (3); 3:7 იჯინლა 50'0 (2).**

**ბუფალო — ფლორიდა 2:2**

**1:1 0:1 0:0 0:0**

**1:0 სანდერსონი 0'11 (2); 1:1 უიტნი 10'08 (1); 2:1 გროშეკი 15'08 (1); 2:2 კვაშა 33'24 (1).**

სანდერსონის მიერ გატანილმა ჩემპიონატის უსწრაფესმა გოლმაც კი არ დააბნია სტუმრები, რომლებიც ფრეზე მეტად გამარჯვებას იმსახურებდნენ.

**რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 1:2**

**1:1 0:0 0:1**

**0:1 ჰოლიკი 0'22 (1); 1:1 სუნდსტრიომი 6'09 (1); 1:2 ელიაში 50'53 (2).**

**ვაშინგტონი — მონრეალი 2:2**

**1:0 1:0 0:2 0:0**

**1:0 ოუთსი10'24 (1); 2:0 მირონოვი 28'15 (1); 2:1 დამფუსი41'49 (2); 2:2 ტორნტონი 52'42 (2).**

**ტამპა — ფილადელფია 2:5**

**1:2 0:2 1:1**

**0:1 ფორბსი 2'13 (1); 0:2 ლინდროსი 8'08 (3); 1:2 კლარკი 8'51 (3); 1:3 ლეკლერი 20'44 (2); 1:4 ლეკლერი 24'08 (3); 1:5 ლეკლერი 52'54 (4); 2:5 რიშე 59'04 (1).**

17 ოქტომბერი

**ნიუ ჯერსი — ედმონტონი 2:4**

**1:1 0:1 1:2**

**1:0 სიკორა 6'51 (1); 1:1 გერინი 18'19 (2); 1:2 სმიტი 25'07 (1); 1:3 კოვალენკო 51'15 (1); 1:4 გერინი 57'07 (3); 2:4 სიკორა 58'45 (2).**

**კაროლინა — ფილადელფია 1:1**

**1:1 0:0 0:0 0:0**

**1:0 კაპანენი 8'34 (1); 1:1 ლინდროსი 15'51 (4).**

**მონრეალი — ბუფალო 3:4**

**2:0 1:2 0:2**

**1:0 ბრიუნე 2'01 (2); 2:0 მალახოვი 4'12 (2); 3:0 დამფუსი 34'57 (3); 3:1 ჰოლცინგერი 36'01 (1); 3:2 პეკა 38'18 (2); 3:3 უორდი 42'46 (1); 3:4 ვარადა 50'23 (1).**

**ოტავა — ნეშვილი 3:1**

**0:0 1:1 2:0**

**1:0 იუჰანსონი 21'42 (1); 1:1 ნელსონი 27'14 (1); 2:1 არვედსონი 48'07 (2); 3:1 რედენი 56'31.**

**პიტსბურგი — რეინჯერსი 3:3**

**0:1 2:1 1:1 0:0**

**0:1 ჰარვი 10'32 (1); 0:2 გრეცკი 24'50 (1); 1:2 ლებო 36'56 (1); 2:2 ლანგი 38'01 (2); 3:2 ჰეჩერი 45'35 (1); 3:3 ჰარვი 53'35 (2).**

**ჩიკაგო — დალასი 4:3**

**1:2 1:1 2:0**

**0:1 საიდორი 8'10 (2); 0:2 ლეჰტინენი 13'30 (2); 1:2 ამონტე 18'22 (3); 1:3 ჰალი 31'36 (1); 2:3 ჟამნოვი 35'19 (1); 3:3 ჩელიოსი 40'23 (1); 4:3 მორო 45'38 (1).**

**სენტ ლუისი — აილენდერსი 0:1**

**0:0 0:1 0:0**

**0:1 ბერარი 36'08 (1).**

**ვანკუვერი — ტორონტო 4:1**

**1:1 1:0 2:0**

**0:1 კოტე 1'28 (1); 1:1 ოლუნდი 18'43 (1); 2:1 მესიე 38'34 (2); 3:1 ბერტუცი 41'57 (1); 4:1 მეი 54'02 (1).**

18 ოქტომბერი

**სან ხოსე — ბოსტონი 0:3**

**0:2 0:1 0:0**

**0:1 ფერარო 3'24 (1); 0:2 სამსონოვი 16'34 (2); 0:3 ხრისტიჩი 20'19 (2).**

**ტამპა — ვაშინგტონი 1:4**

**0:1 0:1 1:2**

**0:1 ჟიუნო 4'10 (1); 0:2 ბონდრა 38'15 (2); 1:2 ანდერსონი 40'36 (1); 1:3 ჰერი 43'04 (1); 1:4 შვეიკოვსკი 51'49 (1).**

**დეტროიტი — კალგარი 2:0**

**0:0 1:0 1:0**

**1:0 დანდენო 35'10 (1); 2:0 შენაჰანი 48'21 (5).**

**ლოს ანჯელესი — კოლორადო 5:5**

**1:1 2:2 2:2 0:0**

**0:1 დედმარში 8'26 (2); 1:1 მ. ჯონსონი 18'34 (1); 2:1 ნორდსტრიომი 28'54 (1); 2:2 დრური 31'19 (1); 3:2 ბლეიკი 33'30 (1); 3:3 საკიკი 35'38 (4); 4:3 მიურეი 44'51 (1); 5:3 პერო 58'28 (4); 5:4 ლეფებრი 59'10 (1); 5:5 ლემიე 59'35 (1).**

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS მონრეალიდან

მონრეალელი ტერნერ სტივენსონი ბუფალოელებსაც შეასკდა და ძელსაც